ბურჯაანში ყაჩაღთა ბანდის ლიდერი დააკავეს A2

საჭიროა თუ არა ენერგეტიკის რეგულირება? A8

მალხაზა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 29 ნოემბერი, 2004 წელი. №283 (832)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## იმერეთის გუბერნატორი ხალხს ფიზიკურად უსწორდება?



იმერეთის გუბერნატორმა გია გეწაძემ ქუთაისის ენერგოკომპანიის ერთი თანამშრომელი ოფისიდან გამოიხმო, მანქანაში ჩაისვა, ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი სცემა.

A2

### ეკონომიკა

## იტალია საქართველოთი ინტერესდება

იტალიის მთავრობის ხელშეწყობითა და თანადაფინანსებით კი განხორციელებას იწყებს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტი, რომლის ღირებულება 500 ათასი ევროა.

A4

### უცხოეთი

## რუმინეთი: არჩევანი კარგად ნაცნობ ძველს და იმედისმომცემ ახალს შორის



უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა ისე მიიპყრო მთელი ყურადღება, რომ იქვე მდებარე პოსტსაბჭოთა ქვეყანა რუმინეთი ბევრს დაავიწყდა.

A5

# კომპრომისზე წასვლა ავტონომიის შექმნას არ ნიშნავს



ვარდი უკრაინაშიც აქტუალურია.

ხათუნა გაბიევი

პარასკევს, "წაბლების ქალაქში" გადასხმული "დიპლომატიური დესანტის" საქმიანობას უკვე გარკვეული შედეგი მოჰყვა, ყოველ შემთხვევაში, უცხო სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვით, დასავლეთმა ორად გაყოფილი უკრაინის, პირველ რიგში, პოლიტიკური წრეებისა და შემდეგ უკვე საზოგადოების დაახლოება ნამდვილად სცადა. დაპირისპირებულ მხარეთა დიალოგის გამართვის მიზნით მედიატორების როლში მივლინებული პოლონეთის მოქმედი პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი, მისი ლიტველი კოლეგა ვალდას ადამკუსი, ევროკავშირის კომისარი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანა, ეუთო-ს გენერალური მდივანი იან კუბიში და ევროპარლამენტის დელეგატები ერთად შეეცადნენ, უკრაინის დაპირისპირებული მხარეები კომპრომისისაკენ წაეყვანათ. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგები პარასკევს საღამოს ლეონიდ კუჩმამ მარინის სასახლეში ამცნო საზოგადოებას.

გაგრძელება A3 გვერდზე

## სად იკარგება დენი

### ენერგოქაოსი, რომელიც ბევრს ხელს აძლევს

*ენერგოსექტორში აღრიცხვიანობის მოწესრიგების აუცილებლობაზე საუბარი საკმაოდ დიდი ხანია, მიმდინარეობს. შესაბამისად, ამ კუთხით არსებული ვითარება ბუნებრივად მოექცა ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის ყურადღების ქვეშ.*

*ცენტრის მიერ მოპოვებული მასალებით ირკვევა, რომ ამ მხრივ, ენერგოსექტორში არსებული მდგომარეობა წლების განმავლობაში საგანგაშო იყო და ამის თაობაზე ინფორმირებულნი იყვნენ როგორც ქვედა რგოლის ხელმძღვანელები, ასევე, ყოფილი სათბობ-ენერგეტიკის, ამჟამად კი – ენერგეტიკის სამინისტროს მაღალჩინოსნები, შესაბამისი სამსახურების უფროსები. ჩვენ მიერ მოძიებული მასალები ბოლო სამი წლის მონაცემებს მოიცავს (მათ შორის, ნაწილობრივ, უკვე პოსტრევოლუციურ პერიოდსაც). როგორც დოკუმენტურად საბუთდება, რეალურად მოხმარებული და აქტებით დარიცხული ელექტროენერგიის მოცულობებს შორის სხვაობები ყოველთვიურად ათეულობით მილიონ კილოვოლტსაათს შეადგენს.*

*საკმაოდ რთულია გადაჭრით იმის მტკიცება, ასეთი ქაოსი მიზანმიმართული ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის ნაწილი იყო თუ ეს ყველაფერი აღრიცხვიანობის მოწესრიგებაზე პასუხისმგებელ პირთა დაუდევრობის გამო ხდებოდა. არ არის გამორიცხული, აქ ადგილი ჰქონოდა შეგნებულ ქაოსს, რომლითაც სარგებლობდა სისტემაში მომუშავე საკმაოდ ბევრი ადამიანი როგორც დედაქალაქში, ასევე, რეგიონებში.*

*და მაინც, თუკი რეალურად გავაანალიზებთ იმ ინფორმაციას, რომელიც ცენტრის ექსპერტებმა მოიძიეს, ნამდვილად ჩნდება ეჭვი, რომ სისტემაში ადგილი ჰქონდა ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობას, რომელშიც ჩართული იყვნენ შესაბამისი სამსახურები („სახელმწიფო ელექტროსისტემა", სადისტრიბუციო კომპანიები, პირდაპირი მომხმარებლები, თავად აღრიცხვის რგოლებში მომუშავე ზოგიერთი თანამშრომელი).*

*თუმცა, აქვე დავძენთ, რომ ამ ფაქტების დაწვრილებით შესწავლა სამართალდამცავების კომპეტენციაში შედის. ჩვენ ყურადღებას მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებზე გავამახვილებთ.*

გაგრძელება A8 გვერდზე

# ვლადისლავ არძინბას „განეიტრალება" აფხაზებს ძალიან ძვირი უჯდებათ

გიორგი ასანიშვილი

ზუსტად ერთ კვირაში, 6 დეკემბერს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ინაუგურაცია უნდა მოეწყოს. სერგეი ბაგაფში მიზანმიმართულად მიიწევს სანუკვარი მიზნისკენ. ორიოდე დღის წინათ მან საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით: არაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც ბაგაფში „სახელმწიფოს მეთაურად" არის გამოცხადებული.

„არჩეულმა პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა 2004 წლის 6 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში უნდა დაიკავოს თანამდებობა და დადოს ხალხისადმი ერთგულების ფიცი," - ნათქვამია დოკუმენტში. დადგენილების მიხედვით, მინისტრთა კაბინეტს, პარლამენტს და სახელმწიფო დაცვის ორგანოებს ევალებათ ინაუგურაციის ცერემონიის უზრუნველყოფა. ამასთან, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და უმაღლესი სასამართლოს ყველა ოქმი უნდა დაიბეჭდოს პრესაში, რადგან ისინი დღემდე ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა.

პარლამენტის მხარდაჭერამდე რამდენიმე დღით ადრე, სერგეი ბაგაფშის გამარჯვება, როგორც ცნობილია, აფხაზეთის უხუცესთა საბჭომაც ცნო.

მოვლენების ასეთი განვითარება რაულ ხაჯიმბასთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელია, რომელიც აცხადებს, რომ „მისი კონკურენტის განზრახვა 6 დეკემბერს ინაუგურაციის ცერემონიის ჩატარების თაობაზე, ისედაც დაძაბულ სიტუაციას კიდევ უფრო გაართულებს".

გაგრძელება A2 გვერდზე

## ექიმების პროტესტს ფოთის პოლიციის შეფი სკანდალური განცხადებით პასუხობს

ქეთინო ჯაკობია
*ფოთიდან*

ქურდისა და ბნელი ღამისა არ იყოს, ფოთში კრიმინალებისთვის საკმაოდ ხელსაყრელი სიტუაციაა. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის სინათლე ხანგამოშვებით ფუფუნებადაა ქცეული. გარე განათება, ფაქტობრივად, ამორტიზებულია, უკვე შეღამებულზე კი შინ მშვიდობით დაბრუნების შანსი მინიმუმს უტოლდება.

დღე არ გავა, ვიღაცის მეზობელი, მეგობარი, კოლეგა დამნაშავის მსხვერპლი არ გახდეს. **"გაიგე, წუხელ რა მომხდარა?!"** - ფოთელებისთვის, ლამის, სალმის შემდგომ ფრაზად იქცა. პოლიციის ადგილობრივი შეფი, ტოგო გოშუა ქალაქში შექმნილ ვითარებას ნორმალურს უწოდებს და ხმამაღლა აცხადებს, რომ უკეთესად საქმე ქვეყნის არც ერთ რეგიონში არ არის. ყოველი მორიგი კრიმინალის დაფიქსირებისას კი კრიტიკის პირველი ობიექტი (არცთუ ულოგიკოდ) სწორედ პოლიცია ხდება.

ამ დღეებში ფოთში ექიმი-ნევროპათოლოგი მანანა ოდიშარია დააყაჩაღეს. ბოროტმოქმედებმა გარკვეული რაოდენობის თანხა და ძვირფასი ნივთები გაიტაცეს. ფაქტმა დიდი ხმაური გამოიწვია ქალაქის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს კოლექტივში,

გაგრძელება A2 გვერდზე

იურიდიული ფირმა „ბაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

### ამინდი

| | 29/11 | 30/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 8 | 9 |
| ქუთაისი | 12 | 13 |
| ბათუმი | 13 | 14 |
| სოხუმი | 9 | 8 |
| ფოთი | 13 | 13 |
| თელავი | 7 | 6 |
| ზუგდიდი | 12 | 12 |
| გორი | 6 | 6 |
| ახმეტა | 7 | 8 |
| ჭიათურა | 9 | 9 |
| გაგრა | 7 | 6 |
| სამტრედია | 13 | 13 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7800 |
| ევრო | 2.3512 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3589 |
| რუბლი | 0.0630 |

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70.20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124.80 ლარი.



A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 - A7 კონკურსი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მალხაზა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# ვლადისლავ არძინბას განეიტრალება აფხაზებს ძალიან ძვირი უჯდებათ

პირველი გვერდიდან

ვინაიდან რაულ ხაჯიმბა ვლადისლავ არძინბას მხარდაჭერით სარგებლობს, სერგეი ბაგაფშის ბანაკი მოქმედი პრეზიდენტის განეიტრალებას ცდილობს და მას უამრავ პრივილეგიებს ჰპირდება: თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი „რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის შესახებ“, რომლის თანახმადაც, პოსტიდან გადადგომის შემდეგ, ვლადისლავ არძინბას „აფხაზეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის“ საპატიო წოდება მიენიჭება. ამასთან, ის სიცოცხლის ბოლომდე იქნება პარლამენტის საპატიო დეპუტატი და რესპუბლიკის ახალი ლიდერის სახელმწიფო მრჩეველი. პირველ პრეზიდენტს ასევე ენიჭება უფლება, „სახელმწიფო მშენებლობის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე მიმართოს რესპუბლიკის მოსახლეობას, სახელმწიფო ორგანოებსა და თანამდებობის პირებს“.

კანონის მიხედვით, ვლადისლავ არძინბა სრული ხელშეუხებლობის გარანტიებს ღებულობს. „პარალელურად“ კი, მისი მკურნალობისთვის აფხაზეთის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 50 ათას დოლარი იქნება გაღებული. პირველი პრეზიდენტის სიცოცხლე დაიზღვევა თანხით, რომელიც 200-ჯერ აღემატება პრეზიდენტის ხელფასსს. პლუს, - მას შემდეგ, როდესაც არძინბას საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა ამოიწურება, მას გადაეცემა ერთჯერადი „დახმარება“ პრეზიდენტის 10 წლის ხელფასის ოდენობით. ყოველივე ამასთან ერთად, „სახელმწიფო“ არძინბას ყოველთვიურად (სიცოცხლის ბოლომდე) გადაუხდის თანხას, რომელიც მოქმედი პრეზიდენტის ხელფასის ტოლი იქნება.

სეპარატისტული ხელისუფლება პირველი პრეზიდენტის დასვენებაზეც ზრუნავს და მას არჩევანს სთავაზობს: შეუძლია, სიცოცხლის ბოლომდე ისარგებლოს ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკით ან მიიღოს 3 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ბიჭვინთის მოსაზღვრე ზოლში. უკანასკნელ შემთხვევაში, „სახელმწიფო“ იღებს პასუხისმგებლობას იქ აგარაკის აშენებაზე, რომელიც არძინბასა და მის ოჯახს საკუთრებაში გადაეცემა.

არძინბასთვის გათვალისწინებული შეღავათების ჩამონათვალი ამით არ მთავრდება: აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტს მოემსახურება სამი ავტომობილი მძღოლებითურთ. ამასთან, არძინბასა და მის მეუღლეს ეძლევათ უფლება, „ბიუჯეტის ხარჯზე სიცოცხლის ბოლომდე ისარგებლონ ოფიციალური პირებისა და დელეგაციებისთვის განკუთვნილი დარბაზებით აეროპორტებში, რკინიგზის სადგურებში, ავტოსადგურებში და საზღვაო სადგურებში (პორტებში)“. პირველ პრეზიდენტს, ასევე ბიუჯეტის ხარჯზე, ეძლევა უფლება, იყოლიოს თანაშემწეთა აპარატი, უზრუნველყოს ის ტექნიკითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მიხედვით, აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ, მისი ოჯახის წევრები იქნებიან სახელმწიფო კმაყოფაზე და ისარგებლებენ მრავალი პრივილეგიით.

ერთი სიტყვით, სერგეი ბაგაფშის ბანაკი ვლადისლავ არძინბას და მის ოჯახს ამქვეყნიურ სამოთხეს სთავაზობს. თუმცა, საკითხავია, მოქმედ პრეზიდენტს აალებინებს თუ არა ეს ხელს რაულ ხაჯიმბას მხარდაჭერაზე.

მოკლედ

## რუსეთში ვარდების რევოლუციის ეშინიათ

რუსი პოლიტოლოგებისა და ჟურნალისტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ დასავლეთი უკრაინაში ისეთი რევოლუციური პოლიტტექნოლოგიების დანერგვას გეგმავს, რომელსაც შემდეგ რუსეთთან მიმართებაშიც გამოიყენებს. „ამავე ტექნოლოგიით მოსკოვშიც ააბუნტებენ სტუდენტებს, გაჩნდება კარვები, ვარდებისა და მიხაკების ნაცვლად, მიმოზებს მოიტანენ და იქნება მიმოზების რევოლუცია,“ - ვარაუდობს ტელეკომპანია **НТВ**-ს პროგრამა „ფორთოხლის წვენის“ წამყვანი ვლადიმირ სოლოვიოვი. ხოლო მის გადაცემაში სტუმრობისას პოლიტოლოგმა გლებ პავლოვსკიმ განაცხადა: „ვფიქრობ, ისეთ სისულელეებს, როგორიც კუჩმამ ჩაიდინა, ჩვენ არ ჩავიდენთ“. **მედია-ნიუსი**

## აფხაზების მოწოდება

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში მოქმედმა ოპოზიციურმა ორგანიზაციებმა „აიტაირამ“, „ამცახარამ“, „ერთიანმა აფხაზეთმა“ და პროფკავშირების დამოუკიდებელმა ფედერაციამ უკრაინელ ხალხს მიმართა, რომელშიც უკრაინელებს მოუწოდეს, „თავი არ მოატყუებინონ იმ ძალებს, რომლებმაც თავის დროზე ჩვენი ერთობლივი ქვეყანა დაანგრიეს“. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, „უკრაინელებს თავს ახვევენ მტრებს აღმოსავლეთში და სთავაზობენ მეგობრებს დასავლეთში, მაგრამ აუცილებელია, ყველასთან მეგობრულად და მშვიდობით იცხოვრო“.

აფხაზეთის ოპოზიციური ორგანიზაციები გავრცელებულ განცხადებაში იმედს გამოთქვამენ, რომ უკრაინელ ხალხს ეყოფა სიბრძნე, არ გახდეს ამბიციური ლიდერების მძევალი, რომლებიც უკრაინის პოლიტიკურ პოლიგონად გადაქცევას აპირებენ.

„მსგავსი ექსპერიმენტები უკვე განხორციელდა სერბეთში და საქართველოში, შედეგი ცნობილია - ეს არ არის უბრალო ხალხის სასარგებლოდ,“ - ნათქვამია განცხადებაში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაასახელა უკრაინის ახალი პრეზიდენტი – ვიქტორ იანუკოვიჩი, მაგრამ, სამწუხაროდ, არჩევნების შედეგებმა უკრაინული საზოგადოება ორად გაყო და ძლიერ შიდა დაპირისპირებამდე მიიყვანა“. ამასთან, აფხაზური ოპოზიციური ორგანიზაციები აცხადებენ, რომ აფხაზეთის ხალხიც უკვე მეორე თვეა, მსგავს კრიზისს განიცდის.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, „სამ ოქტომბერს აფხაზეთში ჩატარებულ, პრეზიდენტის პირველ ალტერნატიულ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა სერგეი ბაგაფშმა, რომელიც გაერთიანებულ ოპოზიციას წარმოადგენდა. მიუხედავად საარჩევნო კომისიის, უმაღლესი სასამართლოს და პარლამენტის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ბაგაფში არჩეულ პრეზიდენტად გამოაცხადა, არჩევნებში დამარცხებულ აფხაზეთის ხელისუფლებას არ სურს, არჩევნების შედეგი აღიაროს, რამაც ვითარება ხელისუფლების არცთუ მრავალრიცხოვან მხარდამჭერებსა და მოსახლეობის დიდ ნაწილს შორის სახიფათო დაპირისპირებამდე მიიყვანა,“ - აღნიშნულია განცხადებაში. **პრაიმ-ნიუსი**


## განცხადება

**შპს “აჭარის ენერგოკომპანიის” დირექცია აცხადებს ღია ტენდერს პერსონალური კომპიუტერის შეძენაზე:**

ტენდერის საგანი:

**1. Pentium-4 - 512MB-120 GB-17”, რაოდენობა 5-დან 20 ცალამდე**

მომწოდებლის შერჩევის კრიტერიუმები:

1. ტექნიკური შესაბამისობა;
2. ღირებულება;
3. გადახდის პირობები;
4. მიწოდების ადგილი;
5. მომწოდებლის გამოცდილება მსგავსი შეკვეთების შესრულებაში.

გთხოვთ, თქვენი წინადადებები მოგვაწოდოთ ამა წლის 15 დეკემბრამდე.

საკონტაქტო ტელეფონები:
Fax: (888222) 7-63-46
Tel: 7-63-46
Mob: (899) 195580

გენერალური დირექტორი ***რუსლან ხოროშვილი***



# ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო

**FM 107,4**

## „პარლამენტის წინ გახსნილი მემორიალი სერიოზული კულტურული რევოლუციის ნიშანია“

„რადიო დილა“ ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე




წამყვანები ლელა ჯიბლაძე, გაგა გობრონიძე, გიორგი ბაბალაშვილი
სტუმარი შოთა ჩხაიძე ეროვნული ერთიანობის მემორიალის არქიტექტორი
მამუკა ჩხაიძე ეროვნული ერთიანობის მემორიალის მოქანდაკე

შოთა ჩხაიძე: ორი გამარჯვებული პროექტი ისე შეერწყა ერთმანეთს,რომ არცერთის იდეა დაიკარგა.

მამუკა ჩხაიძე: ჩვენ თავიდანვე ვიცოდით ყველასთვის მისაღები არ იქნებოდა და მოწინააღმდეგე მეტი გვეყოლებოდა ვიდრე მომხრე. ყველაზე დიდი შემფასებელი იქნება დრო და თაობები. ერთ-ერთმა დიდმა მოქანდაკემ დანგრეულ როტერდამს ძეგლი მიუძღვნა. ეს არის ძალიან ექსპრესიული ძეგლი. თავიდან ამ მოედანზე მოძრავი გრამვ აი მგზავრების სიცილის გამო აქეთ-იქით ქანაობდა, მაგრამ დღეს ეს ძეგლი როტერდამის სიმბოლოა.

რეგიონი

# გურჯაანში ყაჩაღთა ბანდის ლიდერი დააკავეს

*კახელი სამართალდამცველები დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლას კვლავ განაგრძობენ. ამ დროისთვის კი პოლიციელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება გახშირებულ ყაჩაღურ თავდასხმებს ექცევა. გუშინ საღამოს, გურჯაანის რაიონის პოლიციამ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, კახეთში გახმაურებული ყაჩაღური ჯგუფის ლიდერი არჩილ მაზანაშვილი დააკავა.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ბოლო ერთი თვის განმავლობაში კახეთის რეგიონში ყაჩაღური თავდასხმები გახშირდა. გარდა იმისა, რომ ბოროტმოქმედები მშვიდ მოსახლეობას თავს ესხმიან, სძალავენ ძვირფასეულობას და ფულს, ისინი მსხვერპლს ფიზიკურადაც უსწორდებიან. განსაკუთრებით ხმაურიანი ყაჩაღური თავდასხმა ამ ბოლო დროს საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში მოხდა, რომელიც რაიონის პოლიციამ არ გაახმაურა და აღნიშნული ინფორმაცია მედიის საშუალებებისთვის დაბლოკა. თუმცა, როგორც მოგვიანებით „24 საათისთვის“ გახდა ცნობილი, კუპატაძეების ოჯახში ბოროტმოქმედები სწორედ იმ დროს შევიდნენ, როცა ოჯახის დიასახლისი ასმათ კუპატაძე მასთან სტუმრად მყოფ მეზობელ ქალს აცილებდა. სახლში მიბრუნებულს კი მაგიდასთან სამი შეიარაღებული, ნიღბიანი პირი დახვდა. თავდამსხმელებმა კუპატაძის ოჯახის „გასუფთავება“ არ იკმარეს და შემდეგ, დაზარალებული ქალბატონი წინ, მეზობლის დასაყაჩაღებლად გაიმძღვარეს, რის გამოც ყაჩაღები ასმათ კუპატაძისგან წინააღმდეგობას წააწყდნენ. ბოროტმოქმედები კი მას ფიზიკურად გაუსწორდნენ...

ყაჩაღური თავდასხმები განსაკუთრებით ხშირი გურჯაანის რაიონში გახდა. როგორც გურჯაანის პოლიციის სამძებრო განყოფილების უფროსმა აჩიკო შაბურიშვილმა განგვიცხადა, პოლიცია დამნაშავეებს კვალში რამდენიმე კვირის წინ ჩაუდგა, მაგრამ მათი დაკავება ვერ ხერხდებოდა. გუშინ კი, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, აღნიშნულმა უწყებამ ყაჩაღური ბანდის ლიდერი არჩილ მაზანაშვილი დააკავა: **„მაზანაშვილი ლიდერია იმ ბანდისა, რომლის ჯგუფის წევრებიც მოქალაქეებზე თავდასხმებს ახდენდნენ. თუმცა ჯგუფის სხვა წევრების დაკავებაზე ოპერატიული სამძებრო მუშაობა მიმდინარეობს,“** - აცხადებს შაბურიშვილი.

გამოძიების მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, რომ არჩილ მაზანაშვილი უკვე ოცი წელია, რაც ბოროტმოქმედთა აღზრდით არის დაკავებული. მისი ბანდის წევრებმა კი პირველი ყაჩაღური თავდასხმა ათი წლის წინ, გურჯაანის რაიონში ჩაიდინეს. ამას სხვა დანაშაულებიც მიემატა. მართალია, მაზანაშვილს სასჯელის მოხდა თითქმის ყოველი ჩადენილი დანაშაულის შემდეგ უხდებოდა, მაგრამ ციხიდან გამოსვლის შემდეგ მაზანაშვილი დამნაშავეთა ახალ ჯგუფებს აყალიბებდა და „მოღვაწეობას“ კახეთის სხვადასხვა რაიონებში განაგრძობდა. აქვთ თუ არა ბანდის წევრებს კავშირი საგარეჯოში ჩადენილ დანაშაულთან, ამას გამოძიება დაადგენს. ამ დროისთვის კი მხოლოდ ის არის გარკვეული, რომ ყაჩაღები ნადავლის რეალიზაციას ყვარლის რაიონში ახდენდნენ. პოლიციამ არჩილ მაზანაშვილი ყვარელში სწორედ იმ დროს დააკავა, როცა მას საქონელი სარეალიზაციოდ თავისი ბანდის ერთ-ერთ წევრ ქალბატონთან, თამარ ნერსეზაშვილთან მიჰქონდა: **„ნერსეზაშვილი, ფაქტობრივად, ჯგუფის თანამონაწილეა, რადგან იგი მოპარული საქონლის რეალიზებას ახდენდა. თუმცა, ამ ეტაპზე ნერსეზაშვილის მიმართ, ჯერჯერობით, არანაირი სადამსჯელო ღონისძიებები არ გატარებულა,“** - ამბობს სამძებროს უფროსი არჩილ შაბურიშვილი.

აღსანიშნავია, რომ თამარ ნერსეზაშვილის საცხოვრებელი ბინიდან ამ დროისთვის უამრავი ძვირფასეულობაა ამოღებული. სავარაუდოდ, მოპარული ნივთები კი თავდამსხმელებს ექვსი ოჯახიდან აქვთ წამოღებული. რაც შეეხება ჯგუფის კიდევ სამი წევრს, მათ დასაკავებლად გურჯაანის პოლიცია ოპერატიულ სამძებრო მუშაობას განაგრძობს.

არჩილ მაზანაშვილის მიმართ უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მასალების მოკვლევას კი საგამოძიებო დეპარტამენტის გურჯაანის განყოფილება აწარმოებს.

# ექიმების პროტესტს ფოთის პოლიციის შეფი სკანდალური განცხადებით პასუხობს

პირველი გვერდიდან

რომლის მედ-პერსონალმა 24 ნოემბერს თავისი პროტესტის საჯაროდ გამოხატვა გადაწყვიტა. კოლექტივის თითქმის ყველა წევრმა, სხვადასხვა პერიოდში საკუთარ თავზე იწვნია გაქურდვისა და დაყაჩაღების სიმწარე. როგორც ექიმები ამბობენ, მათი საქმეები დღემდე გაუხსნელია. არც ხელისუფლებისთვის მიმართვამ გაჭრა, ვერც პოლიციის, თავად კრიმინალური სამაყაროს წარმომადგენლებთან კონტაქტმა გამოიღო შედეგი. არაერთგზის დაზარალებული თეთრხალათიანები ხმამაღლა საუბრობენ დამნაშავეთა ჯგუფების კარგ შეიარაღებაზე და მათ სამართალდამცავებთან ალიანსსაც არ გამორიცხავენ. საავადმყოფოში მომუშავე ექიმებმა გადაწყვიტეს, პროტესტის თავისებურ ფორმას მიმართონ. ისინი უარს აცხადებენ 15 საათის შემდეგ პროფესიული მოვალეობის შესრულებაზე.

*გია მიქაძე, საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგე:* **“სამი საათის შემდეგ გამოძახებაზე არ გავალთ. მით უმეტეს, ღამის საათებში. პრობლემის გადაწყვეტა მარტივად შეიძლება, მხოლოდ ქალაქის ხელისუფლებამ უნდა შეიწუხოს თავი და პოლიციის ხელმძღვანელადაც ისეთი კაცი დაინიშნოს, რომელსაც ნამდვილად ადარდებს ქალაქში მართლწესრიგის დაცვა.”**

*არსენა ტუღუში, ექიმი-ოტოლარინგოლოგი:* **“როგორ უნდა მივხედოთ ავადმყოფს, როცა შეურაცხყოფას შეურაცხყოფაზე გვაყენებენ. სულ შიშის ქვეშ ვიმყოფებით. საავადმყოფოში ვართ გამოძახებაზე და სულ იმას ვფიქრობთ, სახლში ხომ არ შემოგვივარდა ვინმე, კარზე გვიკაკუნებენ, ავადმყოფი გვგონია და ამ დროს დასაყაჩაღებლად მოდიან. მე არ ვიცი, რას აკეთებს და ვისთვისაა პოლიცია მაშინ, როცა ქალაქში ამდენი დანაშაული ხდება.”**

*მარინა ებრალიძე, საავადმყოფოს მთავარი ექიმი:* **“ექიმები უარს აცხადებენ ღამის საათებში გამოძახებებზე. ჩვენ ხომ უმეტესად უბედური შემთხვევისას დაზარალებული პაციენტები გვყავს. როგორ უნდა მოვთხოვო ექიმს, დახმარება გაუწიოს ავადმყოფს, როცა მისი ოჯახი ამ დროს, ფაქტობრივად, დაუცველია და სახლში დაბრუნებულს შესაძლოა, იქაურობა გაქურდული და დაყაჩაღებული დახვდეს. ქალაქში სამარცხვინო სიტუაციაა. აუცილებელია პოლიციის უფროსის შეცვლა. ამ თანამდებობაზე უნდა ინიშნებოდეს ფოთელი, ის, ვინც კარგად იცნობს ქალაქს, იცის, ვინ რითი სუნთქავს. საავადმყოფოში არ დარჩენილა ექიმი, რომელიც არ დაეყაჩაღებინოთ. გაიხსნა კი რომელიმე საქმე? – ამის შესახებ არაფერი შეგვიტყვია.”**

ქალაქის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმებს თავიანთ შეკრებაზე ფოთის პოლიციის უფროსი არ მიუწვევიათ. იმავე შეკრებაზე კი მისი გვარი ფიგურირებდა, რა თქმა უნდა, უარყოფითი კონტექსტითა და ექს-შერიფის, თენგო მიქაძის საქმიანობასთან შედარებით. **“დააბრუნონ მიქაძე, მის დროს გაცილებით მეტად ვიყავით დაცული, არც ამდენი დანაშაული ხდებოდა, ყაჩაღები ვერ ბედავდნენ ქალაქში თარეშს,”** – ამბობენ ექიმები.

ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ტოგო გოშუა ექიმთა აქციას შეკვეთილს უწოდებს. მისი ვარაუდით, იგი მიქაძის ახლობლებმა დაგეგმეს.

**“ჩემზე უკეთესი სიტუაცია მიქაძეს ქალაქში არ ჰქონდა და ვერც ექნება. მე რახან ფოთელი არ ვარ, ამიტომ ვარ ცუდი?! შეადარეთ დღევანდელს ის პირობები, რომელშიც ჩემს წინამორბედს უხდებოდა მუშაობა. ერთდროულად ორასი პოლიციელი გავათავისუფლეთ. გაუქმდა რამდენიმე ძალოვანი სამსახური. ფაქტობრივად, 81 თანამშრომლით მიხდება პორტის, რკინიგზის, მთლიანად ქალაქის გაკონტროლება. ჯერ კიდევ არ არის საპატრულო პოლიცია. მიუხედავად ამ ყველაფრისა, რაც მე დავიწინშნე, სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება,”** – აცხადებს გოშუა.

იგი შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსად მიმდინარე წლის ივლისში დაინიშნა. იმას, რომ სტატისტიკა გოშუას მტკიცების საწინააღმდეგოს მეტყველებს და თუნდაც 9 თვეში მომხდარი დანაშაული გასული წლის მაჩვენებლებთან შედარებით 131-დან 226-მდე გაიზარდა, ქალაქის მთავარი პოლიციელი იმ ფაქტორით ხსნის, რომ ნოემბრის რევოლუციამდე ზუსტი აღრიცხვიანობა არ მიმდინარეობდა. **“დღეს არც ერთი დანაშაული არ იფარება,”** – გვარწმუნებს იგი და გახსნილ საქმეებზე გვესაუბრება. ტოგო გოშუა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე პირობას დებს, რომ ექიმ ოდიშარიას დაყაჩაღების საქმეც არ დარჩება გაუხსნელი.

საავადმყოფოს პერსონალის აქციის თაობაზე კი პოლიციის უფროსი სკანდალურ კომენტარს აკეთებს: **“ქალაქში ნარკობიზნესთან ბრძოლა დავიწყეთ, აჟიოტაჟიც ამის გამო ატყდა. გამოვავლინეთ ნარკოტიკებით მოვაჭრეებთან სხვადასხვა პასუხისმგებელი მუშაკის კავშირიც. რამდენიმე დღის წინ დავაკავეთ მოქალაქე დოდო ხუნწარია, რომელიც 30 წელია, ამ ქალაქში ნარკოტიკების გამსაღებელია და ხელი ვერავინ ახლო. სწორედ ხუნწარიამ ახსენა სასამართლოზე ზოგიერთის, მათ შორის, საავადმყოფოს მთავარი ექიმის გვარი. ესაა მიზეზი. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ბოლომდე გამოვიკვლიო და ვამხილო ნარკობარონებთან ექიმების ალიანსის ფაქტები.”**

ამგვარია დაპირისპირების გოშუასეული მოტივი. **“ჩემს დაჩაგვრას ვერ ავიტან,”** – აცხადებს პოლიციის შეფი. თუ დაუცველობასა და დაჩაგვრას ერთი კონტექსტით მოვიხსენიებთ, იოლი მისახვედრია, როგორ გრძნობენ თავს მათი “სიმშვიდისა და უსაფრთხოების სადარაჯოზე” მდგარი 81 პოლიციელის იმედად დარჩენილი ფოთელები ქალაქში, სადაც საკუთარ სახლში კარზე მოკაკუნების გეშინია და ქუჩაში უცხო ნაბიჯების ხმაზე გაკანკალებს; ქალაქში, რომელიც შებინდებისთანავე წყვდიადში ეხვევა და ნამდვილად არ ეტყობა “დიდი სამომავლო პერსპექტივების მქონისა” და “ევროპის კარიბჭის” ნიშან-წყალი.

**P. S.** სწორედ იმ დღეებში, როცა ექიმები არსებულ პრობლემებზე მსჯელობდნენ, შერიფი კი თავის სიმართლეს გვიმტკიცებდა, ცენტრალურ საავადმყოფოში ერთ-ერთ მოქალაქეს მძიმე ოპერაცია გაუკეთდა. მას, ქუჩაში ქვეითად მიმავალს, ავტომანქანა დაეჯახა და საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში მიიყვანეს. დამნაშავე, რა თქმა უნდა, მიიმალა. ალბათ, ისიც იმ იმედით, რომ საქმე გაუხსნელი დარჩება...

მოკლედ

## იმერეთის გუბერნატორი ხალხს ფიზიკურად უსწორდება?

„გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ თანამშრომელთა განცხადებით, 27 ნოემბერს, გამთენიისას, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა იმერეთის გუბერნატორმა გია გეწაძემ ქუთაისის ენერგოკომპანიის ერთი თანამშრომელი ოფისიდან გამოიხმო, მანქანაში ჩაისვა, ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი სცემა. ერთი საათის შემდეგ, დილის 06.00 საათისთვის, რწმუნებული ანალოგიურად გაუსწორდა კომპანიის მეორე თანამშრომელს. მომხდარი ინციდენტის გამო, ქუთაისის რეგიონულმა ფილიალმა ფუნქციონირება გაურკვეველი ვადით შეაჩერა.

ქუთაისის ფილიალის ორი თანამშრომლის ცემის ფაქტით აღშფოთებული „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ამერიკელ მენეჯერებს დაგეგმილი აქვთ, რომ იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის გია გეწაძის შესახებ მასალები სამართალდამცველებს გადასცენ და შასაბამისი რეაგირების მოხდენას მოითხოვენ.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, ცემის ფაქტთან დაკავშირებით შიდასამსახურებრივი მოკვლევა უკვე დასრულებულია და თუ ამ პრეცედენტს შესაბამისი რეაგირება არ მოჰყვება, კომპანიის მუშაობა შეუძლებელი გახდება, „ვინაიდან სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან უნდა მოდიოდეს კომპანიასთან კონსტრუქციული ურთიერთობის მაგალითი“.

მიუხედავად კომპანიაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობისა, ქუთაისის მოსახლეობის ელექტრომომარაგება ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, „24 საათს“ სურდა, თავად იმერეთის გუბერნატორის პოზიციაც დაეფიქსირებინა, მაგრამ გეწაძესთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. იგი ტელეფონს მთელი დღის განმავლობაში არ პასუხობდა.
**24 საათი**

## პატრულისადმი წინააღმდეგობის გამწევთ სასამართლომ სხვადასხვა გადაწყვეტილება გამოუტანა

გუშინ თბილისის საოლქო სასამართლო 24 ნოემბერს პატრულის მიერ დაკავებული ხუთი ახალგაზრდისთვის შეფარდებული წინასწარი პატიმრობის კანონიერებას განიხილავდა. ზემდგომმა სასამართლომ პროკურატურის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. ხუთი ახალგაზრდიდან სამს - გიორგი ქურდაძეს, აკაკი ბართაიას და კახაბერ აზარაშვილს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, ორის, ლევან დანგაძის და ირაკლი მიქაბერიძის მიმართ კი ძალაში დატოვა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ შეფარდებული პოლიციის ზედამხედველობა.

როგორც ცნობილია, 24 ნოემბერს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა საეჭვოდ მიიჩნიეს ავტომანქანა, რომელშიც აღნიშნული პირები ისხდნენ. სამართალდამცავების ინფორმაციით, ახალგაზრდები პატრულს არ დაემორჩილნენ და მანქანიდან ცეცხლი გაუხსნეს. ორმხრივი სროლისას ადგილზე დაიღუპა 19 წლის ამირან რობაქიძე.

პატრულის ინფორმაციით, ავტომანქანიდან ამოღებულია ორი ავტომატი, პისტოლეტი „კოლტი“, ხელყუმბარა და ვაზნები. დაკავებული ახალგაზრდების ახლობლები აცხადებენ, რომ ისინი პატრულს დაემორჩილნენ, მაგრამ კონფლიქტი მას შემდეგ მოხდა, რაც ერთ-ერთმა პატრულმა დაკავებულებს შეაგინა.

დაპატიმრებულთა ნათესავებს ეჭვი სასამართლოს ობიექტურებაში შეაქვთ – „სასამართლო არაობიექტური იყო და გაუგებარი დარჩა, რა პრინციპით ალუკვეთეს სამს თავისუფლება, ორს კი პოლიციის ზედამხედველობა აკმარეს,“ – ამბობდნენ სასამართლო პროცესის შემდეგ ახლობლები.
**24 საათი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# კომპრომისზე წასვლა ავტონომიის შექმნას არ ნიშნავს




*უკრაინაში განვითარებული მოვლენები შესანიშნავი მაგალითია იმისა, რომ აქვს საზღვარი ხალხის დაცინვას, არჩევნების გაყალბებას, თავისუფალ საინფორმაციო საშუალებებზე ზეწოლას.*

პირველი გვერდიდან

უკრაინა პოლიტიკური კრიზისის გარდა, საკანონმდებლო ჩიხშიც მოექცა და ვინაიდან, უკრაინული კანონის თანახმად, შეუძლებელია მთლიანად არჩევნების უკანონოდ ცნობა, იურისტთა რეკომენდაციით ერთადერთი გზა რჩება, კერძოდ კი, უზენაესმა სასამართლომ გაყალბებულად ცნოს მხოლოდ არჩევნების მეორე ტურის შედეგები, რასაც უკრაინაში დღეისათვის ელიან. რაც შეეხება უმაღლეს რადას, საგანგებო სხდომაზე თავისი პოზიციები უკვე დააფიქსირეს, როგორც სახელისუფლებო ფრაქციებმა, ასევე ოპოზიციონერებმა. ოპოზიციურმა ფრთამ დე იურე პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას მოუწოდა ცესკო-ს ახალი შემადგენლობის ფორმირებისაკენ, რომელშიც ხუთი კაცი ოპოზიციის წარმომადგენელი, ხუთი - სახელისუფლებო ბლოკის, ხოლო ხუთიც - რადას მიერ დანიშნული იქნება.

ვითარება უკრაინაში მართლაც უნიკალურია. თუ ცესკო-ს მონაცემებით გამარჯვებული იანუკოვიჩის მომხრეები ტოლს არ უდებენ ოპოზიციონერებს და მიტინგს მართავენ თავიანთი კანდიდატურის მხარდასაჭერად, საპრეზიდენტო ალთქმადადებული იუშენკო თავისუფლების მოედანზე შეკრებილ მომხრეებს არა მარტო მორალური თანადგომისათვის, არამედ ფინანსური მხარდაჭერისათვისაც მიმართავს და "პრეზიდენტის ბრძანებულებებსაც" გასცემს, ხოლო მოქმედ პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას რევოლუციური განწყობით დამუხტული უკრაინელი ხალხი სამუშაო ადგილზე არ უშვებს, რათა არაოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კუჩმას მიერ იანუკოვიჩისათვის ხელისუფლების გადაბარების აქტის ხელმოწერას შეუშალოს ხელი. გუშინვე, ყინულის სასახლეში, უკრაინის 17 რეგიონის (დონეცკის, დნეპროპეტროვსკის, ჟიტომირის, ზაპოროჟიეს, იმიერკარპატეთის, კიროვოგრადის, ლუგანსკის, ნიკოლაევის, ოდესის, პოლტავის, სუმის, ხარკოვის, ხერსონის, ჩერკასკის, ჩერნიგოვის ოლქების, ყირიმისა და სევასტოპოლის) დელეგატების სხდომაც გაიმართა. სხდომაზე ვიქტორ იანუკოვიჩი მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის თანხლებით გამოცხადდა, სადაც მას დელეგატები ფეხზე წამომდგარი და შეძახილით: "პრეზიდენტი, პრეზიდენტი", შეეგებნენ. აღნიშნულ სხდომაზე განხილვის თემებს უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში ცალკე საგადასახადო, საბანკო და საფინანსო სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენდა, რაც ფაქტობრივად, უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ავტონომიის შექმნას ნიშნავს. თუმცა, ლუგანსკის ოლქის წარმომადგენლის ვიქტორ ტიხონოვის განცხადებით, ჩრდილოეთ დონეცკის საერთოუკრაინული სხდომის მოწვევის მიზანი რეგიონების საბჭოს შექმნაა და "ავტონომიის საკითხი, ჯერჯერობით, არ განიხილება. ავტონომიაზე საუბარი რეალურ სახეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუკი ქვეყანას არალეგიტიმური პრეზიდენტი ეყოლება".

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ოპოზიციონერმა იუშენკომ ხელისუფლება სეპარატიზმის გაღვივების მცდელობაში დაადანაშაულა. "სხდომაზე განხილული საკითხები სხვა არაფერია, თუ არა ხელისუფლების მხრიდან სეპარატიზმზე დადებული ფსონები,"- აღნიშნა სახალხო "პრეზიდენტმა". მან მოითხოვა ჩრდილოეთ დონეცკის სხდომის ინიციატორ დეპუტატთა წინააღმდეგ სასწრაფოდ სისხლის სამართლის დანაშაულის კოდექსის მუხლით საქმის აღძვრა. იმავდროულად, მან დონბასის მოსახლეობასაც მიმართა, არ დაეჭირათ მხარი ქვეყნის გაყოფის ინიციატივისათვის და მათ ინტეგრაციის პოლიტიკის გატარებას დაჰპირდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოპოზიციონერი კანდიდატის თანამოაზრე აღმოჩნდა ლეონიდ კუჩმა, რომელიც ასევე არალეგიტიმურს უწოდებს სამხრეთ-აღმოსავლეთი ავტონომიის შექმნის იდეას და მხარეებს ქვეყნის საბოლოოდ გახლეჩის თავიდან აცილებისათვის პოლიტიკური გზით კომპრომისის მონახვისაკენ მოუწოდებს. "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების მიერ გაცხადებული იდეები არ შეესაბამება არც კონსტიტუციას და არც უკრაინის კანონმდებლობას,"- აღნიშნა კუჩმამ უმაღლესი რადის სპიკერთან ვლადიმირ ლიტვინთან საუბრისას.

გუშინვე, მოსკოვში, უკრაინის საელჩოსთან გამართულ მიტინგზე ვიქტორ იუშენკოს მხარდასაჭერად მოსული დემოკრატების, მათ შორის "იაბლოკოს" წარმომადგენლებიც იყვნენ, პირისპირ კომუნისტებიც გამოჩნდნენ. მათ შორის მილიციის კორდონი იყო განთავსებული. კომუნისტების სკანდირებას: "ფაშიზმი არ გამოგივათ!", დემოკრატები "იუშენკო"-ს შეძახილებით ხვდებოდნენ. "იაბლოკო"-ს წარმომადგენლის ალექსეი მიტროხინის განცხადებით, "უკრაინაში განვითარებული მოვლენები შესანიშნავი მაგალითია იმისა, რომ აქვს საზღვარი ხალხის დაცინვას, არჩევნების გაყალბებას, თავისუფალ საინფორმაციო საშუალებებზე ზეწოლას. ამ ზღვარს სახელად რევოლუცია ჰქვია".

# „უკრაინის შემდეგ რუსეთის ჯერი დგება"

**ინტერვიუ საერთაშორისო საქმეებში ნაციონალური სამოქალაქო საბჭოს თავმჯდომარესთან, პოლიტოლოგ სერგეი მარკოვთან**

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

**- უკრაინის მოვლენებმა რუსული პოლიტიკური ელიტა ორ ბანაკად გაყო – ერთნი ოპოზიციას ულოცავენ გამარჯვებას, თქვენ კი ამტკიცებთ, რომ პრეზიდენტი იანუკოვიჩი გახდა. იქნებ აგვიხსნათ, რომელი მხარეა მართალი?**

- ის, ვინც უკრაინული ოპოზიციის გამარჯვებაზე საუბრობს, მწარედ ცდება. ელიტაშიც არიან მოსყიდულები, ისევე, როგორც თბილისსა და ბელგრადში იყვნენ. რუსეთის ხელისუფლების პარტია, პრეზიდენტი, წამყვანი პოლიტიკური ძალები დარწმუნებული არიან იანუკოვიჩის გამარჯვებაში. მე მოვლენათა განვითარების ასეთ სცენარს ვხედავ: ერთ თვეში მიტინგომანია გაივლის, რადგანაც დღეს ოპოზიციის პოპულარობის მიუხედავად, კიევში აღარ არის ნარინჯისფერი მონოპოლია, ამიტომ ახალი წლისათვის კარვებიც გაქრება და იუშენკოს მხარდამჭერები სახლებში წავლენ. უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა მხოლოდ რუსეთის დამსახურებაა. თუკი უკრაინა რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე უარს იტყვის, იგი აუცილებლად დაიშლება.

**- არ მიგაჩნიათ, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებულია უკრაინის რეგიონებში მიმდინარე გამოსვლებით?**

- რუსეთის ინტერესებში არ შედის კიევის ქუჩებში ამერიკელი ინსტრუქტორების სიარული, როგორც ეს თბილისში ხდება. დღეს დასავლეთი უზომოდაა დაინტერესებული უკრაინის დაქუცმაცებით, ამიტომ უცხადებენ ისინი ბოიკოტს არჩევნების შედეგებს. რუსეთი შეეცდება, დაიყოლიოს დასავლეთი იანუკოვიჩის ცნობაზე. უკრაინის დაშლის პროცესის შეჩერება მხოლოდ რუსეთს შეუძლია.

**- რატომ ერევა რუსეთი ასე აქტიურად მეზობელი სახელმწიფოს საარჩევნო სისტემაში და ღირს თუ არა დასავლეთის გადარწმუნება?**

- დღეს უკვე ადგილი აქვს დასავლეთ ევროპის საზღვრების გადანაწილებას. რუსეთი იძულებულია, უკრაინით იყოს დაინტერესებული, რადგანაც ესაა მისი სასიცოცხლო პოლიტიკური ინტერესების ზონა. რუსეთი თუ აქტიურად არ ჩაერევა, უკრაინა მართლა დაიშლება, რის შემდეგაც ლოგიკურად დგება რუსეთის ჯერიც. მოსკოვს არ შეუძლია, გულხელდაკრეფილი იჯდეს და ელოდოს, როდის დადგება საათი "იქსი".

**- კრემლისათვის არასასურველი სცენარის გათამაშების შემთხვევაში, როგორ გგონიათ, რა მოვლენებთან გვექნება საქმე რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებში და იყო თუ არა რუსეთის ჩარევა უკრაინის არჩევნებში წარმატებული?**

- რუსეთის ჩარევა წარმატებული არ იყო. მაგრამ, ეს იყო იძულებული სვლა. თუკი უკრაინა დაიშალა, იგივე სცენარი გათამაშდება უახლოეს მომავალში რუსეთშიც, პირველ რიგში, მოხდება სრული გაუცხოება, რაც შედის კიდეც აშშ-ს ინტერესებში, რათა რუსეთს საბოლოო დარტყმა მიაყენონ. იუშენკოს გაპრეზიდენტების შემთხვევაში უკრაინა დაიყოფა და იქ საერთაშორისო სამშვიდობო ძალები შევლენ. უკვე მზადდება დასავლეთის სახელმწიფოებში უკრაინის პასპორტების მასობრივი დაწვის აქციები.

**- დღეს რუსული პოლიტიკური ელიტა აქტიურად საუბრობს იმაზე, რომ უკრაინაში მომხდარი და მოსახდენი მოვლენები საზღვარგარეთიდან იმართება.**

- სრული სიმართლეა, რადგანაც ჩვენ ხელთ გვაქვს აშკარა ფაქტები, რომ იუშენკოს კამპანიის მთავარი ფინანსისტი ჯორჯ სოროსია, ხოლო მთავარი იდეოლოგები – ზბიგნევ ბზეჟინსკის შვილები მარკი და იანი. კიევში მღელვარებებს ოსტატურად მართავს ამერიკული ორგანიზაცია "ფრიდომ ჰაუსი", რომლის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული ამოცანა ბუშ-პუტინის გადაკიდება იყო. მათ ამას ნაწილობრივ მიაღწიეს, ამიტომ იმარჯვებს ბელგრადის სცენარი. საინტერესოა, რომ უკრაინის მოვლენებში სახეზეა პოლონეთის აშკარა ექსპანსიაც. ცუდია, რომ კიევის ოპოზიცია პოლონეთის იმპერიულ ამბიციებზე თამაშობს.

2004 წლის 10 დეკემბერს თბილისში ტარდება

ავსტრიული ფირმების ეკონომიკური მისია

**მისია ტარდება დსთ-ს ქვეყნებში ავტრიის საელჩოს სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით.**

**დაინტერესებულ შესაბამისი პროფილის ქართულ ფირმებს შესაძლებლობა ექნებათ, შეხვდნენ შემდეგ ავსტრიულ კომპანიებს:**

**AUSTRIA PUMA DASSLER**
www.puma.com
ფირმა აწარმოებს მარკა "PUMA" სახელწოდებით სპორტულ პროდუქციას: **სპორტული სტილის მოდურ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს**, აგრეთვე აღჭურვილობას სპორტული გუნდებისათვის.

**BEFA HANDELSGMBH**
www.befa.net
ფირმა აწარმოებს და ამონტაჟებს **დანადგარებს თხევადი და ფხვიერი სახის სამომხმარებლო სარეცხი საშუალებების,** საწარმოო გამრეცხების, აგრეთვე კოსმეტიკური პროდუქციის, სხეულის მოვლის საშუალებების, ავტომობილის მოვლის საშუალებების საწარმოებლად.

**DRUG IMPEX**
www.drugimpex.at
ფირმა გთავაზობთ აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა სახის მედიკამენტებს, სამედიცინო და სამედიცინო-ტექნიკურ პროდუქციას. Aსევე დაინტერესებულ კომპანიებს სთავაზობს სარეგისტრაციო, მარკეტინგულ და სადისტრიბუციო მომსახურებას ევროპის ქვეყნებში.

**FIRMENICH GmbH**
www.firmenich.com
ფირმა აწარმოებს არომატიზატორებსა და საგემოვნო დანამატებს, ასევე ყველა სახის ბუნებრივსა და ბუნებრივის ანალოგიურ საგემოვნო ნივთიერებებს კვების მრეწველობისათვის.

**GRUBER & Co GROUP**
www.gruberextrusion.com
ფირმა აწარმოებს **ექსტრუზიულ დანადგარებსა და ხელსაწყოებს** კარ-ფანჯრის პროფილების, ფანჯრის რაფების, პანელების, პლინტუსების, კაბელური არხების და ღობეების პროფილების საწარმოებლად.

**KLINGLMAYR-EAST-TRADING GMBH**
ფირმა გთავაზობთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკას მოსავლის ასაღებად (ცელებს, სპეციალურ წნეხებს, ურიკა - დამტვირთავები), ტექნიკას ნიადაგის დასამუშავებლად (გუთნებს, კულტივატორებს, სათეს მანქანებს), ასევე პოლიეთილენის ლენტებს დაწნეხილი სილოსის შესახვევად.

**KOLARZ LEUCHTEN GmbH**
www.kolarz-leuchten.at
ფირმა აწარმოებს 2500 სახის **დეკორატიულ გამანათებელ საშუალებას** როგორც შიდა საცხოვრებელი ფართის, აგრეთვე ბაღის და ქუჩის გასანათებლად.

**LOOS AUSTRIA GMBH**
www.loos.at
ფირმა აწარმოებს **წყალგამათბობელ** 750-38000 კვტ. სიმძლავრის სამრეწველო ქვაბებს, **ორთქლის** 80-55000 კგ/სთ. სიმძლავრის **ქვაბებს** და აგრეთვე ყველა სახის მაკომპლექტებელ ნაწილებს ქვაბებისათვის (ეკონომაიზერებს, დეაერატორებს, ორთქლგამაცხელებლებს და ა.შ).

**ORION LEUCHTENFABRIK**
www.orion.co.at
ფირმა აწარმოებს **დეკორატიულ გამნათებლებს** საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისათვის.

**PURNER INGENIEURG. MBH**
www.poerner.at
კომპანია სპეციალიზირებულია **პროექტირებაში, ასევე ნავთობ- და გაზგადამ-მუშავებელი, ქიმიური და სხვა დარგის საწარმოებისათვის მოწყობილობების მიწოდებასა და დამონტაჟებაში;**

**RUSSIA Fachspedition Dr.Lassmann GmbH.**
ექსპედიტორულ კომპანიას გააჩნია მდიდარი გამოცდილება ტვირთების **ადგილობრივ და საერთაშორისო გადაზიდვებში,** დსთ-ს ქვეყნებში ტვირთების იმპორტის და ექსპორტის დროს საბაჟო მომსახურებაში.
ფირმას გააჩნია საკუთარი წარმომადგენლობა ბაქოში. კომპანია სპეციალიზირდება არა მხოლოდ სარკინიგზო და საავტომობილო, არამედ ნებისმიერი ტვირთის ყველა სახის გადაზიდვებში.

**SIEBTECHNIK GMBH**
www.siebtechnik.com
კომპანია აწარმოებს სხვადასხვა სახის სპეციალიზირებულ საწარმოო დანადგარებს ( ცენტრიფუგებს, გამაშრობლებს, ლაბორატორიულ ხელსაწყოებს, სატრანსპორტო ლენტებს გვირაბ-ღუმელისათვის, საკრისტალიზაციო დანადგარებს და ა.შ.) ქიმიური, სამთო მოპოვებული, მეტალურგიული, ფარმაცევტული, კვების მრეწველობისა და სხვა სფეროებისათვის.

საქართველოს ფირმებისა და კომპანიების წარმომადგენლებს ვიწვევთ შეხვედრაზე. დაინტერესებულ პირებს დაწვრილებით ინფორმაცია ავსტრიული კომპანიებისა და მისიის ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:
**39 07 38 , 39 11 30.**



# რა მანძილია ევროკავშირამდე?

*ორი დღის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (GEPLAC) უკრაინის, სომხეთის, მოლდოვას და აზერბაიჯანის მსგავსი ორგანიზაციების წარმომადგენლებს მასპინძლობდა. სტუმრობის ფარგლებში სპეციალური სემინარი ჩატარდა, რომელიც ევროკავშირთან დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილების გაზიარებას მიეძღვნა.*

დიანა ჩაჩუა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA) ხუთი წლის წინ დაიდო და როგორც მასზე მომუშავე სპეციალისტები აცხადებენ, უკვე მნიშვნელოვანი გამოცდილება დაგროვდა. აღნიშნული შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ურთიერთობები ევროკავშირთან გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებს ერთობლივი მუშაობის და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას აძლევს.

სოფელ შინდისის სასტუმრო „სოფლის სახლში" გამართული ორდღიანი სემინარის მიზანიც სწორედ გამოცდილებების გაზიარება და მასზე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ზეგავლენის განსაზღვრა იყო. სემინარი მისასალმებელი სიტყვით საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ტორბენ ჰოლცემ გახსნა. შემდგომი ორი დღის განმავლობაში კი მას GEPLAC-ის ევროპელი დირექტორი მარკ ჰადსონი უძღვებოდა.

**„ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი შეხვედრები, რადგან ამის საშუალებით კოლეგები ერთმანეთს გამოცდილებებს უზიარებენ. ამ ხუთი ქვეყნიდან ზოგი დიდია, ზოგი - პატარა, ზოგი - მეტად განვითარებული, ზოგი - ნაკლებად, მაგრამ მათ ყველას ერთი მიზანი აერთიანებს - დაუახლოვდნენ ევროკავშირს,"** - განაცხადა მარკ ჰადსონმა.

PCA მრავალ სფეროს მოიცავს, თუმცა მათ შორის დიდი ყურადღება ქვეყნების ევროკავშირში ეკონომიკურ ინტეგრაციაზე გამახვილდა. საქართველომ უმნიშვნელოვანეს პრობლემებად ამ მიმართულებით უკვე მერამდენეჯერ ბიზნესისთვის არახელსაყრელი პირობები, ცუდი კანონმდებლობა, კორუფცია და ბიუროკრატია დაასახელა. ასევე, ხაზი გაესვა ეკონომიკისათვის ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობას. მარკ ჰადსონის თქმით, საქართველოს მთავარი მიზანი კანონების ჰარმონიზაცია უნდა იყოს, რადგან **"ეს ბიზნესის გარემოს გაუმჯობესებისათვის კარგი პირობაა,"** – დაამატა მან.

როგორც მოლდოვის ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელმა მარიანა ზოლოტკომ განაცხადა, ევროკავშირთან დაახლოების პროცესი ძალიან დიდ თანხებს მოითხოვს და გაწეული ხარჯების ამოღების გზები ქვეყნის მიერ განსაზღვრული უნდა იყოს.

მარკ ჰადსონმა თავი შეიკავა პასუხისაგან „24 საათის" კითხვაზე - სემინარზე დამსწრე ხუთი ქვეყნიდან რომელი უფრო ახლოსაა ევროკავშირთან? თუმცა განაცხადა: გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს პოლიტიკური კავშირები ევროპასთან უფრო წინ წასულია, ამ თვალსაზრისით, საქართველო ევროკავშირთან უფრო ახლოსაა.

# იტალია საქართველოთი ინტერესდება

*იტალიელი ბიზნესმენები საქრთველოთი ინტერესდებიან. დღეს და ხვალ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტი" იტალია-საქართველოს ბიზნეს-ფორუმს უმასპინძლებს. ფორუმში მონაწილეობას, ოფიციალური პირების გარდა, კერძო სექტორის წარმომადგენლებიც მიიღებენ. იტალიის მთავრობის ხელშეწყობითა და თანადაფინანსებით კი განხორციელებას იწყებს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტი, რომლის ღირებულება 500 ათასი ევროა.*

ეთერ მამულაშვილი

ორი დღის განმავლობაში იტალიელ ბიზნესმენებს შესაძლებლობა მიეცემათ, საქართველოში არსებულ საინვესტიციო კლიმატს და ქართულ სამრეწველო პოტენციალს გაეცნონ. ბიზნეს-კონფერენციაში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა მინისტრები, სამინისტროების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. კონფერენციის გახსნას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიაც დაესწრება.

იტალია-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტს აფინანსებს იტალიის მრეწველობის სამინისტრო და ქალაქ კაზერეტას მეწარმეთა კავშირი, იტალიურ საკონსულტაციო ფირმა Exan-თან თანამშრომლობით.

საქართველოში, იტალიის საელჩოში, ამ პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. როგორც იტალიის ელჩმა ფაბრიციო რომანომ აღნიშნა, პროექტის მიზანია ქართული ბაზრისა და ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობების შესწავლა, რაც, მისი თქმით, შემდგომში ხელს შეუწყობს უცხოელ, მათ შორის - იტალიელ ინვესტორებს, საქართველოს და, მისი მეშვეობით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სამრეწველო სივრცის გახსნაში. იტალიის ელჩი იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება კონტაქტების შემდგომი გაღრმავებისთვის შესაბამის პირობებს შექმნის.

იტალია-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტის ადგილობრივი პარტნიორია საქართველოს ბიზნეს-კონფედერაცია, რომლის თავმჯდომარემ საბა სარიშვილმა "24 საათთან" საუბრის დროს განაცხადა, რომ ყველა პოტენციურ იტალიელ ინვესტორს ოპერატიულად მიეწოდება ინფორმაცია იმ ობიექტისა თუ საწარმოს შესახებ, რომელსაც ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გასაყიდად გამოიტანს. სარიშვილი ამბობს, რომ მინისტრ კახა ბენდუქიძის მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში არის ბევრი რამ, რითაც შესაძლოა იტალიელი ბიზნესმენები დაინტერესდნენ.

სარიშვილის თქმით, საქართველოთი დაინტერესების შემთხვევაში იტალიელ ბიზნესმენებს ადგილობრივი კანონებისა და პირობების შესახებ სპეციალური კონსულტაციები ჩაუტარდებათ.

ამავე პროექტის ფარგლებში მოხდება ექსპერტების შერჩევა, მათი მომზადება, საინვესტიციო ბაზის შექმნა და პოტენციური ინვესტორებისათვის საქმიანი წინადადებების მიწოდება, მომზადდება სპეციალური ვებ-გვერდიც, ჩატარდება სხვადასხვა სემინარები და ბიზნეს-ფორუმები. მონაცემთა ბაზა, რომელიც საქართველოსა და იტალიაში მოღვაწე ბიზნესმენების, მეწარმეების, კომერციული კომპანიებისა და მათი საქმიანობის შესახებ დეტალურ ინფორმაციას გულისხმობს, მუდმივად განახლდება.

ხსენებული პროექტი სამნაწილიანია და ის მომავალი წლის სექტემბერში საქართველოსადმი მიძღვნილი, ქვეყნის პრეზენტაციით დასრულდება იტალიის ორ დიდ ქალაქში, რომსა და კაზერტაში.

# აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვარზე ტვირთები ისევ გაჩერებულია

*აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრის აზერბაიჯანის მონაკვეთზე, რკინიგზაზე გაჩერებული ტვირთების გამოტარება, შესაძლოა, მომავალ კვირას აღდგეს. წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა საწარმოებლად, გუშინ ბაქოში შპს „საქართველოს რკინიგზის" კომერციული დირექტორი რამაზ გიორგაძე გაემგზავრა. დღეს კი საგარეო საქმეთა სამინისტროში აზერბაიჯანის ელჩს ელიან.*

„საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის, დავით ონოფრიშვილის განცხადებით, ათ დღეზე მეტია, აზერბაიჯანის საზღვრიდან რკინიგზით ტვირთების გამოტარების პროცედურა გართულებულია.

**„დღეს, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, უკვე 900-მდე ვაგონია გაჩერებული. თუმცა, ამის ოფიციალურ მიზეზებს მეზობელი ქვეყნის არც ერთი სტრუქტურა არ ასახელებს,"** - აღნიშნა მან.

„საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის თქმით, მათ წერილობით მიმართეს აზერბაიჯანის რკინიგზის ხელმძღვანელობას, მაგრამ ოფიციალური პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

განსაზღვრული არ არის ზარალის ოდენობაც. თუ საქართველო სატრანზიტო შემოსავლებს კარგავს, მალფუჭებადი პროდუქტების მფლობელებს ასევე სერიოზული პრობლემები უჩნდებათ.

**„კერძო საუბრებში, აზერბაიჯანის რკინიგზის ხელმძღვანელობა მოტივად იმას ასახელებს, რომ არსებობს ეჭვი, თითქოს ტვირთების გარკვეული ნაწილი, შესაძლოა, სომხეთში ხვდებოდეს. ამიტომ, აზერბაიჯანის უშიშროების სამსახური ამ ტვირთებს დეტალურად ამოწმებს,"** - აცხადებს ონოფრიშვილი.

მისი აზრით, აღნიშნული საკითხი მხოლოდ სარკინიგზო უწყებათა დონეზე ვერ მოგვარდება და უფრო მაღალი რანგის წარმომადგენელთა მსჯელობის საგანი იქნება.

დღეისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაბარებულია აზერბაიჯანის ელჩი, რომლისგანაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტებებს ელიან.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 29 ნოემბერს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები პარლამენტის მომავალი კვირის მუშაობის დღის წესრიგს და განსახილველ საკითხებს შეათანხმებენ. მომავალი კვირის ხუთშაბათს და პარასკევს შესაძლოა, პარლამენტის რიგგარეშე სხდომებიც გაიმართოს. იგი ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის მეორე მოსმენით განხილვას დაეთმობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 27 ნოემბერს, ღამით, თბილისში ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა ისან-სამგორის რაიონის რამდენიმე უბანს, კერძოდ, მოსკოვის გამზირსა და ვაზისუბანს. ამის მიზეზი გახდა ვარკეთილის გადასახვევთან ბუნებრივი აირის მილსადენის დაზიანება, რომელიც ავტომანქანის შეჯახების გამო გასკდა. ბუნებრივი აირის მიწოდება 29 ნოემბრისთვის აღდგება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციით, 26 ნოემბერს ცენტრალური ბიუჯეტიდან სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის 5.217.1 ათასი ლარი გამოიყო. ამ თანხიდან სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებას 889.1 ათასი ლარი მოხმარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების კვების ხარჯებს - 77.0 ათასი ლარი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი (ევროკავშირის სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა) 152.0 ათასი ლარით შეივსო. **მედია-ნიუსი**

## ანა კალანდაძის ლექსებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შესახებ

დასრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის საიუბილეოდ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ პოეტის ლექსებზე გამოცხადებული კონკურსი მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად.

ჟიურიმ კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის თავმჯდომარეობით პრემიები გაანაწილა შემდეგნაირად:

**საგუნდო ჟანრში** არ გაიცა არც ერთი პრემია.

**რომანსის ჟანრში** II და III პრემია მიენიჭა ვაჟა აზარაშვილს რომანსებისთვის "შემოდიოდა ჩვენში კალანდა" და "თქვი, ჭიამარია".

**სიმღერის ჟანრში** II პრემია მიენიჭა ნანა კალანდაძეს სიმღერისათვის "ახლა აპრილის ჩუმი ღამეა".

**საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა იურისტებს, რომლებიც 2005-2006 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროკავშირის ქვეყნების ან ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტებში. დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე**

**ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!**

**სასწავლო და სამეცნიერო გრანტი გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, ვინც წარმოადგენს ოფიციალურ წერილს ევროკავშირის ქვეყნების ან აშშ-ის რომელიმე უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ, რაც ადასტურებს, რომ კანდიდატს გავლილი აქვს უნივერსიტეტში სწავლის ან სამეცნიერო მუშაობის დასაწყებად აუცილებელი ყველა ეტაპი (წინასწარი გასაუბრება, კონკურსი, გამოცდა და ა.შ.).**

*განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 1 ივნისი.*

დეტალური ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდებზე:
www.drf.org.ge
www.jobs.ge

შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723/995923/997582(ფაქსი)**

## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**30 ნოემბერს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:**
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), ყიფშიძის(ნაწილობრივ) ქუჩის მაცხოვრებლებს.

**30 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
კოკინაკის, მოლოკოვის, ჯავის, ასურეთის, ლუბოვსკის, ზეკარის, კიშინიოვის, სვირის, დარკვეთის, გეგუთის, ბენდელიანის, წერონისის, მირზაანის, სანავარდოს, მაჩხაანის, თოდრიას, ლისაშვილის, ბუგეულის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**30 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ), ურიდიას, ნოვოროსიისკის, მანჯგალაძის, ხიმშიაშვილის, ჩხიკვაძის, ქებურიას, მიქატაძის, ასკურავას, მესხის, ჩოხატაურის, სურგულაძის, ლალიონის, ხუდადოვის(ნაწილობრივ) ქუჩების მაცხოვრებლებს.

## მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

## პროექტი "ილია ჭავჭავაძე" სასკოლო მერხებისა და სკამების მოწოდება (GEP/G/001/ICB/2004)

## კრედიტი N. 3474 GE

საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან პროექტისათვის "ილია ჭავჭავაძე" და გამიზნული აქვს ამ კრედიტის ნაწილი გამოიყენოს სასკოლო მერხებისა და სკამების მოწოდებაზე კონტრაქტისათვის (კონტრაქტის NGEP/G/001/ICB/2004).

ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო ტენდერის პროცედურების გამოყენებით, რომელიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში *"შესყიდვები რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხებისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტების გამოყენებით (გამოცემულია 1995 წლის იანვარში, ცვლილებები შეტანილია 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში)"*. ტენდერში მონაწილეობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ კომპანიას.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ოფისში ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა 10:00 სთ-დან - 18:00 სთ-მდე.

სატენდერო დოკუმენტაციის (ინგლისურ ენაზე) სრული პაკეტის შეძენა შესაძლებელია ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და 100 აშშ დოლარის ან ეკვივალენტური თანხის ლარებში გადახდის საფუძველზე. გადახდის მეთოდია პირდაპირი დეპოზიტი ან გადარიცხვა შემდეგ ანგარიშზე:

**სააქციო საზოგადოება "ბაზის ბანკი"**
**ანგარიშის N133052, ბანკის კოდი: 220101956**

დაინტერესებულ კომპანიებს სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტი გაეგზავნებათ ექსპრეს ფოსტისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

სატენდერო წინადადებები წარდგენილი უნდა იყოს ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2005 წლის 17 იანვრის 17:00 საათისა. ყოველ სატენდერო წინადადებას თან უნდა ერთვოდეს სატენდერო წინადადების გარანტია 12'000 აშშ დოლარის ოდენობით, ან ეკვივალენტური თანხა ლარებში ან თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტაში. აღნიშნულ ვადაზე გვიან მიღებული წინადადებები არ განიხილება. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მოცემულ მისამართზე ტენდერის მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით 2005 წლის 17 იანვარს, 17:00 საათზე.

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
**საკონტაქტო პირი: თეა კვინტრაძე**
**საქართველო, თბილისი 0102**
**უზნაძის ქ. N52, ოთახი N102**
**ტელეფონი: + (995 32) 95 98 37**
**ფაქსი: + (995 32) 95 83 13**
**ელ.ფოსტა: GEP@mes.gov.ge**

## საზაფხულო უნივერსიტეტი (SUN), ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (CEU), ბუდაპეშტი, უნგრეთი. 4 - 29 ივლისი, 2005

საზაფხულო უნივერსიტეტი (ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი), იწყებს განაცხადების მიღებას 2005 წლისათვის დაგეგმილ კურსებში მონაწილეობის მისაღებად. საზაფხულო უნივერსიტეტი არის ინგლისურენოვანი აკადემიური პროგრამა, რომელიც ტარდება ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში და გთავაზობთ კურსებს სოციალურ და ჰუმანიტრულ მეცნიერებებში. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ წარმატებულ მკვლევარებს, უნივერსიტეტის მასწავლებლებს და შესაბამის დარგებში მოღვაწე პროფესიონალებს.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნების მოქალაქეებს, შეუძლიათ განაცხადების შემოტანა სტიპენდიის (დაფინანსების) მისაღებად.

**განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 14 თებერვალი, 2005**

კურსების შესახებ და ასევე ყველა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საზაფხულო უნივერსიტეტს:

საფოსტო მისამართი : CEU Summer University Office, 1051 Budapest, Nხdor u. 9 Hungary
ტელ: (36-1) 327-3811, ფაქსი: (36-1) 327-3124. E-mail: summeru@ceu.hu
ავტომატური ელ-ფოსტა სააპლიკაციო ფორმებისათვის: sunreq@ceu.hu
**http://www.ceu.hu/sun/**
**ელქტრონული (ონლაინ) რეგისტრაცია:** https://online.ceu.hu/osun/index.jsp

## ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტთან (CEU) არსებული სარესურსო ცენტრი (CRC) ბუდაპეშტი, უნგრეთი

სარესურსო ცენტრი ორგანიზებას უწევს ერთკვირიან სესიებს, რომელიც ტარდება ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში. ერთი კვირის განმავლობაში, უნივერსიტეტის მასწავლებლებს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, საშუალება ეძლევათ გადაახალისონ კურსები რომლებსაც ასწავლიან, დაესწრონ კურსების დიზაინისა და სწავლების მეთოდოლოგიის სემინარებსა და სესიებს, მიიღონ სასწავლო მასალები შესაბამის დისციპლინებში. სესიები ტარდება ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის აკადემიურ დეპარტამენტებთან ერთად.

სამუშაო ენა - ინგლისური.

კონკურსში გამარჯვებულები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, მიიღებენ სრულ დაფინანსებას.

ინფორმაციისათვის სესიებისა და ბოლო ვადების შესახებ, ასევე საგანაცხადო ფორმებისათვის მიმართეთ სარესურსო ცენტრს:

**საფოსტო მისამართი: Curriculum Resource Center (CRC), 1051 Budapest, Nხdor u. 9 Hungary**
**ტელ: (36-1) 327-3189, ფაქსი: (36-1) 327-3190. E-mail: crc@ceu.hu**
**WWW address: http://www.ceu.hu/crc/**

*ასევე,ზემოაღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიმართოთ ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ოფისს; მისამართi: ჭოველიძის ქ. 10. ტელ: 25 04 63, 25 26 15; კონსულტაციის დღეები: სამშაბათი და ხუთშაბათი; 15:00 სთ.*

# საქართველო რეფორმატორებისათვის ფიქრის საგანია

## გასული წლის მშვიდობიანმა ვარდების რევოლუციამ პოზიტიური ცვლილებები მოიტანა

მარკ მაკკინონი

თბილისი. უშანგი ქიტიაშვილი გადამდები ენთუზიაზმით საუბრობს ახალ საქართველოზე, როგორც იგი მას უწოდებს.

"შეხედე!" - წამოიძახა ჩასუქებულმა ტაქსის მძღოლმა, ერთი წუთით ხელი მოულოდნელად გაუშვა საჭეს და პოლიციის პატრულის მანქანაზე მიმითითა. „ეს პატრულია. მუშაობენ! საქმეს აკეთებენ! ერთი წლის წინათ ისინი უბრალოდ კუთხეში იდგნენ და ფულს მთხოვდნენ."

ვარდების მშვიდობიანი რევოლუციის მომდევნო წელი პოზიტიური აღმოჩნდა ისეთი ხალხისთვის, როგორიც ბატონი ქიტიაშვილია, რომელმაც გასული წლის ნოემბერში მუშაობას 2 კვირით დაანება თავი, რათა ქვეყნის პარლამენტის წინ, ათობით ათასი ქართველის გვერდით დამდგარიყო და ედუარდ შევარდნაძისა და მისი კორუმპირებული მთავრობის გადადგომა მათთან ერთად მოეთხოვა.

მიხეილ სააკაშვილი ის კაცია, რომელიც შარშან, ვარდით ხელში, პარლამენტის შენობის შტურმს ხელმძღვანელობდა, მოგვიანებით კი პრეზიდენტად (შევარდნაძის შემდეგ) აირჩიეს. ამ გამარჯვებით და მთელი რიგი სახალხო ქმედებებით მან რევოლუციური იმპულსი და ხალხის არნახული მხარდაჭერა შეინარჩუნა.

უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, ეს ქვეყანა უკვე დემოკრატიული იმედის შუქურასავით ანათებს მთელს რეგიონში, სადაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები მდებარეობენ, რომელთა რეჟიმსაც შეიძლება, კლეპტოკრატიული ან ავტორიტარული ვუწოდოთ, ან ორივე ერთად. ვარდების რევოლუცია ისევ აგრძელებს ძლიერი იმპულსების გადაცემას ისეთი შორეული რესპუბლიკებისთვისაც კი, როგორებიცაა უკრაინა, ბელარუსი და ცენტრალური აზია. ბევრმა ადამიანმა, რომელიც გუშინ კიევის ქუჩებში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების სამართლიანად დათვლის მოთხოვნით გავიდა, ვარდების რევოლუცია შთაგონების წყაროდ აღიარა. უკრაინის დედაქალაქში, დამოუკიდებლობის მოედანზე მყოფ ზოგიერთ დემონსტრანტს ხელში ქართული დროშაც კი ეჭირა.

„ბევრს ეშინია იმის, რაც აქ მოხდა", განაცხადა ჯერ კიდევ ყმაწვილკაცური გარეგნობის 36-წლის პრეზიდენტმა თბილისის ცენტრალურ ოფისში მიცემულ ინტერვიუში. ეს ოფისი ახლახანს გაარემონტეს, თითქოსდა შევარდნაძის ეპოქის კვალის მოსაშორებლად. „ჩვენ არ ვაპირებთ რევოლუციის ექსპორტს, მაგრამ გვსურს სხვებისათვის მაგალითის მიცემა ... და შესაძლოა, ეს სიტყვები გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდეს რეგიონის ზოგიერთ ლიდერს".

იგი ტელევიზორის წინ ტყავის სავარძელში „თინეიჯერივით" იჯდა, სირბილის დროს მოტეხილი მარჯვენა ხელით. დარწმუნებული იმაში, რომ ვარდების რევოლუცია კვლავ სწორ გზაზეა, ბატონი სააკაშვილი მხოლოდ ენთუზიაზმს ასხივებდა.

პრეზიდენტის ყველაზე უფრო პოპულარულ ნაბიჯად ყოვლისმომცველი და პოლიციის საქმიანობის ძირგამომთხრელი კორუფციის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებები ითვლება. პოლიციის თანამშრომელთა რაოდენობა განახევრდა, ხოლო სამსახურში დარჩენილთა ხელფასები იმდენად გაიზარდა, რომ საარსებო სარჩოს მოსაპოვებლად ისინი აღარ არიან იძულებული, მძღოლებს ქრთამი გამოსძალონ. ბატონი ქიტიაშვილი აცხადებს, რომ პოლიციელები ავტომობილთა მძღოლების დასაფრთხობად კი აღარ დგანან ქუჩების კუთხეებში, არამედ უკვე აცნობიერებენ თავიანთ მნიშვნელობას და ამაყად მოძრაობენ მათთვის შეძენილი ახალი „ფოლცვაგენ პასატებით".

ახალმა მთავრობამ შეაკეთა კახეთის გზატკეცილი, ძირითადი გზა, რომელიც თბილისის ცენტრიდან საერთაშორისო აეროპორტამდე მიდის. შედეგად ცხადია, რომ ტაქსის მძღოლების მხრიდან მთავრობისადმი მხარდაჭერა დიდხანს არ შესუსტდება.

ბატონი სააკაშვილისათვის, რომელმაც იანვარში საპრეზიდენტო არჩევნები შთამბეჭდავი უპირატესობით - 96 პროცენტით მოიგო, ეს სიმბოლური წარმატების წელიწადი გახლდათ. თბილისის ქუჩებში, მიმდინარე რევოლუციიდან 6 თვის შემდეგ, მან იგივე გაიმეორა საპორტო ქალაქ ბათუმში. შედეგად, რეგიონიდან გაძევებულ იქნა ადგილობრივი ავტოკრატული მმართველი ასლან აბაშიძე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იგნორირებას უწევდა სუსტ ცენტრალურ მთავრობას და მილიარდობით დოლარის ოდენობის საბაჟო და სხვა ტიპის გადასახადებს ცენტრალურ ბიუჯეტში არ რიცხავდა.

ამ ცოტა ხნის წინათ კი, ბატონი სააკაშვილის მთავრობამ თბილისში, სასტუმრო „ივერიის" პრივატიზება მოახდინა, რომელიც დიდი ხანია, დგას დედაქალაქის ცენტრში, როგორც ერთგვარი სიმბოლო ქვეყნის წინაშე მდგომი უამრავი პრობლემისა და სტუმრების ნაცვლად ათასზე მეტი დევნილით არის გადავსებული, რომლებიც აქ 90-იანი წლების დასაწყისში, სამოქალაქო ომის შემდეგ ჩასახლდნენ. დევნილებს სექტემბერში სასტუმრო დააცლევინეს და თითოეულ ოჯახს კომპენსაციის სახით 7 000 ამერიკული დოლარი გადაეცა. ამჟამად, საბჭოთა პერიოდის ამ შენობის მფლობელი გერმანელი ინვესტორია, რომელიც, როგორც ამბობენ, მის თანამედროვე ბიზნეს-ცენტრად ან დასავლური სტანდარტების ფეშენებელურ სასტუმროდ გადაკეთებას აპირებს.

„ადამიანები გრძნობენ ცვლილებებს, ეს აშკარაა. ისინი გრძნობენ, რომ საქმე წინ მიდის,"- ამაყად განაცხადა ბატონმა სააკაშვილმა და ამ განცხადების დამადასტურებელი სტატისტიკა წარმოადგინა.

კორუფციაზე განხორციელებული „შეტევისა" და ბათუმიდან მიღებული შემოსავლების წყალობით, 2003 წელთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტი 3-ჯერ გაიზარდა და 1,2 მილიარდს მიაღწია. სიღატაკის ჯერ კიდევ შემაშფოთებელი დონის მიუხედავად, მთავრობამ პენსიების 8 დოლარიდან 15 დოლარამდე გაზრდა მოახერხა.

„ყველაზე უფრო რთული ამოცანა მოლოდინების გამართლებაა", - განაცხადა ბატონმა სააკაშვილმა. - „ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება პოლიტიკოსს დაემართოს, გახლავთ მოსახლეობის 96 პროცენტის ხმის მიღება, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში მოხდა... ამომრჩეველთა 96 პროცენტიდან გარკვეული ნაწილის იმედების გაცრუება მოგიწევს - ეს გარდაუვალია."

მის წინააღმდეგ კრიტიკაც ისმის. ზოგი ამბობს, რომ რევოლუციამ ზედმეტად შორს შეტოპა. ბატონი სააკაშვილის შემტევი სტილი შესაძლოა, ადეკვატური იყო შევარდნაძის გადადგომის მისაღწევად, მაგრამ იმავდროულად, ამან უდიდესი დაძაბულობა შეიტანა რუსეთთან ურთიერთობის საკითხში, რომელიც ადრე საქართველოს კოლონიალური ბატონი გახლდათ და დღესაც მის უდიდეს სავაჭრო პარტნიორად რჩება.

კრემლის მომხრე სეპარატისტები ჯერ კიდევ აკონტროლებენ საქართველოს ორ პროვინციას. ეს ვითარება 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე სამოქალაქო ომის შედეგად შეიქმნა. ბატონი სააკაშვილის განცხადებას იმის თაობაზე, რომ იგი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას აპირებს, ზაფხულში ერთ-ერთ ამ პროვინციაში - სამხრეთ ოსეთში, შეიარაღებული შეტაკებები მოჰყვა. კონფლიქტში 16 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა და ახლა ბატონი სააკაშვილი აცხადებს, რომ მოსკოვთან დაძაბული ურთიერთობები მისი ყველაზე დიდი იმედგაცრუებაა.

ამას გარდა, უკმაყოფილება ისმოდა ქვეყნის მარგინალიზებული ოპოზიციის მხრიდან იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მედიასთან ხელი არ მიუწვდებათ. ბევრი იმასაც ამბობს, რომ შევარდნაძის დროს მათ უფრო თავისუფლად შეეძლოთ მთავრობის კრიტიკა. 14 არასამთავრობო ორგანიზაციისაგან შემდგარმა ჯგუფმა განაცხადა, რომ არსებობს საშიშროება, რევოლუცია ანტიდემოკრატიული გახდეს. ამ თვითდათარიღებულ წერილში ისინი მთავრობას აფრთხილებენ, რომ ანტიკორუფციულმა კამპანიამ ზედმეტად შორს შეტოპა. ძველი რეჟიმის თვალსაჩინო წარმომადგენლების დაპატიმრება ჯერ კიდევ გრძელდება.

„ხალხს თითქოს ეშინია რევოლუციის შესახებ რაიმე ცუდის თქმის. არავინ ღიად არ გამოთქვამს თავის აზრს", - აცხადებს ოპოზიციური ახალი კონსერვატორული პარტიის გენერალური მდივანი დავით საგანელიძე.

ზოგს მილიონერი ფინანსისტის ჯორჯ სოროსის აშკარა ზეგავლენაც აშფოთებს, რომელსაც ბევრი გასული წლის ვარდების რევოლუციის მფარველად აღიქვამს.

ბატონი სოროსის ინიციატივით, საქართველოში დემოკრატიის ხელშეწყობისთვის, შეიქმნა ორგანიზაციები, რომლებიც ქუჩაში ანტიშევარდნაძისტული დემონსტრაციების ლიდერებად იქცნენ. ამჟამად, ამ ჯგუფების ყოფილი წევრებიდან ბევრს წამყვანი პოზიციები უჭირავს ბატონი სააკაშვილის მთავრობაში, მათ შორის რამდენიმე - პარლამენტარებს და მინისტრებს შორისაც გვევლინება. როგორც ამბობენ: „ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს", - ამბობს ზაზა გაჩეჩილაძე, გაზეთ „ჯორჯიან მესინჯერის" გამომცემელი. „ეს არასწორია", - აცხადებს იგი.

თუმცა, ამგვარი შეხედულება ზედმეტად თეორიულ მსჯელობად ეჩვენება ოთარ მაისურაძეს, ავღანეთის ომის ვეტერანს, რომელმაც 80-იან წლებში წითელ არმიაში სამსახურისას თითი დაკარგა, ხოლო 90-იან წლებში აფხაზეთში ბრძოლისას კიდევ ერთხელ დაიჭრა. მისთვის რევოლუციის შემდეგ მდგომარეობა რეალურად გაუმჯობესდა. ჯერ ერთი, პენსია გაეზარდა, მაგრამ ოთარ მაისურაძის გათვლით, ფული ახლა თითქმის გაუორმაგდა იმის წყალობით, რომ კორუმპირებული პოლიციისა და საგადასახადო ორგანოებისათვის ქრთამების გადახდა აღარ უწევს.

„მათ, ვინც უკმაყოფილებას გამოხატავენ, სურთ, რომ ყველაფერი ძველებურად იყოს, რომ უბრალოდ ისხდნენ და ფული აგროვონ", - ამბობს იგი და თან იაფფასიან რუსულ სიგარეტს ეწევა თბილისში თავისუფლების მოედანზე, რომელიც ათწლეულების მანძილზე ლენინის სახელს ატარებდა. „ყველაფერი კარგად იქნება. საქმე უკეთესობისაკენ მიდის".

თავად ბატონ შევარდნაძესაც კი უჭირს იმ ადამიანების ზედმეტად მკაცრად გაკრიტიკება, რომლებიც 12 თვის წინ მისი იძულებითი გადადგომის მოთხოვნით გამოვიდნენ. ცივი ომის გმირი ახლა განმარტოებულია, ჯერ კიდევ თბილისში ერთ-ერთ გორაზე მდებარე საპრეზიდენტო რეზიდენციაში ცხოვრობს და მემუარებს წერს.

კაცი, რომელსაც გორბაჩოვის პერიოდში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე თეთრი მელა შეარქვეს, ახლა უკვე მძიმედ მოძრაობს და მას უკვე ნამდვილად მისცემთ თავის ასაკს - 76 წელს. მისი ახლობლები წუხან მისი ჯანმრთელობის გაუარესების გამო და აღნიშნავენ, რომ მას გუნება-განწყობილება ძალიან შეეცვალა წინა თვეში მეუღლის, ნანულის გარდაცვალების შემდეგ.

მას შემდეგ, რაც შევარდნაძე შარშან შემოდგომით პრეზიდენტის პოსტიდან ყოველგვარი სინანულის გარეშე გადადგა (მან ვარდების რევოლუციას სოროსის მიერ დასპონსორებული გადატრიალება უწოდა), მომხდართან დაკავშირებით იგი კმაყოფილია თავისი როლით, რომელიც ძალაუფლების გადაცემის პროცესში სისხლისღვრის თავიდან აცილებაში გამოიხატა.

წინა წლის 22 ნოემბერს, როდესაც ოპოზიციამ საპარლამენტო არჩევნების ჩატარება გააპროტესტა და პარლამენტის შტურმი წამოიწყო, ბატონმა შევარდნაძემ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და ფიქრობდა, გამოეყენებინა თუ არა ძალა დემონსტრანტთა დასაშლელად. ეს მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა. როდესაც სახლში მივიდა, ნანულიმ დაჟინებით სთხოვა, რომ რადაც არ უნდა დასჯდომოდა ძალადობა არ დაეშვა. იგივე გააკეთა მისმა ვაჟიშვილმა პაატამ, რომელმაც პარიზიდან დარეკა, რათა მამისთვის ეთქვა, რომ ყველაფერ კარგს, რაც მას გაუკეთებია, წყალში ჩაყრიდა, თუკი ჯარს გამოიყვანდა.

შევარდნაძემ მათი რჩევა გულთან ახლოს მიიტანა და მეორე დღეს გადადგა, რითაც თბილისის უმთავრეს ქუჩაზე საზეიმო ფეიერვერკებსა და ცეკვა-თამაშს მისცა დასაბამი.

„რეალურად, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება არსებობდა", - განაცხადა ბატონმა შევარდნაძემ, რომელიც თავის კაბინეტში ტყავის შავ სავარძელში იჯდა და მსოფლიო მნიშვნელობის დიპლომატად მსახურობის პერიოდის ამსახველი საკუთარი ფოტოებით იყო გარშემორტყმული. ჩემს ხელთ მთელი არმია იყო, ტანკებითა და შეიარაღებით, ხოლო ქუჩებში, ძირითადად, ახალგაზრდობა იყო გამოსული. ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ, მაგრამ ჯარს ვერ შეეწინააღმდეგებოდნენ. მე გადავწყვიტე, რომ სისხლისღვრა არ დამეშვა".

შესაძლოა, ისტორიაში პოზიტიური ადგილის დამკვიდრების მიზნით, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე 7 თვით ადრე, თეთრმა მელამ გადაწყვიტა მშვიდობიანად წასულიყო ისე, რომ თავისი მემკვიდრეები თვითონვე აერჩია. მიუხედავად მისი განცხადებებისა, რომ შეშფოთებულია ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების მდგომარეობით (რომელსაც იგი თავისი მემკვიდრეობის ერთ-ერთ მიღწევად მიიჩნევს), მაინც არ არის იმედგაცრუებული მიღწეული პროგრესით.

„ისინი ძალიან ახალგაზრდა და ნიჭიერი ხალხია, რომლებიც თანამედროვე ხედვით უდგებიან საქმეს," - განაცხადა ბატონმა შევარდნაძემ. „ისინი ყველაფერს დაალაგებენ."

*„გლოუბ ენდ მეილ"*
*კანადის ნაციონალური გაზეთი*

# რუმინეთი: არჩევანი კარგად ნაცნობ ძველს და იმედისმომცემ ახალს შორის

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა ისე მიიპყრო მთელი ყურადღება, რომ იქვე მდებარე პოსტსაბჭოთა ქვეყანა რუმინეთი ბევრს დაავიწყდა. კვირას კი რუმინეთში მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა, სადაც ორი ძირითადი კანდიდატი იყო წარმოდგენილი. არჩევანი კეთდებოდა ძველი სახეს – არასრულყოფილ, მაგრამ საკმაოზე მეტად ნაცნობ და ახალ, გამოუცდელ კონკურენტს შორის, რომელიც რუმინეთის დინამიური განვითარების, ევროპული მომავლის პირობას იძლეოდა.

რატომღაც ისე აეწყო, რომ წელს ჩატარებულ თითქმის ყველა არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა (ზოგს ლოკალურ-რეგიონული, ზოგსაც კი გლობალური მასშტაბით). ამ მხრივ, არც რუმინეთის არჩევნები აღმოჩნდა გამონაკლისი. 28 ნოემბერს უნდა გარკვეულიყო იონ ილიესკოს მემკვიდრის ვინაობა. ამავე დღეს, რუმინელ ამომრჩეველს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს 314 პარლამენტარი და 137 სენატორიც უნდა აერჩია.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე 12 კანდიდატიდან გამარჯვების რეალური შანსი მხოლოდ ორს აქვს.

53 წლის ოპოზიციონერი ტრაიან ბასესკუ, ამჟამად, ბუქარესტის მერია. პიროვნული ხიბლით გამორჩეული ბასესკუ გემის კაპიტნობიდან მოხვდა პოლიტიკაში.

მმართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავის კანდიდატად მოქმედი პრემიერ-მინისტრი ადრიან ნასტასე წამოაყენა. ნასტასე, 1989 წლის რევოლუციის შემდეგ "გადემოკრატებული" კომუნისტური ნომენკლატურის ტიპური წარმომადგენელია.

მისგან განსხვავებით, ბასესკუ სუფთა იმიჯით იწონებს თავს და პოპულისტური იდეების ხელსაყრელად გამოყენებას ცდილობს – იქცევა რიგითი რუმინელივით, ესაუბრება გლეხებს, ტელეეთერით გიტარაზეც უკრავს. თუმცა, რუმინელთა უმრავლესობას მაინც არ სჯერა მისი "სახალხო გმირობის".

რუმინელთა გზა დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომისკენ ადვილი არ ყოფილა, შეიძლება ითქვას, ზიგზაგებითაც გამოირჩეოდა, თუმცა, მმართველმა პარტიამ მაინც შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია და ახლა, ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში ამ მიღწევებით თავმოწონების შანსს ხელიდან არ უშვებს. სოციალ-დემოკრატების მმართველობის ბოლო ოთხწლიან პერიოდში რუმინეთი გაწევრიანდა ნატოში, ემზადება ევროკავშირში გასაწევრიანებლად. მისი ეკონომიკაც აღმავლობის ნიშნით გამოირჩეოდა. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი თითქმის ყოველწლიურად 8 პროცენტზე მეტი იყო. ევროკავშირის ტერიტორიაზე მოსახვედრადაც გამარტივებული სავიზო რეჟიმი მოქმედებს. თუმცა, მათი მმართველობის ჩრდილოვანი მხარეებიც თვალშისაცემია. ეკონომიკური ზრდის ტენდენციად გადაქცევა, ჯერჯერობით, ვერ მოხერხდა, სიღარიბე და კორუფცია ვერ აღმოიფხვრა. ალბათ ამის გამოა, რომ ოპოზიციას მოსახლეობის გადმოსაბირებლად ნოყიერი ნიადაგი აქვს. ხელისუფლების მდგომარეობას ისიც ამძაფრებს, რომ რუმინეთს კრიტიკას არც ევროკავშირი, აშშ და საერთაშორისო ორგანიზაციები აკლებენ. ქვეყანაში კორუფციის მაღალი დონეა, ხელისუფლება ზეწოლას ახდენს მართლმსაჯულებასა და თავისუფალ პრესაზე, - აცხადებენ ისინი. სწორედ ამ სამ საკითხზეა დამოკიდებული კანდიდატ რუმინეთის ევროკავშირის წევრად ქცევა, ან პირიქით, თურქეთივით სამუდამო კანდიდატად დარჩენა.

ძალიან მძიმე სიტუაციაა ეკონომიკაში: "ჩრდილოვანი" მეწარმეობა, სხვადასხვა გათვლებით, თითქმის უტოლდება ლეგალურ ბიზნესს; ოფიციალურად 4 მლნ. დასაქმებულია და 6 მლნ. პენსიონერის შენახვა უხდება.

ბასესკო, ლიბერალური იდეების ქადაგებით, არაერთგვაროვან ემოციებს აღძრავს ამომრჩეველში (რუმინეთში ტრადიციულად ძლიერია მართლმადიდებლური ეკლესია). ერთ-ერთი ინტერვიუში ჰომოსექსუალიზმის შესახებ აზრის გამოთქმის შემდეგ, იგი ოპონენტებმა ლამის არატრადიციული ქორწინების მომხრედაც შერაცხეს (თუმცა, ასეთი რამ ბასესკუს არ უთქვამს). მიუხედავად ამისა, აქტიურმა მოღვაწეობამ მერობის პერიოდში, ბასესკუს მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერა შესძინა. დედაქალაქის მერად მის გახდომას უკავშირდება სკანდალური გამოძიებების დაწყება კორუფციის ფაქტებთან დაკავშირებით. ბუქარესტის მერობის დროს, ბასესკუ დედაქალაქის გაჭირვებულთა გულის მოსაგებად, გადასახადების შემცირების დაპირებებსაც უშურველად იძლეოდა

ასე რომ, რუმინელებს არჩევანის გაკეთება დიამეტრულად განსხვავებულ კანდიდატებს შორის უწევდათ. არჩევნების დღემდე ჩატარებული სოციალური გამოკითხვების შედეგებით ორივე კანდიდატი თითქმის ერთნაირი მხარდაჭერით სარგებლობდნენ. თუმცა, ექსპერტების შეფასებით, გამარჯვების ოდნავ მეტი შანსი მოქმედ პრემიერ-მინისტრს აქვს. (როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობისთვის, რუმინეთისთვისაც არ არის უცხო საარჩევნო მანიპულაციები.)

ყველა პროგნოზით, არჩევნების პირველი ტური გამარჯვებულის გამოსავლენად საკმარისი არ იქნება, ანუ ვერც ერთი კანდიდატი დააგროვებს ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას. მართალია, არჩევნების შედეგები დღეს გახდება ცნობილი, მაგრამ ყველა, გადამწყვეტი ბრძოლის 12 დეკემბერს, არჩევნების მეორე ტურში გადადებას ვარაუდობს.





საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ლიცენზიებისა და ნებართვების დანერგვის

პროექტი

უფასო სატელეფონო კონსულტაციები ლიცენზიისა და ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით

ლიცენზირების ცხელი ხაზი 93 64 75

პროექტის ფარგლებში გამოიცა ბროშურა "როგორ მივიღოთ მშენებლობის ნებართვა"

ბროშურა უფასოა

ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 19 საათამდე.

საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: ვ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; ე-მაილ: office@economists.ge

IRIS პროექტი ხორციელდება IRIS- საქართველოს მხარდაჭერით


## საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია პროექტი "გამჭირვალე ბიუჯეტი"

**პროექტი ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია Oxfam - ის საქართველოს წარმომადგენლობასთან პარტნიორობით**

### ქართული ეკონომიკა პოპულისტურ გადაწყვეტილებებს ვერ ეგუება

ქართული ეკონომიკა პოპულისტურ გადაწყვეტილებებს ვერ ეგუება. "ვარდების რევოლუციის" შემდგომ ბევრ დადებით ცვლილებასთან ერთად პოპულისტური გადაწყვეტილებების სიუხვეც შეიმჩნეოდა. ამ მხრივ სხვა სფეროებს არც ეკონომიკა ჩამორჩება. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რამოდენიმე პოპულისტური გადაწყვეტილება:

მიწის გადასახადის გაუქმება ამჟამინდელი ხელისუფლების საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი დანაპირები იყო. მთავრობაში მოსვლის შემდეგ კი, მხოლოდ 5 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელებს მიეცათ ეს შეღავათი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ძირითადად მცირე მეურნეობებია და 5 ჰექტარის ზემოთ მიწის ნაკვეთის მფლობელებს ნაკლებად თუ შეხვდებით. შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადიდან შემოსავლები ნულამდე დავიდა. მიწის გადასახადი შედიოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებში და მათი დამოუკიდებლობის ერთადერთ იმედს წარმოადგენდა. სამწუხაროდ, მიწის გადასახადში განხორციელებულმა ცვლილებამ უბრალო გლეხს საკუთარი მეურნეობის გაზრდის ინტერესიც ჩაუკლა.

აღსანიშნავია საქართველოს პრეზიდენტის ერთ-ერთი განცხადება, სადაც ის მცირე მეწარმეებს გადასახადიდან განთავისუფლებას დაპირდა თუ ისინი არ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. საკმაოდ მისაღები გადაწყვეტილებაა, მაგალითად იმ მესაათისთვის, რომელიც თვითონ არის ხელმძღვანელიც და მუშაც. ის, ახალი საგადახადო კოდექსის მიღების შემდეგ, გადასახადებს აღარ გადაიხდის. ამ შემთხვევაში რა დააშავა მსგავსი კვალიფიკაციის მესაათემ, რომელიც იგივე საუშაოს ასრულებს და დაქირავებული ჰყავს რომელიმე კერძო ფირმას. მისთვის გათვალისწინებული შემოსავლიდან უნდა იქნეს გადახდილი როგორც სოციალური, ასევე საშემოსავლო გადასახადი, რაც ახალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მცირე განაკვეთებითაც კი საკმაო ოდენობა (32 პროცენტი) გამოდის. ამავე დროს ინდივიდუალური მეწარმე არაფერს არ იხდის. იგივე შეიძლება ითქვას სხვა დაქირავებულ პირზე, რომელსაც უფრო დაბალი შემოსავალი შეიძლება აქვს ვიდრე ინდივიდუალურ მეწარმეს, მაგრამ გადასახადებით მაინც იბეგრება.

პოპულისტური გადაწყვეტილების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების გაუქმება. მომსახურების დროს გადახდილი თანხები ადრე საავტომობილო გზების შესაკეთებლად მიემართებოდა, ცვლილების შედეგად კი ამ თანხების დანაკლისის შევსება სხვა წყაროებიდან გახდა საჭირო. ამ საკითხს არაეკონომიკური უარყოფითი ეფექტიც ახლავს - ქვეყანაში ტექნიკურად გაუმართავი ავტოტრანსპორტი მომრავლდება.

აღნიშნული საკითხის გაგრძელებას წარმოადგენს ე.წ. "სიმდიდრის გადასახადი", როგორც ამას თავიდან უწოდებდნენ. ახალ საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებულია ახალი ავტომობილებისა და სახლების დაბეგვრა უფრო მაღალი განაკვეთით (ძველ ავტომობილებზე არც არაფერი იქნება გადასახადი). ყველა ნორმალურ ქვეყანაში ავტომობილზე გადასახადი იზრდება მისი საექსპლოატაციო ვადის ზრდასთან ერთად, რადგან ის უფრო მავნებელი და სახიფათო ხდება და ამასთან ხელს უწყობენ ავტოპარკის განახლებას. საქართველოში კი ეს რატომღაც პირიქით გაიგეს, რაც თავისთავად გამოიწვევს ქვეყანაში საავტომობილო პარკის მოძველებას.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ექსპერტების აზრით სამომავლოდ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს და ფრთხილად უნდა იქნეს მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილება, რათა პოპულიზმმა არ მოახდინოს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება.

# განცხადება

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაგეგმილი კონკურსის შესახებ

"საჯარო სამსახურის შესახებ" და "დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონების თანახმად საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ევროპულ საქმეთა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობ-რივი სარგო |
|---|---|---|
| 1 | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 113.95 |
| | ორმხრივ ურთიერთობათა სამმართველო | |
| 2 | ატაშე | 37 |
| 3 | ატაშე | 37 |
| | ევროინტეგრაციის სამმართველო | |
| 4 | სამმართველოს უფროსი | 90.75 |
| 5 | მრჩეველი | 47 |
| 6 | ატაშე | 37 |
| | ევროპის საბჭოს სამმართველო | |
| 7 | მრჩეველი | 47 |
| 8 | ატაშე | 37 |

უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| | ახალი საფრთხეებისა და შეიარაღებაზე კონტროლის სამმართველო | |
| 9 | სამმართველოს უფროსი | 90.75 |
| 10 | მრჩეველი | 47 |

ამერიკის დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 11 | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 113.95 |
| 12 | I მდივანი | 41 |
| 13 | III მდივანი | 38 |
| 14 | ატაშე | 37 |
| 15 | ატაშე | 37 |

რუსეთის დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 16 | მრჩეველი | 47 |
| 17 | III მდივანი | 38 |
| 18 | III მდივანი | 38 |
| 19 | ატაშე | 37 |

რეგიონალური თანამშრომლობის დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 20 | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 113.95 |
| | უკრაინის სამმართველო | |
| 21 | ატაშე | 37 |
| | სამხრეთ კავკასიის სამმართველო | |
| 22 | I მდივანი | 41 |
| 23 | II მდივანი | 39 |
| 24 | ატაშე | 37 |
| | სუამის სამმართველო | |
| 25 | მრჩეველი | 47 |
| 26 | ატაშე | 37 |
| | დსთ-ს სამმართველო | |
| 27 | II მდივანი | 39 |
| 28 | III მდივანი | 38 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| | საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სამმართველო | |
| 30 | სამმართველოს უფროსი | 90.75 |
| 31 | III მდივანი | 38 |
| 32 | ატაშე | 37 |
| | ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველო | |
| 33 | მრჩეველი | 47 |
| 34 | III მდივანი | 37 |
| | საგარეო ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციის სამმართველო | |
| 35 | სამმართველოს უფროსი | 90.75 |
| 36 | მრჩეველი | 47 |

აღმოსავლეთის საქმეთა დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 37 | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 113.95 |
| | ირანისა და ცენტრალური აზიის სამმართველო | |
| 38 | II მდივანი | 39 |
| | ახლო აღმოსავლეთის სამმართველო | |
| 39 | II მდივანი | 39 |
| 40 | III მდივანი | 38 |
| | ჩინეთის, იაპონიის და შორეული აღმოსავლეთის სამმართველო | |
| 41 | სამმართველოს უფროსი | 90.75 |

საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა და დიასპორებთან კავშირურთიერთობის დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 42 | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 113.95 |
| | კულტურული პოლიტიკის სამმართველო | |
| 43 | მრჩეველი | 47 |
| | კულტურული მემკვიდრეობის სამმართველო | |
| 44 | მრჩეველი | 47 |
| 45 | III მდივანი | 38 |
| | დიასპორებთან კავშირების სამმართველო | |
| 46 | ატაშე | 37 |

საერთაშორისო-სამართლებრივი დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| | ორმხრივი ხელშეკრულებების სამმართველო | |
| 47 | ატაშე | 37 |
| | მრავალმხრივი ხელშეკრულებების სამმართველო | |
| 48 | მრჩეველი | 47 |
| 49 | III მდივანი | 38 |

პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 50 | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 113.95 |
| | მულტი-მედიის სამმართველო | |
| 51 | სამმართველოს უფროსი | 90.75 |
| | ინფორმაციის ოპერატიული კოორდინაციის სამმართველო | |
| 52 | III მდივანი | 38 |
| | პრეს-ცენტრის სამმართველო | |
| 53 | მრჩეველი | 47 |
| 54 | მრჩეველი | 47 |
| 55 | I მდივანი | 41 |
| 56 | III მდივანი | 38 |

დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 57 | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 113.95 |
| | დიპლომატიურ კორპუსთან მუშაობის სამმართველო | |
| 58 | სამმართველოს უფროსი | 90.75 |
| | სამთავრობო დელეგაციებთან მუშაობის სამმართველო | |
| 59 | სამმართველოს უფროსი | 90.75 |
| 60 | I მდივანი | 41 |

კადრების დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 61 | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 113.95 |
| 62 | მრჩეველი | 47 |
| 63 | კონსულტანტი | 47 |

საკონსულო დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 64 | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 113.95 |
| | საკონსულო-სამართლებრივი სამმართველო | |
| 65 | სამმართველოს უფროსი | 90.75 |
| | საკონსულო ურთიერთობების სამმართველო | |
| 66 | სამმართველოს უფროსის მოადგილე | 81.65 |
| 67 | II მდივანი | 39 |
| | სავიზო სამმართველო | |
| 68 | მრჩეველი | 47 |
| 69 | III მდივანი | 38 |

საფინანსო სამსახური

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| | სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო | |
| 70 | სამმართველოს უფროსი | 90.75 |

ოფიციალურ კორესპონდენციაზე მუშაობისა და საორგანიზაციო საკითხების სამსახური

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| | კომპიუტერული ქსელებისა და პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილება | |
| 71 | უფროსი სპეციალისტი | 38 |

მინისტრის სამდივნო დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 72 | მრჩეველი | 47 |
| 73 | II მდივანი | 39 |
| 74 | II მდივანი | 39 |
| 75 | ატაშე | 37 |

სამართლებრივ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 76 | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 113.95 |
| 77 | მრჩეველი | 47 |
| 78 | II მდივანი | 39 |
| 79 | ატაშე | 37 |
| 80 | კონსულტანტი | 47 |

საერთაშორისო ორგანიზაციების სამმართველო

| N | თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 81 | II მდივანი | 39 |
| 82 | ატაშე | 37 |

## კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

## საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

### 1. ევროპულ საქმეთა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტში:

ა) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

გ) მრჩევლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

დ) ატაშის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 2. უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტში:

ა) სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური და რუსული ენების ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) მრჩევლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური და რუსული ენების ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 3. ამერიკის დეპარტამენტში:

ა) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) I მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

გ) III მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

დ) ატაშის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 4. რუსეთის დეპარტამენტში:

ა) მრჩევლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია - საერთაშორისო ურთიერთობებისა ან სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ რუსული ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, კომპიტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) III მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია - საერთაშორისო ურთიერთობებისა ან სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ რუსული ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

გ) ატაშის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად უმაღლესი განათლება (სასურველია - საერთაშორისო ურთიერთობებისა ან სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ რუსული ენის ცოდნა), კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 5. რეგიონალური თანამშრომლობის დეპარტამენტში:

ა) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ რუსული ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ რუსული ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

# განცხადება

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაგეგმილი კონკურსის შესახებ

გ) მრჩევლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ რუსული ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

დ) I მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ რუსული ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ე) II მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ რუსული ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ვ) III მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ რუსული ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ზ) ატაშის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ რუსული ენის ცოდნა), კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 6. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტში:

ა) სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) მრჩევლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: : უმაღლესი განათლება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

გ) III მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

დ) ატაშის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 7. აღმოსავლეთის საქმეთა დეპარტამენტში:

ა) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა, სასურველია ასევე აღმოსავლური ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) ჩინეთის, იაპონიის და შორეული აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოა ჩინური ან იაპონური და ინგლისური ენების ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

გ) ირანისა და ცენტრალური აზიის საამართველოში II მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ სპარსული და ინგლისური ენების ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

დ) ახლო აღმოსავლეთის საამართველოში II მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ არაბული ან ივრითის და ინგლისური ენების ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ე) ახლო აღმოსავლეთის სამმართველოში III მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ არაბული ან ივრითის და ინგლისური ენების ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 8. საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა და დიასპორებთან კავშირურთიერთობის დეპარტამენტში:

ა) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური და სასურველია რუსული ენების ცოდნა), საგარეო კულტურული ურთიერთობების, კულტურული მემკვიდრეობისა და დიასპორებთან კავშირურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) მრჩევლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება (სასურველია კულტუროლოგია, კულტურის ისტორია, კულტურის მენეჯმენტი), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მუშაობის 1 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

გ) III მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია კულტუროლოგია, კულტურის ისტორია, კულტურის მენეჯმენტი), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

დ) ატაშის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია კულტუროლოგია, კულტურის ისტორია, კულტურის მენეჯმენტი), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), დიასპორებთან კავშირურთიერთობის სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 9. საერთაშორისო-სამართლებრივი დეპარტამენტში:

ა) მრჩევლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) III მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), სპეციალობით მუშაობის გამოცდილება, , კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

გ) ატაშის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულო ინგლისური ენის ცოდნა), კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 10. პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტში:

ა) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

გ) მრჩევლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

დ) I მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ე) III მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 11. დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტში:

ა) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

გ) I მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 12. კადრების დეპარტამენტში:

ა) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), ადამიანური რესურსების შერჩევისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) მრჩევლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), ადამიანური რესურსების შერჩევისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

გ) კონსულტანტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის სპეციალობით, სპეციალობით მუშაბის 1 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 13. საკონსულო დეპარტამენტში:

ა) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

გ) მრჩევლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

დ) II მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ე) III მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 14. საფინანსო სამსახურში:

ა) სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი ეკონომიური განათლება, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მუშაობის 2 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება, სასურველია უცხო ენების ცოდნა.

### 15. მინისტრის სამდივნო დეპარტამენტში:

ა) მრჩევლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, შიდა კონტროლის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

ბ) II მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

გ) ატაშის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 16. ოფიციალურ კორესპონდენციაზე მუშაობისა და საორგანიზაციო საკითხების სამსახურში:

კომპიუტერული ქსელებისა და პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილებაში უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში), ინგლისური ენის ცოდნა, კომპიტერულ ქსელებთან მუშაობის ან ადმინისტრირების ან ტერმინალურ სისტემებთან მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.

### 17. სამართლებრივ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტში:

ა) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართლმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) მრჩევლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართლმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

გ) II მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართლმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

დ) კონსულტანტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართლმცოდნეობის სპეციალობით, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

### 18. საერთაშორისო ორგანიზაციების სამმართველოში:

ა) II მდივნის ვაკანტური ტანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ულთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან უსაფრთხების სწავლებისა და პოლიტოლოგიის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) ატაშის კანტური თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან უსაფრთხების სწავლებისა და პოლიტოლოგიის სპეციალობით), არანაკლებ ორი უცხო ენის ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისური ენის ცოდნა), კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

კონკურსს ატარებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებისა და კონკურსის შედეგების საფუძველზე. კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- ■ წერითი გამოცდა ორ უცხო ენაში;
- ■ თავისუფალი თემის წერითი გამოცდა ქართულ ენაზე;
- ■ ინტერვიუ (გასაუბრება).

კონკურსის მონაწილეები გაივლიან ატესტაციას. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

ა) ავტობიოგრაფია;

ბ) განათლების და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;'

გ) ორი ფერადი ფოტოსურათი 3?4;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) უკვე გაცემული შრომის წიგნაკი და მისი ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც ასლის ნამდვილობის შემოწმების შემდგომ დაუბრუნდება კანდიდატს;

ვ) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ასევე სასურველია ავტობიოგრაფიის ელექტრონული ვერსიისა და ყველა იმ მოწმობის თუ სერთიფიკატის ასლების წარმოდგენა, რომელიც აქვს კონკურსანტს.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან გამოსასვლელი დღეების გარდა, 1200 საათიდან 1700 საათამდე საგარეო საქმეთა სამინისტროს სამდივნოში.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირისა.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: **www.mfa.gov.ge,** ან მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. N 4, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ტელ: (+99532) 284869.

*საჯარო სამსახურის ბიურო*

ენერგოსექტორის მონიტორინგი

# სად იკარგება დენი

## ენერგოქაოსი, რომელიც ბევრს ხელს აძლევს

**ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი**
**Center of Economic Corruption Monitoring**

**ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.**

პირველი გვერდიდან

კონკრეტული მონაცემებით ირკვევა, რომ მომხმარებელზე აღურიცხავად მიწოდებული ელექტროენერგია, როგორც წესი, ან სასისტემო მოხმარებაზე „გაიწერებოდა", ან დანაკარგებად ფიქსირდებოდა. ასევე, მთელი საქართველოს მასშტაბით, აღრიცხვის მოწესრიგებაზე პასუხისმგებელი სამსახურები, დარიცხვის აქტებში მითითებული მონაცემების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მაღალი ძაბვის ქვესადგურებში საანგარიშო და საკონტროლო მრიცხველებით მანიპულირებდნენ.

ბოლო წლებში დარგში შექმნილი ვითარების შესწავლის შემდეგ შესაძლებელი გახდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დაკვირვების გაკეთება.

პირველ რიგში, ამ პერიოდში სისტემატური ხასიათი მიიღო ერთმა ტენდენციამ – როგორც წესი, ელექტროენერგიის აღრიცხვა არ ხდებოდა საბალანსო გაყოფის წერტილებში. მრიცხველები დამონტაჟებული იყო მომხმარებლის ბალანსზე აყვანილ ტერიტორიებზე. შესაბამისად, აღრიცხვის სისწორის კონტროლი შეუძლებელი იყო. თავად აღრიცხვის წრედები კი სისტემის ქვესადგურებში არ არსებობდა. ასეთი ურითიერთობები ჩამოყალიბდა მიმწოდებელსა და მსხვილ გადამხდელებს შორის. ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრში" ინახება.

საკმაოდ დიდია ისეთი სააღრიცხვო და საკონტროლო წერტილების რაოდენობა, სადაც ან არ იდგა მრიცხველი, ან უბრალოდ, დამონტაჟებული იყო და არ მუშაობდა.

ქვესადგურების უმეტესობაში შეუძლებელი იყო ელექტროენერგიის მიღება-გაცემის ბალანსების გამოყვანა. ამის მიზეზი ან მრიცხველების არარსებობა, ან მათი გაუმართავი მუშაობა იყო.

რამდენიმე ქვესადგურში მრიცხველების კოეფიციენტები დაუზუსტებელი იყო. ზოგან კი ეს კოეფიციენტი იმდენად დიდი იყო, რომ ისედაც მოძველებული მრიცხველების მგრძნობიარობა თითქმის ნულის ტოლი იყო. ეს კი იმის საშუალებას იძლეოდა, რომ შესაბამის დოკუმენტაციაში, რეალურად მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობის ნაცვლად, შემცირებული რაოდენობა ყოფილიყო მითითებული. ასევე, საკმაოდ ბევრ ადგილას მრიცხველები უკუსვლით მუშაობდნენ.

რამდენიმე ქვესადგურს საკუთარ მოხმარებაზე მიერთებული ჰყავდა ე.წ. "მარცხენა" მომხმარებელი. ბუნებრივია, მათთვის მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობის აღრიცხვა არსად არ ხდებოდა.

ასეთი ხასიათის დარღვევებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო წლების განმავლობაში სისტემური ხასიათი მიიღო.

დღეს ყურადღებას საქართველოს დედაქალაქში წლების განმავლობაში შექმნილ ვითარებაზე გავამახვილებთ (კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია კონკრეტულ დოკუმენტაციას ეყრდნობა).

როგორც ცნობილია, დედაქალაქი ელექტროენერგიით ოთხი ქვესადგურიდან მარაგდება. ესენია: „ლისი - 220", „დიდუბე - 220", „ნავთლუღი - 220" და „გლდანი - 220".

2003 წლის სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში დედაქალაქში შექმნილი ვითარების ანალიზით, რამდენიმე საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. ჯერ ერთი, ელექტროენერგიის კარგვა საკმაოდ დიდ მასშტაბებს აღწევდა და ამის ერთ-ერთი (თუ ყველაზე მთავარი არა) მიზეზი სწორედ აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობა გახდა.

და ეს მაშინ, როდესაც ელექტროსისტემაში არსებული დანაკარგების შემცირებისათვის საჭირო საკონტროლო ელეტრონული მრიცხველების გარკვეული რაოდენობა 220-კილოვოლტიან ქვესადგურებში უკვე სამი წელია დამონტაჟებული იყო და სახელმწიფო ელექტროსისტემაში არ გამოიძებნა, დაახლოებით, 11 ათასი ლარი ამ მრიცხველების ჩასართავად.

ამის პარალელურად, ქვესადგურებში არსებული აღრიცხვის ჟურნალების მიხედვით, ელექტროენერგიის მიღებულ და გაცემულ ოდენობას შორის დისბალანსი საკმაოდ თვალშისაცემი იყო.

ცენტრის ინფორმაციით, ამ დისბალანსთან დაკავშირებით არაერთგზის იყო გაფრთხილებული საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ხელმძღვანელობა მათივე თანამშრომლების მიერ, მაგრამ ამას არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია.

ამონარიდი ერთ-ერთი ასეთი ოფიციალური წერილიდან (სტილი დაცულია):

**„ამჟამად ჩვენს ფილიალში მხოლოდ თბილისის გარეელექტრომომარაგების ოთხ მთავარ ქვესადგურში, თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობილია და მუშაობს საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილები. საბალანსო და საკონტროლო აღრიცხვის წერტილებში კი ამ ქვესადგურებზე დამონტაჟებულია აღრიცხვის ახალი სისტემის საშუალებები, მაგრამ უკვე სამი წელია, ვერ მოხერხდა მათი მუშაობაში შეყვანა შემსრულებელი ორგანიზაციის ("სათბობენერგოინფორმატიკა") მიერ როგორც შესრულებული, ასევე შესასრულებელი სამუშაოების დაუფინანსებლობის გამო, რომელიც უნდა დაეფინანსებინა ს.ს. "ელექტროგადაცემას". შედეგად, ვერ ხერხდება საანგარიშსწორებო მრიცხველებით აღრიცხული, "თელასის" მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის სიზუსტის დადგენა. ფილიალის სხვა ქვესადგურებში ელექტროენერგიის აღრიცხვა ხდება ძველი საბჭოური სისტემის საშუალებით და ისიც, არასრულყოფილად, რადგანაც ელექტროენერგიის გადინების ზოგიერთ წერტილებში (მიღების, საბალანსო, გაცემის წერტილები) გვაქვს პრობლემები, რაც გამოიხატება მრიცხველების უქონლობაში, აღრიცხვის წრედების გაუმართაობაში, გასაზომ სიდიდესთან გამზომი ტრანსფორმატორების კოეფიციენტების შეუსაბამობაში, გამზომი ტრანსფორმატორების არადამაკმაყოფილებელ სიზუსტეში, დენის გამზომი ტრანსფორმატორების უქონლობაში და ა.შ.... გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ წინა წლებში მრავალჯერ საკითხის დასმის მიუხედავად, ელექტროენერგიის აღრიცხვის საქმეში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად დაუფინანსებლობის გამო ბევრი ვერაფერი გაკეთდა...,"** - ეს წერილი (ნომერი ეს-10-09/18-290) თბილისის კვანძის დირექტორმა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის გენერალურ დირექტორს ბრაიან ქრონლის 2003 წლის ცხრა სექტემბერს გაუგზავნა.

როგორც უკვე ვთქვით, მას გამოხმაურება არ მოჰყოლია.

გარდა ამისა, ჩვენს ხელთ არის კიდევ ერთი ოფიციალური წერილი, რომელიც სწორედ ამ პრობლემას ეხება. მისი ავტორი კვლავ თბილისის ქსელის დირექტორი ზურაბ კუპრაშვილია, ხოლო წერილის ადრესატები – "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ელექტროგადაცემის აღმასრულებელი დირექტორი, კომერციული აღმასრულებელი დირექტორი და "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მთავარი ინჟინერი.

ამონარიდი წერილიდან (სტილი დაცულია):

**..."სახელმწიფო ელექტროსისტემის" ბრძანების საფუძველზე, თბილისის ფილიალმა გამოსცა ბრძანება ელექტროენერგიის აღრიცხვის სისტემაში წესრიგის განმტკიცებისა და აღრიცხვის საშუალებათა გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნების შესახებ, რომლის მიხედვითაც შეიქმნა კომისია... შედგა გრაფიკი ქვესადგურებში გასვლის შესახებ და კომისიას დაევალა ადგილებზე გადაემოწმებინათ ელექტროენერგიის აღრიცხვის ადმინისტრირების სამსახურის მიერ, თბილისის რეგიონისათვის მოცემული საანგარიშსწორებო და საკონტროლო-საბალანსო აღრიცხვისათვის საჭირო მრიცხველების რეალური არსებობა და ამ წერტილებში ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის ტექნიკური მდგომარეობა... კომისიამ გადაამოწმა აღრიცხვის არსებული 150 წერტილი. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა შემდეგი:**

**ელექტროენერგიის აღრიცხვის ადმინისტრირების სამსახურის მიერ მოცემული მრიცხველების განლაგების ცხრილი მთელ რიგ შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას...**

**ძაბვის ტრანსფორმატორების არარსებობის გამო, მათი დაზიანების ან პროექტით გაუთვალისწინებლობის მიზეზით, ელექტროენერგიის აღრიცხვა არ არის განხორციელებული მთელ რიგ მინაერთებზე...** (მოყვანილია კონკრეტული მაგალითები).

**შემოწმებული მრიცხველების 90 პროცენტი მოითხოვს საქსტანდარტში გადამოწმებას. ესენია 1963 წლიდან 1983 წლამდე გამოშვების იდუქციური ტიპის მრიცხველები. დაფიქსირდა, აგრეთვე, ისეთი მინაერთები, რომლებზედაც მრიცხველი შენელებული იყო ან არ მუშაობდა..."** (მოყვანილია კონკრეტული მაგალითები)

აქვე დავძენთ, რომ კომისიის მიერ შედგენილი აქტები, დაწვრილებითი ინფორმაციით, წარდგენილი იყო ამ წერილის ადრესატების წინაშე.

რაც შეეხება იმ მრიცხველებს, რომელიც თბილისში უკვე სამი წელია, დამონტაჟებული იყო.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ექსპლუატაციაში შეყვანის შემთხვევაში, ისინი უზრუნველყოფდნენ უტყუარ საბალანსო ჩვენებებს, მაგრამ მცირეოდენი ხარჯების გაწევა, რაც ამ მრიცხველების ჩართვას სჭირდებოდა, არ მოხდა (საუბარია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაახლოებით, 11 ათას ლარზე). შედეგად, ყოველთვიურად იკარგებოდა გაცილებით მეტი ღირებულების ელექტროენერგია. საგანგაშო ამ ვითარებაში კი ის იყო, რომ ელექტროენერგიის ამ დანაკარგით რეალური გადამხდელი - „თელასი" არ ზარალდებოდა და, შესაბამისად, კონფლიქტის გახმაურების მოტივაციაც იკარგებოდა.

ჩვენ დავუკავშირდით თემურ ხუნწარიძეს, რომელიც ამ პერიოდში ელექტროსისტემის აღრიცხვის სამსახურის უფროსი იყო. კითხვაზე, თუ რატომ ვერ მოხერხდა უკვე დამონტაჟებული მრიცხველების ჩართვა მთელი სამი წლის განმავლობაში, მან განაცხადა, რომ იგი ფინანსისტი არ არის და, შესაბამისად, მისთვის არაფერია ცნობილი იმის თაობაზე, **"თუ რატომ არ გამოიძებნა 11 ათასი ლარი ამ მრიცხველების მწყობრში შესაყვანად."** მისივე თქმით, ეს, უშუალოდ, **"ელექტროსისტემასა და შემსრულებელი ორგანიზაციის პრობლემა იყო."**

ამავე დროს, თემურ ხუნწარიძე „აბსურდულს" უწოდებს იმ მოსაზრებას, რომ აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობის გამო, მარტო თბილისში ყოველთვიურად რამდენიმე ათეული მილიონი კილოვატსაათი იკარგებოდა.

**„ეს სისულელეა,"** - განაცხადა მან. ამავე დროს, თემურ ხუნწარიძის განცხადებით, ამ მრიცხველების ნაცვლად დამონტაჟდა ახალი, ციფრული მრიცხველები, რომელიც გაცილებით საიმედოა.

თუმცა, როგორც ჩვენ გავარკვიეთ, თემურ ხუნწარიძე თავად „თელასის" მიერ დამონტაჟებულ მრიცხველებზე საუბრობდა - ე.წ. „თელასის მხარის" მრიცხველებზე. ანუ, მომხმარებელმა თავად უზრუნველყო აღრიცხვიანობის მოწესრიგება, ხოლო ზემოთ ნახსენები მრიცხველების მთავარი დანიშნულება დედაქალაქისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის კონტროლი უნდა ყოფილიყო მანამ, სანამ ელექტროენერგია მომხმარებლამდე, ანუ "თელასამდე" მივიდოდა.

"ელექტროსისტემის" ახალი ხელმძღვანელობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ჩვენთან საუბარში, ფაქტობრივად, უარი განაცხადა კომენტარისაგან, თუ რატომ არ დამონტაჟდა ეს მრიცხველები. თუმცა იქვე დასძინა, რომ მათ შესწავლილი აქვთ ჩვენ მიერ წამოწეული პრობლემა. საგულისხმოა, რომ ამ მაღალჩინოსანმაც განაცხადა, რომ კარგვები დედაქალაქში არცთუ საგანგაშო იყო.

მთლიანობაში კი, უნდა ითქვას, რომ, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალით, აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობის გამო, ელექტროენერგიის კარგვები ფიქსირდებოდა "სახელმწიფო ელექტროსისტემის" 220-კილოვოლტიან წერტილებში დამონტაჟებული მრიცხველებისა და 110-კილოვოლტიან წერტილებში დამონტაჟებული მრიცხველების ჩვენებებს შორის. ამავე დროს, თვით "თელასის" ციფრული მრიცხველების ჩვენებებისა და "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" იდნუქციურ მრიცხველებს შორის სხვაობები საკმაოდ უმნიშვნელო იყო. ამასთან, ენერგეტიკის სფეროში ბოლო პერიოდში დამკვიდრებულმა პრაქტიკამ, რომლის მიხედვითაც, ე.წ. 220-კილოვოლტიან წერტილებზე აღრიცხვებს ყურადღება აღარ ექცეოდა, წარმოშვა იმის დაეჭვების საფუძველი, რომ მხარეებს შორის გარიგება მიმდინარეობდა. ანუ, ხდებოდა ე.წ. 110-კილოვოლტიანი მხარის სინქრონიზაცია, რომლის დროსაც გარიგებაში მონაწილე მხარეები არ ითვალისწინებდნენ 220-კილოვოლტიანი მხარის აღრიცხვას.

სხვათა შორის, მაშინ, როდესაც ეს დეტალები გამჟღავნდა, ექსპერტებმა და სპეციალისტებმა დარგის ხელმძღვანელობას რამდენიმე რეკომენდაციაც მიაწოდეს, რათა აღრიცხვიანობის კუთხით შექმნილი პრობლემები მოწესრიგებულიყო.

პირველ რიგში, უნდა მომხდარიყო შესაბამისი რეაგირება თბილისის კვანძებში ელექტროენერგიის აღრიცხვაში არსებულ მდგომარეობის გამო, როგორც "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ხელმძღვანელობის, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მხრიდან.

ამავე დროს, პირველი რიგის ამოცანად უნდა განსაზღვრულიყო და უახლოეს პერიოდში უნდა აღდგენილიყო საკონტროლო და აღრიცხვის მრიცხველების მუშაობა ძირითად, საკვანძო - 500- და 220-კილოვოლტიან ქვესადგურებში, ხოლო შემდგომ ეტაპზე, ძირითად – 110-კილოვოლტიან ქვესადგურებში.

უნდა განსაზღვრულიყო სემეკისა და ენერგობაზრის მიერ საბალანსო და საანგარიშსწორებო მრიცხველების ჩამონათვალი ყველა საფეხურზე და ყველა მომხმარებლისთვის, რის საფუძველზეც ყოველთვიურად უნდა მომხდარიყო რეალური ბალანსის გამოყვანა შესაბამისი უწყებების მეშვეობით.

ეს რეკომენდაციები, იოლი მისახვედრია, რომ დღემდე არ შესრულებულა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ არიცხვიანობის კუთხით, ამავე პერიოდში საკმაოდ სერიოზული პრობლემები იყო შექმნილი რეგიონებშიც. ამის დამადასტურებელ ინფორმაციას "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

> პირველ რიგში, ამ პერიოდში სისტემატური ხასიათი მიიღო ერთმა ტენდენციამ როგორც წესი, ელექტროენერგიის აღრიცხვა არ ხდებოდა საბალანსო გაყოფის წერტილებში. მრიცხველები დამონტაჟებული იყო მომხმარებლის ბალანსზე აყვანილ ტერიტორიებზე. შესაბამისად, აღრიცხვის სისწორის კონტროლი შეუძლებელი იყო. თავად აღრიცხვის წრედები კი სისტემის ქვესადგურებში არ არსებობდა. ასეთი ურითიერთობები ჩამოყალიბდა მიმწოდებელსა და მსხვილ გადამხდელებს შორის. ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრში" ინახება.

> ელექტროსისტემაში არსებული დანაკარგების შემცირებისათვის საჭირო საკონტროლო ელეტრონული მრიცხველების გარკვეული რაოდენობა 220-კილოვოლტიან ქვესადგურებში უკვე სამი წელია, დამონტაჟებული იყო. სახელმწიფო ელექტროსისტემაში კი არ გამოიძებნა, დაახლოებით, 11 ათასი ლარი ამ მრიცხველების ჩასართველად.

> ცენტრის ხელთ არსებული დოკუმენტაციის თანახმად, ქვესადგურებში არსებული აღრიცხვის ჟურნალების მიხედვით, ელექტროენერგიის მიღებულ და გაცემულ ოდენობას შორის დისბალანსი საკმაოდ თვალშისაცემი იყო, რასთან დაკავშირებითაც არაერთგზის იყო გაფრთხილებული საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ხელმძღვანელობა, მაგრამ ამაოდ.

გამოხმაურება

**ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს.** ***მ„ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის გამოწვევას ღია დისკუსიაზე სემეკ-ის ყოფილი წევრი, ამჟამად სემეკ-ის მეცნიერ-კონსულტანტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დემურ ჩომახიძე გამოეხმაურა. საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის მოწყობის მისეულ ხედვას ცენტრი დღეს გთავაზობთ. გამოხმაურება მივიღეთ „მცირე ჰესების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის გენადი მესხიასგანაც. ვფიქრობთ, დაინტერესებული საზოგადოებისთვის მისი მოსაზრებებიც საინტერესო იქნება და მათ მომავალ ორშაბათს შემოგთავაზებთ.***

***შეგახსენებთ, რომ გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya-u@gol.ge.*** **მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.**

# საჭიროა თუ არა ენერგეტიკის რეგულირება?

დემურ ჩომახიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
სემეკ-ის მეცნიერ-კონსულტანტი,
სემეკ-ის ყოფილი წევრი

საქართველოს თითოეული მოქალაქე სამართლიანად შეშფოთებულია იმის გამო, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს ელექტროენერგეტიკა, დაახლოებით, 35 წლით უკან აღმოჩნდა; ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ამჟამად იმდენ ელექტროენერგიას აწარმოებს, რამდენსაც 1968 წელს. დარგის ესოდენ მასშტაბური ნგრევისა და დაუძლურების მიზეზები, აგრეთვე, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გატარებული რეფორმები საზოგადოების მიერ არაერთგვაროვნად იქნა შეფასებული, ცალკეულ შემთხვევებში, ვფიქრობთ, არაობიექტურადაც.

კრიტიკის ობიექტი გახდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიაც (სემეკ) - ენერგეტიკის ეკონომიკურ გარდაქმნათა დიდი და რთული პროცესის უმნიშვნელოვანესი რგოლი. იგი, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგად, კორუმპირებულთა შორის ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე დასახელდა (გაზ. „24 საათი", 25.10.04). რესპონდენტთა აზრით, მან ეს ადგილი ტარიფების სიდიდისა და არასტაბილური ენერგომომარაგების გამო დაიმსახურა, მაგრამ რამდენად სარწმუნოდ უნდა ჩავთვალოთ ამ გამოკითხვის შედეგები, როცა რესპონდენტთა 80 პროცენტზე მეტმა, სამწუხაროდ, არ იცის მიწოდებული ელექტროენერგიის თვითღირებულება, ხოლო ენერგოტარიფების განმსაზღვრელთა ნუსხაში პრეზიდენტს, ენერგეტიკის სამინისტროს, პარლამენტსა და ლეიბორისტულ პარტიას ასახელებს.

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში ენერგეტიკის რეგულირება უკვე 7 წელია ხორციელდება. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების პირველი ორგანოა სახელმწიფოში. დროის ამ შედარებით მცირე მონაკვეთში სემეკის მიერ მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ქვეყნისათვის სრულიად ახალი მიდგომების რეალიზაციისა და შესაბამისი ინსტიტუციონალური და ნორმატიული ბაზის შექმნის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, დარგში არსებული მწვავე პრობლემების ფონზე, ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფი წარმოუდგენლად მაღალი და გაბერილია. თუმცა, სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ჩვენთან ელექტროენერგიის მოქმედი საცალო ტარიფი, სხვა ქვეყნების ანალოგიურ ტარიფებთან შედარებით, არც ყველაზე მაღალია და არც ყველაზე დაბალი. 2003 წლის ბოლოს, აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოში მაღალი იყო, ვთქვათ, სომხეთთან (3,2 პროცენტით), ყაზახეთთან (44,5 პროცენტით), უკრაინასთან (65 პროცენტით) შედარებით; მაგრამ დაბალი იყო მოლდოვასთან (19,6%-ით), ლატვიასთან (36,2 პროცენტით), ესტონეთთან (31,1 პროცენტით) ლიტვასთან (2,1-ჯერ), თურქეთთან (2,5-ჯერ), პოლონეთთან (2,2-ჯერ) შედარებით.

მართალია, ხელფასის არსებული დონის გამო საქართველოს მოსახლეობას ტარიფის გადახდა უფრო უძნელდება, ვიდრე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოსახლეობას ბევრად უფრო მაღალი ტარიფისა, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ელექტროენერგიაზე დადგენილი ტარიფის სიდიდეს, მისი წარმოება-მიწოდების დანახარჯები განსაზღვრავს და არა გადახდისუნარიანობა. ამდენად, ელექტროენერგიის ტარიფები ყველგან, და მათ შორის, საქართველოშიც, მის დანახარჯებთან არის დაკავშირებული და მოსახლეობისა თუ წარმოება-დაწესებულებების გადახდისუნარიანობაზე პირდაპირპროპორციულად დამოკიდებული არ არის.

საბოლოო ჯამში, მოქმედი ტარიფების მოწინააღმდეგეთა მთელი არგუმენტაცია მხოლოდ ერთ კითხვაზე დაიყვანება: ჩვენ ვცხოვრობთ ისე, როგორც იმ ქვეყნებში ცხოვრობენ? ვფიქრობთ, ამ კითხვისთვის ერთადერთი სწორი პასუხი ასეთი უნდა იყოს: მართალია, ჩვენ არ ვცხოვრობთ ისე, მაგრამ ვერც ვერასოდეს ვიცხოვრებთ, თუ არ ვივლით ფასების რეალური დანახარჯების მიხედვით დადგენის გზით. თუ ელექტროენერგიას მუდმივად მივითვისებთ ან ვიყიდით იმაზე იაფად, ვიდრე ის ფასობს, მაშინ ელექტროენერგიის მწარმოებელი და მიმწოდებელი ვერასოდეს მიიღებს კუთვნილ ანაზღაურებას; დაიკარგება შრომისადმი ინტერესი; დარგი, უკეთეს შემთხვევაში, ისეთივე დაფიციტური იქნება, როგორც დღეს არის ან, სავსებით დასაშვებია, რომ იგი სრულიად გაჩერდეს.

გამოთქმულ ბრალდებათა შორის ერთ-ერთი მთავარია გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობის შემცირება. მაგრამ აქაც თუ სტატისტიკას მოვიშველიებთ, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის საქართველო გამონაკლისი არ არის. კერძოდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, გარდა ყირგიზეთისა, ელექტროენერგიის წარმოება მკვეთრად შემცირდა. აღნიშნული მაჩვენებელი 1990-2000 წლებში მოლდოვაში 17,4-ჯერ შემცირდა, საქართველოში - 47,7 პროცენტით, ლიტვაში - 60,7 პროცენტით, ესტონეთში - 47,7 პროცენტით, უკრაინაში - 42,8 პროცენტით, სომხეთში - 42,3 პროცენტით, ყაზახეთში – 41 პროცენტით და ა.შ. შემცირდა იგი ენერგორესურსებით ისეთ მდიდარ ქვეყნებშიც, როგორიცაა რუსეთი და აზერბაიჯანი - შესაბამისად, 18,9 პროცენტით და 19,4 პროცენტით. რაც შეეხება ჰესებში წარმოებულ ელექტროენერგიას, იგი საქართველოში მხოლოდ 14 პროცენტით შემცირდა. (1990 წ. - 7600 მლნ.კვტ.სთ, 2003 წ. – 6526 მლნ.კვტ.სთ.)

ვერც იმ აზრს გავიზიარებთ, რომ ენერგოკრიზისის დაძლევის ერთადერთი დარჩენილი გზა სათბობ-ენერგეტიკული სექტორის ***მოკლე დროში სრული ლიბერალიზაციაა*** („24 საათი", 01.11.04).

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ ელექტროენერგეტიკულ სექტორში ჩატარებული ეკონომიკური რეფორმები, ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, იმთავითვე ითვალისწინებდა დარგში საბაზრო პრინციპების ეტაპობრივ განხორციელებას. კერძოდ, ნავარაუდევი იყო ელექტრობაზრის განვითარების სამი თანმიმდევრული ეტაპი: შეზღუდული და რეგლამენტირებული საბაზრო პრინციპების; გენერაციის ქვესექტორში ფასების ლიბერალიზაციის და ენერგეტიკულ სექტორში სრულყოფილი საბაზრო ურთიერთობების დანერგვის.

მიგვაჩნია, რომ პირველმა ეტაპმა თითქმის ამოწურა თავისი შესაძლებლობები და საჭიროა მეორე ეტაპზე ***თანდათანობითი*** გადასვლა, მით უმეტეს, რომ ამისათვის არსებობს სერიოზული საფუძვლები: მათ შორის აღსანიშნავია ენერგოკომპანიების გამსხვილებისა და პრივატიზაციის პროცესი, გენერაციის ზოგიერთი სადგურის გრძელვადიან, ხოლო ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისა და გადაცემა-დისპეტჩერიზაციის კომპანიების 5 წლის ვადით მართვაში გადაცემა და სხვ.

მეორე ეტაპის წარმატებით განხორციელება, ძირითადად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილად განხორციელდება ელექტროენერგეტიკის სფეროში ტარიფების ლიბერალიზაცია; ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე ელექტროენერგიის საბითუმო გამყიდველებსა და მყიდველებს შორის პირდაპირი კონტრაქტების გაფორმება; დამაბალანსებელი სიმძლავრეების შეუფერხებელი ფუნქციონირება; ანუ მეორე ეტაპის ძირითადი მიზანია სექტორის ***თანდათანობითი*** ლიბერალიზაცია და ამის საფუძველზე იმ მიზეზების დაძლევა, რომელმაც უმწვავესი ფინანსური კრიზისი განაპირობა.

ენერგეტიკული სექტორის კრიზისიდან გამოყვანის აღნიშნულ კურსს, ცხადია, მხარს უჭერს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, მაგრამ დასაზუსტებელია საკითხი რეფორმის ახალი ეტაპების განხორციელების ვადების შესახებ. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რა ვადებში განხორციელდება ცვლილება. ზედმეტად დაჩქარებული რეფორმები, თუ წარმოება და ინფრასტრუქტურა შესაბამისად არ მომზადდა, ვერ გაამართლებს. ამიტომ, საჭიროა ჩამოყალიბდეს ღონისძიებათა განხორციელების კომპლექსური გეგმა-გრაფიკი.

დერეგულირება ენერგეტიკის ფუნქციონირების შედარებით ახალი მიმართულებაა და იგი ითვალისწინებს დარგის ვერტიკალურ-ინტეგრირებული მმართველობის გადაყვანას ლიბერალურ რელსებზე. დარგის სხვა კომპონენტებისაგან განსხვავებით, გენერაციის სექტორი არ წარმოადგენს მონოპოლიას და მასში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა შედარებით ადვილად მიღწევადია. კონკურენცია და სტრუქტურული გარდაქმნები მისაღებია იმ შემთხვევაში, თუ მისი მიზანია დარგის სტაბილური ფუნქციონირება და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. ჩვენი აზრით, საქართველოში დღეს არსებულმა პრობლემებმა შეიძლება შეაფერხოს გენერაციის სექტორის დაჩქარებული და სრული ლიბერალიზაცია შემდეგი მიზეზების გამო:

დეფიციტური ელექტროენერგეტიკული სისტემის არსებობა;

სარეზერვო ენერგეტიკული სიმძლავრეების არარსებობა;

მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების არამდგრადი ფუნქციონირება;

მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის მცირე გადახდები;

მოსახლეობისა და მატერიალური წარმოების მიერ ელექტროენერგიის მოხმარების შესაძლო ზრდა;

გენერაციის, განსაკუთრებით, თბოსადგურების და მარეგულირებელი ჰესების სხვადასხვა ტარიფი.

საქართველოში გენერაციის სადგურების ძირითადმა ნაწილმა თავისი მუშაობის რესურსი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოწურა. ამავე დროს, მომხმარებლების მიერ მასობრივი არგადახდის გამო, ისინი ვერ იღებენ გამომუშავებული პროდუქციის საფასურს, რომლის ძირითადი ნაწილი საწარმოთა ტექნიკურ რეაბილიტაციას უნდა მოხმარდეს. ასეთ პირობებში საწარმოები ვერ იქნებიან თანაბარკონკურენტულ პირობებში, რაც გამოიწვევს ელექტროენერგიაზე ფასის ხელოვნურად დაწევას, რადგანაც გენერაციის სადგურები დათანხმდებიან მიიღონ მხოლოდ ის მცირე თანხა, რომელიც დაფარავს საწარმოს მომუშავეთა სახელფასო დავალიანებას, ხოლო მიმდინარე რემონტები და სარეაბილიტაციო სამუშაოები დაუფინანსებელი დარჩება.

მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია, რომ კლასიკურ კონკურენტულ გარემოში, როდესაც ბაზარი გაჯერებულია პროდუქციით, ყოველთვის არის ტენდენცია ენერგიის ფასების შემცირებისა, მაგრამ რეალურად, დეფიციტურ ენერგოსისტემაში ამან შეიძლება აბსოლუტურად საპირისპირო მიმართულება მიიღოს.

ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე დიდი შტატის – კალიფორნიის ცნობილი ენერგოკრიზისი. მიგვაჩნია, რომ მისი გამომწვევი მიზეზებისა და, საერთოდ, გამოცდილების შესწავლას და გათვალისწინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნისა და, მათ შორის, საქართველოს ენერგეტიკისათვის.

რა მოხდებოდა მარეგულირებელი ორგანოს არარსებობის შემთხვევაში? დარგში უთუოდ სახეზე იქნებოდა არასტაბილურობა და ქაოსი, მწარმოებელთა უკმაყოფილება, ენერგეტიკულ სტრუქტურებს შორის უფლება-მოვალეობათა, აგრეთვე, მესაკუთრის ოპერატიულ-სამეურნეო და მარეგულირებელ ფუნქციათა აღრევა; შემცირდებოდა კაპიტალის ნაკადი ენერგეტიკული რესურსების შეძენისა და დარგში ინვესტიციების განხორციელებისათვის, დაეცემოდა სამართლიანობის რწმენა.

მართალია, განვლილ პერიოდში საქართველოში ტარიფის ზრდა მოსახლეობის შემოსავლების ზრდას მნიშვნელოვნად აღემატებოდა, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო რეგულირების გარეშე ტარიფის ზრდა გაცილებით დიდი იქნებოდა, ქვეყანაში ენერგიის მწვავე დეფიციტის ბაზარი უთუოდ გვიპასუხებდა ტარიფის უფრო მკვეთრი მატებით, უფრო ძნელი იქნებოდა მაღალი ტარიფისაკენ კომპანიათა სწრაფის მოთოკვა.

როგორც ცნობილია, საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის 80 პროცენტი გამომუშავებულია ჰიდროელექტროსადგურების მიერ, რომელთა დიდი ნაწილი თავიანთი დანიშნულებით პიკური და მარეგულირებელი სადგურებია. საჭირო სახსრების უქონლობის გამო, გაძნელებულია ბაზისური თბოელექტროსადგურების საწვავით მომარაგება. სწორედ ამიტომ ჰიდროენერგეტიკას უწევს ბაზისში მუშაობა და წყლის სარეზერვო მარაგის ხარჯვა; ეს კი, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილურ მუშაობას. წარმოების ტარიფის ლიბერალიზაციის შემთხვევაში, მოსალოდნელია, წყალსაცავიანი ჰესების მფლობელებმა შეცვალონ მუშაობის რეჟიმი და ელექტროენერგია მხოლოდ პიკის საათებში აწარმოონ. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პიკური ენერგია გაცილებით ძვირია ბაზისურზე, ამიტომ იქმნება საშიშროება, რომ პიკური სადგურების ტარიფი გაძვირდეს და გაუტოლდეს კიდეც თბოსადგურებზე წარმოებული ენერგიის ტარიფს.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დღეს გენერაციის საწარმოები მუშაობენ შესაძლებლობის 60-70 პროცენტიან ზღვარზე, დიდი ხანია დარგში არ ამოქმედებულა არც ერთი ახალი ობიექტი, არ შექმნილა დამატებითი სიმძლავრეები; ენერგეტიკული სიმძლავრეების ასეთი დეფიციტის პირობებში, დარგის ხელოვნურად დაჩქარებული ლიბერალიზაცია და კონკურენტუნერიანი გარემოს ჩამოყალიბება შეუძლებელია.

დარგის ლიბერალიზაციისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ იმ პირობების შესრულება, რომლებიც მის ტექნიკურ უსაფრთხოებასა და სტაბილურობას უზრუნველყოფს. საჭიროა, შეიქმნას ლიბერალური ეკონომიკური გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს დარგში კონკურენციის განვითარებას. ამისათვის კი საჭიროა ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის გატარება იმის გათვალისწინებით, რომ ელექტროენერგეტიკა ქვეყნის მეურნეობის სტრატეგიული და სპეციფიკური დარგია.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალი ენერგეტიკული კომპლექსის თანამიმდევრული ლიბერალიზაცია და კონკურენტული გარემოს შექმნაა, და არა მოკლე დროში მისი სრული ლიბერალიზაცია. ამასთან, სრულად უნდა გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ენერგეტიკული პოტენციალი, უნდა ჩატარდეს ჰიდრო და თბოსადგურების რეაბილიტაცია; შეძლებისდაგვარად აშენდეს ახალი სიმძლავრეებიც. ამისათვის, ურთიერთხელსაყრელ პირობებში, მოზიდულ უნდა იქნეს როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციები, დიდი როლი შეასრულოს ენერგიის ეკონომიურად და რაციონალურად გამოყენებამ, სრულყოფას საჭიროებს ენერგიაშემცველების მოხმარების დარგობრივი სტრუქტურა, ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა ენერგიის აღრიცხვის მოწესრიგება და ა.შ.

ყურადღება უნდა მიექცეს დარგის მენეჯმენტის სრულყოფას და ეკონომიკური რეფორმების სწორად განხორციელებას. კერძოდ, საჭიროა დარგში პრივატიზაციისა და გრძელვადიანი მართვის უფლებით მსოფლიოს გამოცდილ კომპანიებისთვის გადაცემის პროცესის დაჩქარება. ეს ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტების მენეჯმენტის დანერგვას, კორუფციის დონის შემცირებას, ენერგიის საფასურის ამოღების ზრდას, ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინების გაფართოებას, თანამედროვე მმართველობითი ტექნოლოგიების დანერგვას და კადრების ხარისხობრივ სრულყოფას. ყოველივე ეს დარგში ლიბერალური, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების რეალურ პერსპექტივებს შექმნის. ამასთან, მხარი უნდა დავუჭიროთ რეგიონული ელექტრობაზრის შექმნის იდეას, რაც საქართველოს ელექტროსისტემას მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებთან ინტეგრირების საშუალებას მისცემს.

**ახლოს ლეგენდასთან**



ვარძიაზე ზრუნვა დაწყებულია

B2

**ჰოლივუდი ალღუმის გარეშე რჩება**



B3

**წყალბურთელთა ქარიშხალი "ქარიშხალაში"**



B5






ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

მართლაც ვერ დავიჩივლებ, რომ ქალებს ჩემი არ ესმით! — გასულ ორშაბათს ვამბობდი, რომ პრესის თავისუფლება ხელისუფლების კრიტიკის რაოდენობა კი არა, მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხია. ვიფიქრე, ამ უბრალო აზრის მშობლიურ ნიადაგზე დასანერგად მაინცდამაინც "ობზერვერის" კოლუმნისტზე დაყრდნობა დამჭირდებოდა. მაგრამ 25 ნოემბერს აღმოჩნდა, რომ საქართველოში მარტო მე არ მქონია ეს საწუხარი — **თამარ მჭედლიშვილმა** თავის საპარლამენტო მიმოხილვას მშვენიერი სიტყვები წაუმძღვარა წინ: **"საქართველოში ძალზე ცოტა ადამიანმა თუ იცის, კონკრეტულად, რა შინაარსის კანონპროექტები განიხილება პარლამენტში და რამდენად იმოქმედებს ამ კანონების მიღება თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაზე. მედიის მიერ პარლამენტში გაშუქებული მოვლენები, ძირითადად, პოლიტიკურ დებატებს თუ ურთიერთდაპირისპირებებს ეხება, ხოლო თავად სადავო კანონპროექტების შინაარსის თაობაზე საკმაოდ მწირი ინფორმაცია ვრცელდება"**.

ჩვენი მოვალეობაა მიზეზში გარკვევა. ერთი მხრივ, ჩვენს ცნობიერებაში თავისუფლება და დამოუკიდებლობა, როგორც ეტყობა, საგარეო პოლიტიკის კონტექსტში უფრო მოიაზრება, ამიტომ სახელმწიფო ჰიმნის ვიდეოკლიპშიც ძალიან ბევრი საომარი ტექნიკაა (თუმც კი ნაჩუქარი!) და არც ერთხელ არაა ნაჩვენები პარლამენტის დარბაზი, სადაც სახელმწიფო ჰიმნი კანონის თანახმად ჟღერს ხოლმე. არის ჩვენი პოლიტიკური ცნობიერების კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, ხალხური თვისება: 22 ნოემბერს, **თეონა ჯაფარიძის** სტატიაში *ჰერალდიკა ფერწერაში* ვკითხულობთ: **"მხატვრის მეუღლე, ხელოვნებათმცოდნე ანა კლდიაშვილი მიხსნის, რომ გია ბუღაძე ბუნებით მონარქისტია"**. ხელვონებათმცოდნეს ალბათ ჰგონია, რომ ძალიან კარგი რამ თქვა საკუთარ მეუღლეზე, მაგრამ ეს კი არაა მნიშვნელოვანი, არამედ სიტყვათშეთანხმება "ბუნებით მონარქისტი". გამოდის, რომ ჩვენს ცნობიერებაში მყარადაა ჩამჯდარი აზრი, რომ ყოველივე შეძენილი ცუდია, თანდაყოლილი კი კარგი. ჩვენს გონებაში ვერ იქნა და ვერ დაიმკვიდრა ადგილი თავისუფალი რაციონალური არჩევანის პატივისცემამ, რასაც პოლიტიკურ სფეროში განასახიერებს პარლამენტი. სამაგიეროდ წამით გაიელვებს დავით აღმაშენებლის და თამარის ფრესკული პორტრეტები და თავს უკვე მშვიდად უნდა ვგრძნობდეთ — დაცულნი და უზრუნველყოფილნი ვართ!

რას იზამ, ჩემო მკითხველო, ქვეყანას მე და შენ ვერ გავასწორებთ, შენს ინფორმირებას კი ნამდვილად უნდა შევეცადო. თუნდაც იმიტომ, რომ "24 საათის" პრესომბუდსმენობა დამაკისრეს და სწორედ იმას უნდა მივსდიო, რამდენად ასრულებს ხსენებული ბეჭდვითი ორგანო თავის ძირითად დანიშნულებას. მისი სათაურით — "24 საათი" — ხელმოწერილია 24 ნოემბერს გამოქვეყნებული მასალა *კურთხევის დღე*. სწორედ მას ავირჩევ დღევანდელ სამიზნედ.

მანამდე კი სახელი უნდა დავარქვა ერთ ფენომენს, რასაც აქამდე სახელი არ ჰქონია: **იბერკორექტულობა**. სიტყვის პირველი ნაწილი, გასაგებია, ჩვენს "ღმერთთან წილნაყარ მთაბარზე" მიუთითებს; აზრობრივად ტერმინი "პოლიტკორექტულობას" ეხმიანება, რადგან ამ სიტყვამაც სინამდვილის ასახვის მეთოდი და მსოფლმხედველობა უნდა აღნიშნოს; ფონეტიკურად კი "ჰიპერკორექტულობას", ანუ ზედმეტ, გადაჭარბებულ ხათრიანობას ეხმიანება, რადგან სწორედ ასეთია იმის ბუნება, რისი აღწერაც განვიზრახე დღეს.

განსახილველად არჩეული მასალა კი სწორედ იბერკორექტულობის პრინციპებზეა აგებული, ანუ ჩამოშორებულია ყველაფერი, რაც ზედმეტ კითხვებს დაბადებს მკითხველში. მკითხველს კი, თვით სახელწოდების თანახმად, კითხვები უნდა წარმოეშვას...

სტატია ეხება ყოვლადწმინდა სამების ტაძრის კურთხევასა და გახსნის ცერემონიას. აქ ნათქვამია: **"უწმინდესმა აღავლინა საზეიმო წირვა-ლოცვა, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს ყველა ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენელი"**. ტყუილია, ბატონებო, რადგან მიუხედავად გაგზავნილი მოწვევებისა ზეიმს დააკლდა ჩეხეთისა და სლოვაკიის ავტოკეფალური ეკლესიისა და იერუსალიმის საპატრიარქოს დელეგაციები, აგრეთვე ყველა ავტონომიური ეკლესიის დელეგაცია. სხვათა შორის, არც ჩამოსულები გამოირჩეოდნენ წარმომადგენლობის ძალიან მაღალი დონით... შესადარებლად მოვიყვანოთ მოსკოვში 2000 წლის 18-19 აგვისტოს ჩატარებული ზეიმი ქრისტე-მაცხოვრის ტაძრის კურთხევის აღსანიშნავად. იქ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიათა ექვსი მწყემსთმთავარი ჩაბრძანდა (მათ შორის უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეც) და სომხური გრიგორიანული ეკლესიის საჭეთმპყრობელი, გარეგინიც. გარდა იმისა, რომ საქართველოს საპატრიარქომ, ეჩმიაძინიდან საერთოდ არავინ მოიწვია, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების **არც ერთი** მეთაური თბილისში **არ ჩამოსულა**. დელეგაციები, ძირითადად, ეპისკოპოსებით იყო წარმოდგენილი, მაგრამ აქაც იყო გამონაკლისები: კვიპროსის დელეგაციის ხელმძღვანელი, **ბასილი** ტრიმიფუნტის ქორეპისკოპოსია, ანუ ეპარქიის მმართველი არ გახლავთ, ბულგარეთის დელეგაციაში კი სულ არ ყოფილა მღვდელმთავარი. ამავე დროს, ბულგარეთის დელეგაციის ხელმძღვანელი, არქიმანდრიტი **ეგნატე** (კოლევი) და ანტიოქიის საპატრიარქოს ფილიპოპოლის ეპისკოპოსი **ნიფონტი** არიან შესაბამისი ეკლესიების მუდმივი წარმომადგენლები მოსკოვში: როგორც ეტყობა, საქართველოს ამ ქვეყნებში კარგა ხანია განიხილავენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საეგზარქოსოდ: დაურეკეს თავიანთ წარმომადგენლებს და უთხრეს, მოწვევა მოგვივიდა და ბარემ თქვენ ჩადითო. ახლა კი დელეგაციათა ზოგიერთ კონკრეტულ მონაწილეს შევეხოთ. რუსეთის ეკლესიას წარმოადგენდა ვოლგოგრადისა და კამიშინის მიტროპოლიტი **გერმანე** (ტიმოფეევი) — ეს მღვდელმთავარი იმითაა ცნობილი, რომ რამდენიმე წლის წინ ანათემას გადასცა (!) ვოლგოგრადის ოლქის პროკურორი იმის გამო, რომ ხსენებულმა სამართალდამცავმა დაიწყო ეპარქიასთან არსებული ერთ-ერთი საქველმოქმედო ფონდის ფინანსური მაქინაციების გამოძიება: ბუნებრივია, მოსკოვში მიიჩნიეს, რომ სწორედ მეუფე გერმანე გაეგზავნათ თბილისში для передачи опыта, увы, далеко не духовного. მეორე წევრი რუსული დელეგაციისა, დეკანოზი **ნიკოლოზ ბალაშოვი**, იმითაა ცნობილი, რომ მოსკოვის საპატრიარქოში არაფორმალურად ასე მოიხსენიებენ: полковник-протоиерей. არც ელადის დელეგაციაა ნაკლებად საინტერესო: მისი ერთი წევრი, არქიმანდრიტი **პროკოფი** (პეტრიტისი) იმით გამოირჩევა, რომ ყველა ოფიციალურ შეკრებაზე რუსეთის აგენტად მოიხსენიებს ილია მეორეს და ლანძღვა-გინებით იკლებს საქართველოს ეკლესიას; მეორე წევრი კი, არქიმანდრიტი დიონისე, სულაც არ არის წევრი — იგი საქართველოში თვითნებურად ჩამოვიდა, რადგან ელადის ეკლესიის მეთაური, უნეტარესი ქრისტოდულოსი მას არ სცნობს.

მთელ ამ ვითარებას ერთი მიზეზი აქვს: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტი ქრისტიანულ სამყაროში მნიშვნელოვნადაა შერყეული მის მიერ გატარებული იზოლაციონისტური პოლიტიკისა და ფუნდამენტალიზმის დამკვიდრების გამო. ამას კიდევ უფრო ამძიმებს კიდევ ერთი გარემოება: საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი, ეპისკოპოსი **გერასიმე** (შარაშენიძე) მოკლებულია სასულიერო განათლებას — ვინ იცის, როგორ იქნა შედგენილი მოსაწვევთა ტექსტი...

აქვს ამის ცოდნის უფლება ქართველ ხალხს? — რა თქმა უნდა, აქვს. რა უდგას წინ? — იბერკორექტულობა.

განვაგრძოთ. სტატიაში წერია: **"ცხადია, უწმინდესთან ერთად ლოცულობდა საქართველოს ყველა ეპარქიის მღვდელმთავარიც"**. ტყუილია, რადგან ცერემონიას აკლდნენ: დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი **აბრაამი**, წილკნის მთავარეპისკოპოსი **ზოსიმე**, ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი **გრიგოლი** და დმანელი ეპისკოპოსი **ზენონი**. მადლობა ღმერთს, ყოველი მათგანის ჯანმრთელობა წესრიგშია...

ამას მოსდევს ცერემონიაში მონაწილე სოციალურ ჯგუფთა ჩამონათვალი, რომლის ზოგიერთი პუნქტი, თავისთავად, ძალიან საინტერესოა.

**"სახელოვანი მეცნიერები"** — ეს ტიტული იბერკორექტულობის ცნებითმა აპარატმა მემკვიდრეობით მიიღო ტოტალიტარული რეჟიმისაგან. მეცნიერის "სახელოვნება" მხოლოდ ორი რამით უნდა იქნეს აღნიშნული — სამეცნიერო წრეებში აღიარებითა და მაღალი ანაზღაურებით. დანარჩენი კი "ბოროტისაგან არს". სწორედ ამ გაუგებარ საზოგადოებრივ ტიტულს ეყრდნობოდა აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, **ნაპოლეონ ქარქაშაძის** და, როცა სასამართლოს საყვედურობდა: მეცნიერების პატივისცემა არ გააჩნიათო.

26 ნოემბერს, სტატიაში *გურამი და ლეონარდო* **ნინია კაკაბაძე** ამტკიცებს, რომ **გურამ შარაძის** მიერ პოლონელი ხელოვანის ნამუშევართა ვანდალური განადგურება **"იმის ბრალია, ასე უგზო-უკვლოდ და დაცვის გარეშე რომ დაიარება"** გურამ შარაძე. ეს, რა თქმა უნდა, რიტორიკული ხერხია, მაგრამ მოვლენის მიზეზები უფრო ღრმად უნდა ვეძებოთ: იბერკორექტულობის ჯურღმულებში. ყველა ვჩურჩულებდით, მაგრამ ხმამაღლა არავინ იკითხა, ვინ არის გურამ შარაძე და რისთვის მიენიჭა სამეცნიერო ხარისხები და წოდებები, არავინ დაინტერესებულა მისი სამეცნიერო შრომების სიით. ამიტომაც გაპარპაშდა, რომ იბერკორექტულობა უსაფრთხოების გარანტიას ნავარჯიშევი ბიჭების ოცეულზე უფრო საიმედოდ აძლევდა.

ამიტომაც წამოაყენეს თსუ უცნობი ფაკულტეტის უცნობი კურსის სტუდენტებმა თავიანთი რექტორი, რომელიც თურმე გელათის აკადემიის აკადემიკოსი და აშშ-ში ორჯერ გამოცხადებული წლის ადამიანია. რატომ არა ვთქვით, რომ გელათის აკადემიაში ვითარებას მართავს მისი აკადემიკოსი, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი **კალისტრატე** (მარგალიტაშვილი), მხოლოდ საშუალო განათლების მქონე; რომ არსებობს მრავალი ამერიკული ორგანიზაცია, რომელიც მცირე თანხის საფასურად გამოგაცხადებთ წლის ადამიანად, მსოფლიოში უდიდეს ინტელექტუალად, რომელიმე ამერიკული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

და კიდევ ერთი... განა ეს "სახელოვანი მეცნიერები" და "კულტურის მუშაკები" არ არიან, კონფიდენციალურ ვითარებაში რომ ასე ლაპარაკობენ სამების ახალაშენებულ ტაძარზე: "საშინელებაა, მაგრამ საჯაროდ არაფერს ვიტყვით". არა გჯერათ? — გადაშალეთ 27 ნოემბრის "24 საათი" და წაიკითხეთ **სოფო კილასონიას** სტატია *ქვით ნაგები გზავნილი მომავალში*. აქ ვკითხულობთ: **"გრანდიოზული და აქედან გამომდინარე დიდებული — არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, თუმცა, ეს ერთადერთი შეფასებაა, რასაც ხმამაღლა ამბობენ. დანარჩენს ერიდებიან. აზრი და კითხვა მრავალი, რაც არაერთმა ხელოვნებათმცოდნემ და არქიტექტორმა გამანდო, თუმცა მხოლოდ გამანდო"**. მეც შემიძლია ხელი მოვაწერო ამ სტრიქონებს და, მგონი, ყველამ, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ცოცხალი ხელოვნებათმცოდნე ან არქიტექტორი. რას შესწირეთ, ბატონებო, მოქალაქეობრივი პოზიცია? — ნუთუ იბერკორექტულობას! ნეტა რას ღებულობთ სამაგიეროდ? — ნუთუ სიმშვიდეს და უსაფრთხოებას! ან ამგვარ სიმშვიდეს რა თავში იხლით...

ამას ეშმაკიც ვერ გაარკვევს, ჩვენ კი ისევ მონაწილეთა ჩამონათვალს დავუბრუნდეთ, სადაც ასეთი პუნქტიც არის: **"ჩოხოსნები და სხვა მორწმუნე მრევლი"**. ჩოხოსანთა ღრმა და ურყევ რწმენას ალბათ წირვის მსვლელობისას ხშირ-ხშირად აწკრიალებული მობილური ტელეფონები ამოწმებდნენ ყველაზე აშკარად... მაგრამ წვრილმანებზე ნუ გამოვეკიდებით. ადამიანთა ამ თავისებურ ჯგუფს სულ უფრო ხშირად ვხედავთ საპატრიარქოს მახლობლად — სხვაგან ამ მოუხერხებელი სამოსით ვერაფერს გააწყობ. მარტო იმას არ ვგულისხმობ, რომ დაზგასთან ვერ დადგები და ოფისშიც სასაცილოდ და შეუსაბამოდ გამოჩნდები. სხვა რამეს ვგულისხმობ: რატომ ვერ ვხედავთ ქუჩაში. როგორც ეტყობა, ყოველი მათგანისთვის ეს მასკარადი რაღაც შინაგან მსხვერპლს მაინც წარმოადგენს (საკუთარ შეხედულებათა დემონსტრირება ყოველთვის მსხვერპლია) — მსხვერპლის უსასყიდლოდ გაღება კი არავის უნდა. სასყიდელს, ანუ აღიარებასა და მხარდაჭერას, საპატრიარქოს გარდა, ჩოხოსნები ვერსად მიიღებენ.

ისევ იბერკორექტულობის "ოქროს წესი" მოქმედებს: ყოველგვარი საჯარო მანიფესტაცია შეუძლებელია თუ ის პირადი უსაფრთხოებისა და დაცულობის გაზრდას არ გულისხმობს.

ოდესღაც, მე-19 საუკუნეში **ალექსანდრე ჰერცენი** წერდა **ალექსი ხომიაკოვის** შესახებ: "მას ყველა ჭეშმარიტი რუსის იერსახე ჰქონდა: წითელი პერანგი და ჩექმები ეცვა და მხოლოდ ფრანგულად ლაპარაკობდა". ჩვენი ჩოხოსნებიც დაახლოებით ამგვარ უცნაურ სურათს წარმოადგენენ, ოღონდ ფრანგული ენის მაგიერ ალბათ კრიალა "ჯიპები" უნდა ვიგულისხმოთ. რას იზამ, არავინ უთხრა, რომ, ჯერ ერთი, მათი ჩოხები მხოლოდ რაღაც შორეული მსგავსების შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ ქართულ ტრადიციულ სამოსად (უფრო სტალინური ეპოქის სახელმწიფო ფოლკლორულ ანსამბლებს შეეფერება), მეორეც, ბოლო 200 წლის განმავლობაში საქართველო წინ ევროპულად ჩაცმულმა ადამიანებმა წასწიეს, დღეს კი სხვანაირად შეუძლებელია.

და კიდევ ერთხელ უნდა დავარღვიო იბერკორექტულობის მოთხოვნები: რუსმა სლავოფილებმა (ხომიაკოვი სწორედ მათი ლიდერი იყო) წითელი მოქარგული პერანგების გარდა ტექსტები დაუტოვეს შთამომავლობას — თქვენ კი რასა ჰქმნით?

26 ნოემბრის ნომერში, **გიორგი ასანიშვილის** სტატიაში *"მერხების რევოლუცია"* ვკითხულობთ **გიგა ბოკერიას** სიტყვებს: **"ფსევდოპატრიოტული მისტერიების დრო წავიდა"**. ეჰ, ჩემო გიგა, ეგ ტრიუმფალური ლოზუნგი არა მარტო ნაადრევი, არამედ შეუსაბამო გამოგივიდა: 23 ნოემბერმა სწორედ რომ ფსევდოპატრიოტული მისტერიის აშკარა ნიმუში გვიჩვენა, თანაც ხელისუფლების მიერ განხორციელებული და დამკვიდრებული. უფრო მეტიც, თუ ტაძრისკენ პროცესიაში რევოლუციურ სამეულს სახელმწიფო დროშასთან გასწორებული საეკლესიო ბაირაღიც უძღოდა წინ, ნუთუ ეს იმის ნიშანი არაა, რომ ჩვენ კონფესიური სახელმწიფოსკენ მივდივართ? თუ ბიზანტიური იმპერიალიზმისა და ამერიკული პრიმიტივიზმის ჰიბრიდი უნდა ავაშენოთ?

ამგვარი ჰიბრიდი მხოლოდ შიზოფრენიული შეიძლება გამოვიდეს. თუმცა ამის ნიშნებს უკვე ვხედავთ ჩვენს ირგვლივ. აი, მაგალითად, 24 ნოემბერს ასეთი სტატია გამოაქვეყნა "24 საათმა": *ზამთრის დროზე გადასვლასთან დაკავშირებით*. მას სამი ავტორი აწერს ხელს, მაგრამ წაიკითხავ და გეგონება, რომ ეს ერთი კაცია, ვისაც პიროვნების გასამება სჭირს. რას არ შეხვდებით აქ: ოკულტურ მისტიციზმს (**"კოსმიური დრო ... კოსმიური რიტმები"**), შეთქმულების თეორიას (**"ლენინის მიერ დეკრეტული დროის შემოღება ... ინსპირირებული იყო გარკვეული შავი ძალების მიერ, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რომ ახალი ტიპის ადამიანის** Homo Sovieticus **შექმნისათვის ... ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დროის აღრევა იყო"**), სოციალური სიტუაციის პროექტირებას. მერე და რას ამკვიდრებს ეს აშკარად შიზოფრენიული ტექსტი? — როგორ უნდა განაწილდეს "შუქის გრაფიკი". მეტად დამახასიათებელი ადგილი: **"სასურველია, შუქი ყველა შემთხვევაში შეუწყდეთ საღამოს 23 სთ-დან ღამის 3-5 სთ-მდე. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობა იძულებული იქნება სწრაფად მიეჩვიოს ცხოვრების ახალ რიტმს"**. ასე, ბატონებო — თქვენ ჭერში იყურებით, ბუზებს ითვლით, ამასობაში კი **მიხეილ კვარაცხელიამ, ანზორ კვარაცხელიამ** და **გურამ გოგოხიამ** ჩვენს საერთო უბედურებას, ენერგეტიკულ კრიზისს, პედაგოგიური გამოყენება მოუძებნეს.

ამათ ხელში რომ ბიზანტიური იმპერიალიზმი და ამერიკული პრიმიტივიზმი მოხვდეს, კიდევ ვინ იცის, რა ჯოჯოხეთში ამოგვაყოფინებენ თავს. მე კი, ილია ჭავჭავაძის არ იყოს, ლიბერალიზმის ვირუსით ვარ მოწამლული, ამიტომაც სულ სხვა შეკითხვა მაწუხებს: რატომ უნდა იმსახუროს ჩემმა შვილმა იმ ქვეყნის ჯარში, რომელიც მე, გადახდისუნარიან (ამდენად მაინც!) ნოდარ ლადარიას, შუქს მხოლოდ დილა-საღამოს მაწვდის?

მაგრამ კვლავ ლამის მივიწყებულ ცერემონიას დავუბრუნდეთ. აქ სიტყვაც წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა, **მიხეილ სააკაშვილმა**. რევოლუცია არ უხსენებია (ალბათ სამღვდელოების გაღიზიანებას მოერიდა). მაგრამ მაინც ვერ ასცდა გაღიზიანება: საპატრიარქოში დღემდე ბუზღუნებენ, რომ რუსი პოლკოვნიკ-დეკანოზის გასაგონად უკრაინელ ხალხს მიმართა უკრაინულად. "24 საათი" პრეზიდენტის სიტყვას შემოკლებით გადმოგვცემს. შემოკლება მეტად თავისებურია: **"ეს ტაძარი ააშენა მთელმა საქართველომ. ათიათასობით ადამიანს შემოჰქონდა შემოწირულობა"**. აქ ორი რამ აკლია.

ერთი, რაც პრეზიდენტმა თქვა: მცირე იყო თითოეული შემოწირულობა, ზოგს ათი ლარი შემოჰქონდა და ზოგს თხუთმეტიო. საინტერესოა, თუ 14 ლარით პენსიის გაზრდა დიდ მიღწევად ითვლება, რატომ უნდა იყოს 15-ლარიანი შემოწირულობა მცირე? გაგვარკვიონ ბოლოს და ბოლოს — 15 ლარი ბევრია თუ ცოტა!

მეორე, რაც პრეზიდენტს არ უთქვამს: რატომ არავინ უხდის საჯაროდ მადლობას **ბიძინა ივანიშვილს**? რას გააწყობდა ქართველი ხალხი მისი მილიონების გარეშე, ესეც საკითხავია.

მე კი საბოლოოდ მინდა ავუგო წესი იბერკორექტულობას და კიდევ ერთი შეკითხვა დავსვა: ნუთუ 23 ნოემბერს, სუსხიანი და ქარიანი დილით გორიჯვარის წმ. გიორგის ეკლესიაზე ფეხით ასული ჰოლანდიელი ქალბატონი მართლა ასე თავგანწირულად სცემს პატივს გაუგებარი წარმოშობის ქართულ ტრადიციებს? ნუთუ ვინმე ჭკუათმყოფელი უსაყვედურებდა, რომ არ ასულიყო? ნუთუ ვინმე ჭკუათმყოფელი ამას დაიჯერებს?

ვიყოთ გულწრფელნი, ბატონებო!

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 მალხაზა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# ახლოს ლეგენდასთან

### ვარძიაზე ზრუნვა დაწყებულია


ვახო ბასილიას ფოტო


*ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ვარძიელ ბერებთან*

ვერა ნეფარიძე

*ვარძიის პირველადი სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან 2004 წლის ნოემბერში ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის სამთო-გაწმენდითი და წყალგადამყვანი ღარების აღდგენითი სამუშაოები დააფინანსა. კომპლექსის მისახედად ამ ტიპის სამუშაოები პერიოდულად უნდა გაგრძელდეს. ერთთვიანი პრაქტიკული შრომის შედეგად შემცირდა საშიშროება, რომელიც კომპლექსს კლდის შლადი ფენის გამო საფრთხეს უქმნის. გაზაფხულზე ვარძიაზე და სხვა ე.წ. კლდის ძეგლებზე თეორიული ზრუნვაა დაგეგმილი; საბოლოოდ კი, ვარძიისთვის კომპლექსური მუშაობის მიზანი ვარძია-ხერთვისის ისტორიულ-კულტურული ძეგლის აღორძინებაა. პირველ ეტაპზე გაწეული სამუშაოების მონიტორინგის მიზნით, გასული კვირის ბოლოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ჟურნალისტებთან ერთად ვარძიას ეწვია.*

## ლეგენდა ძველ დიდებაზე

გრანდიოზული არქიტექტურული და ისტორიული ძეგლი - ვარძიის გამოქვაბულების ანსამბლი ასპინძიდან 30 კილომეტრითაა დაშორებული და ზღვის დონიდან 1300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. დროთა განმავლობაში ვარძიამ დაკარგა (ერთ-ერთი მიზეზი მიწისძვრაც იყო) პირვანდელი იერი და დღეისათვის მისი ფასადები ძირითადად დანგრეულია. თუმცა, ჩამონგრეული გიგანტური ფასადი ძველი დიდების ლეგენდის საკმარისი, დღემდე შემორჩენილი ხელშესახები საფუძველია. კომპლექსი დაახლოებით 900 მეტრზეა გაჭიმული. მასში 600-ზე მეტი სათავსია: სატრაპეზოები, სენაკები, საკუჭნაოები, დამხმარე სათავსოები, 25 მარანი 185 ქვევრით. ვარძიის კომპლექსში 15 ეკლესიაა. მათგან მთავარია ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, სადაც შემორჩენილია კედლის შესანიშნავი მხატვრობა. დროსთან ერთად, იზრდება ამ ყველაფრის ფასი და მისდამი ინტერესიც. ალბათ ამიტომაც, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს განახლებისთანავე დაიწყო ზრუნვა, თუ როგორ უნდა იმართოს ჩვენს რეალობაში ვარძია, როგორც კულტურულ-ისტორიული ძეგლი.

## მასობრივიდან ზომიერამდე

ვარძია აღარ იქნება მასობრივი ტურიზმის ობიექტი ისე, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში იყო. ისტორიულ-კულტურულ ძეგლზე ახლებური ზრუნვაც ამაში გამოიხატება: მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსები თუ ლანდშაფტური გარემო; ძეგლის კულტურული და სულიერი მნიშვნელობა. როდესაც საუბარია ძეგლის გადარჩენა-პატრონობაზე, არ იგულისხმება, თითქოს მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე დაგეგმილია სასტუმროების უზარმაზარი კომპლექსის მშენებლობა. "ყველაფერი ზომიერად და სწორად უნდა დაიგეგმოს", - ასეთია ვარძია-ხერთვისის ძეგლისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა.

## მუდმივად საზრუნავი

ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი არაერთხელ ყოფილა განგაშის მიზეზი. თუმცა, განგაშს უკანასკნელი წლების განმავლობაში რეალური ნაბიჯები არ მოჰყოლია. უკანასკნელად ყველაზე დიდი ხმაური 1998 წელს ატყდა, როდესაც კლდიდან ჩამოცვენილი ქვების შედეგად კომპლექსის მცირე ნაწილი დაზიანდა. არც მანამდე (უფრო ზუსტად კი: 80-იანი წლებიდან) და არც მას შემდეგ ვარძიაში არ ჩატარებული სამთო-გაწმენდითი სამუშაოები, რაც მაქსიმალურად ამცირებს საფრთხეს. ერთჯერადი სახე ვარძიაზე ზრუნვას უკანასკნელად 1998 წელს ჰქონდა, როდესაც ჰოლანდიელთა ფულით (გრანტის სახით) დაზიანებული მონაკვეთი შეაკეთეს.

ვარძიის, ისევე როგორც ყველა კლდის ძეგლის განსაკუთრებული ზრუნვის თავისებურება იმაშია, რომ ასეთ ძეგლებს მუდმივი ყურადღება სჭირდება. რაც შეეხება ეროზიას, ეს მხოლოდ ვარძიისა და უფლისციხის კი არა, არამედ საერთაშორისო პრობლემაა. სწორედ ამიტომ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით გაზაფხულზე, თბილისში დაგეგმილია კოლოქვიუმი, სადაც საერთაშორისო ექსპერტებიც მიიღებენ მონაწილეობას. "გაზაფხულს ჩვენ გამოვიყენებთ თეორიული სამუშაოებისთვის", - გვპირდება მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი. რაც შეეხება პრაქტიკულ მხარეს, ის ვარძია-ხერთვისის ძეგლის შემთხვევაში საკმაოდ კომპლექსური და ეტაპობრივი იქნება.

## უმთავრესი

ვარძიაში პერიოდულად, წელიწადში ორჯერ რომ ჩაატარონ გაწმენდითი სამუშაოები, ძეგლს მაქსიმალური ყურადღებაც რომ მიექცეს, ზედმეტია საუბარი ტურიზმის განვითარებაში ვარძიის წვლილზე. ოცდამეერთე საუკუნეში არავინ ივლის მის სანახავად ისეთ გზაზე, როგორიც დღეს გვაქვს. ამ რეალობაში არც იმ სასტუმროს (ახლის აშენებაზე ალარაფერს ვამბობ) განახლებაზე შეიწუხებს თავს ვინმე. ამიტომაც, უმთავრეს პრობლემად სავალი გზის მოწესრიგება რჩება, რომელიც, როგორც ვიცით, არც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის, არც ცალკე ტურიზმის დეპარტამენტის მოვალეობა არ არის.

ვარძიაზე ზრუნვა, შეიძლება ითქვას, საწყის ეტაპზეა. "ცალკეულ ექსპერტებთან მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბდა გარკვეული მოსაზრებები, თუ როგორ უნდა იყოს ვმართოთ საბოლოოდ ვარძია-ხერთვისის ძეგლი. ჩვენ გვჭირდება საერთაშორისო კონსულტაციებიც", - ამბობს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, რომელიც ჯერჯერობით სამუშაოების პირველი ეტაპით კმაყოფილი არის.

## სარეაბილიტაციო სამუშაოები

პირველი ეტაპი კი დასრულდა. ამისთვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან დააფინანსა (20 ათასი ლარით) ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის სამთო-გაწმენდითი და წყალგადამყვანი ღარების აღდგენითი სამუშაოები. სამინისტროსთან ამ ეტაპზე თანამშრომლობდნენ: საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია, ახალციხის, ტაოკლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიასთან არსებული "გრიგოლ ხანძთელის საზოგადოება" და ახალციხის უნივერსიტეტის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტები.

დღეისათვის ვარძიას სერიოზული რეაბილიტაცია ესაჭიროება. ამ დროისათვის მთამსვლელთა ჯგუფმა მთავარი კომპლექსის თავზე მდებარე კლდე ფშვნადი ქანებისა და ქვებისაგან გაწმინდა; შეკეთდა სანიაღვრე წყლების გადამყვანი ღარებიც. შეიძლება, ეს მცირედია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ წლების განმავლობაში ესეც არ კეთდებოდა, მაშინ ცხადი გახდება გაწეული სამუშაოს მნიშვნელობა.

# პარიზი - თბილისი

თეონა ჭაფარიძე

გიორგი ბანძელაძის ფოტოებს ამ წუთისათვის მსოფლიოს ორ წერტილში - პარიზსა და თბილისში ნახულობს დამთვალიერებელი, იმიტომ რომ ფოტოები თბილისში "ძველ გალერეაში", ხოლო პარიზში - "კავკასიურ სახლში" გამოიფინა.

"კავკასიური სახლი" პარიზში ნოტრდამისა და მონპარნასის ქუჩის ახლოს მდებარეობს და მისი მასპინძლები რუსუდან და მერაბ მიქელაძეები არიან. "ძალიან რომანტიკული ადგილია თავად ფრანგებისათვის: - შენობაში ხელუხლებლადაა დატოვებული მე-17 საუკუნის კედელი. ერთი დარბაზი საგამოფენოა, მეორეში კი კაფეა ოღონდ ქართული აურით - ჩურჩხელებით, ბორჯომით, ქართული კერამიკითა და როიალთან ქართველი ემიგრანტით" - მიხსნის მხატვარი ქეთი მატაბელი - გიორგის დედა.

პარიზის "კავკასიურ სახლში" ქეთი მატაბელის, გია გუგუშვილისა და გიორგი ბანძელაძის ერთობლივი, ოჯახური გამოფენა ამ ორი კვირის წინ გაიხსნა და წლის ბოლომდე გაგრძელდება. რა თქმა უნდა, გამოიფინა ქართველი დამთვალიერებლისათვის კარგად ნაცნობი ქეთი მატაბელის კოლაჟები და წიგნები, გია გუგუშვილის ფერწერა და ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი გიორგის ფოტოები.

"პარიზში გამოფენა მსუბუქ მისტიკასაც უკავშირდება" - მიხსნის უკვე თბილისში დაბრუნებული ქეთი მატაბელი. "ჯერ იყო და პარიზამდე 10 დღით ადრე (როცა იქ გამგზავრებასა და გამოფენაზე საუბარიც არ იყო), ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმისათვის კოლაჟის გაკეთება შემომთავაზეს. მასალისათვის კი ასეთი ფოტოები მომიტანეს: - ელიჩკა როტონდას წინ, ელიჩკა ეიფელის კოშკთან, ლადო გუდიაშვილი და ელენე ახვლედიანი პარიზის ქუჩებში. ზუსტად 10 დღეში კი უკვე პარიზში ვიყავი საკუთარ გამოფენაზე."

ქალბატონი ქეთი, რომლის ნამუშევრებშიც, დამეთანხმებით, ყოველთვის იგრძნობა წარსულთან და საერთოდ დროსთან შეხების მისტიკა, პარიზულ ვოიაჟთან დაკავშირებით კიდევ ერთ მისტიკურ ნიუანსს იხსენებს: "თავის დროზე ლაშა თაბუკაშვილმა წიგნის - "თოვლივით თეთრი თოვლის" გაფორმება შემომთავაზა. თავდაპირველად მუშაობის დაწყება გამიჭირდა. მახსოვს სწორედ იმ მომენტში, როცა მივხვდი, რაც უნდა გამეკეთებია, ზუსტად ამ დროს მეზობელი ოახიდან, ტელევიზორიდან "ქეთოს და კოტეს" ხმები და მუსიკა გადმოიღვარა. ჩემს კოლაჟებში უამრავი სახის მასალას ვიყენებ და მათ შორის, ძველი ჟურნალების ყდების ნაკუწებს. ლაშას წიგნზე მუშაობისას კოლაჟებში ქაღალდის ეს ნარჩენიც გამოვიყენე" - მიამბობს მხატვარი და მაჩვენებს გაცრეცილი ფერადი ჟურნალის ყდის პატარა ნაგლეჯს წარწერით Raspail. "როდესაც ლაშამ დასრულებული ნამუშევარი ნახა, აღმოჩნდა, რომ Raspail პარიზის ერთ-ერთი ქუჩა ყოფილა, სადაც თავის დროზე საავადმყოფოში ბატონი რეზო თაბუკაშვილი იწვა. მოგვიანებით რუსუდან და მერაბ მიქელაძეებთან, სწორედ ლაშა თაბუკაშვილმა დაგვაკავშირა და პარიზში ჩვენი გამოფენაც გაიხსნა. რა თქმა უნდა, პარიზში ჩემს კოლაჟზე შემთხვევით მოხვედრილი ეს ადგილიც - Raspail-ც მოვინახულე", - მიხსნის მხატვარი.


*გიორგი ბანძელაძე უძველეს ფოტოკამერებთან ერთად*

რატომ იწვევს ქეთი მატაბელის კოლაჟები წარსულის ხელით შეხების შეგრძნებებს? ვიზუალურად სიძველის ეფექტის მიღების ტექნიკას მხატვარი ასაიდუმლოებს და მასზე ხმამაღლა არ საუბრობს. ხოლო წარსულთან კონტაქტს ის ბავშვობაში კახეთში დიდედას სკივრიდან მზის სინათლეზე ამოღებულ უძველეს ხატებს, საგვარეულო რელიქვიებსა და წინაპრებს უკავშირებს.

გიორგი ბანძელაძის ფოტოებიც კოლაჟის ტექნიკას შეიძლება შევადაროთ, ოღონდ ეს უფრო კინოსა და ფოტოს კოლაჟია. გიორგი ფოტოგამოსახულებას ნატურაზე სლაიდის პროექციის მინათებით იღებს. "კინოც იგივეა, ოღონდ მოძრავია" - მიხსნის ის. მისთვის ფოტო უფრო ექსპერიმენტია, კინორეჟისორობა კი პროფესია. "ძველ გალერეაში" მან თავის ექსპერიმენტულ ფოტოებთან ერთად იმავე კომპოზიციების ვიდეოვერსიაც აჩვენა. და კიდევ წარსულთან შეხების კიდევ ერთი ნიუანსი: - ეს უძველესი ფოტოაპარატების კოლექციაა. "ზოგი მშრალ ხიდზე შევიძინე და ზოგიც სად. უმეტესობა მე-2 მსოფლიო ომის დროინდელია. ზოგი მუშაობს და ჩემთვის მათზე მუშაობა ძალიან საინტერესოა" - მიხსნის გიორგი. "ძველ გალერეაში" ფოტოებისა და ვიდეოს გვერდით მისი ფოტოაპარატების კოლექციის ნახვაც შეგიძლიათ.

გამოფენები გრძელდება თბილისშიც და პარიზშიც.

# უძველესი და თანამედროვე საეკლესიო ხელოვნებაში

თბილისის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლის) საგამოფენო დარბაზები რელიგიურმა თემატიკამ დაიკავა. აქ წარმოდგენილია "საპატრიარქოს ხუროთმძღვრების ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრთან არსებული დაზგური და მონუმენტური მხატვრობის რესტავრაციის დეპარტამენტის მხატვარ-რესტავრატორთა მიერ შესრულებული სამუშაოების ამსახველი მასალა. დამთვალიერებელს შეუძლია უძველესი სვანური ხატებისა თუ ფრესკების რესტავრაციამდელი თუ რესტავრაციის შემდეგი პერიოდის ფოტომასალა იხილოს.

ბევრი შედევრი სულ ახალი აღმოჩენილია, მაგალითად, ლალაშის მაცხოვრის ფერიცვალების ეკლესიის მე-12 საუკუნის ფრესკების ქვეშ აღმოჩენილი კედლის მხატვრობის ქვედა ფენა მე-9 საუკუნით თარიღდება და მისი ფოტოგამოსახულება ქარვასლაში პირველადაა გამოფენილი. პირველადაა გამოფენილი უძველესი ხატი წმინდა გიორგისა და წმინდა თევდორეს გამოსახულებით, რომელიც ზემო სვანეთის სოფელ ლატალში რესტავრატორებს დამწვარი სახით უპოვიათ და შემდეგ აღუდგენიათ. ანანურის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან თორმეტ (და არა 13) ასურელ მამათა გამოსახულების მიხედვით კი დამთვალიერებელს შესაძლებლობა ეძლევა იკონოგრაფიის კანონებსა და განვითარებაზე გაამახვილოს ყურადღება.




ვახო ბასილიას ფოტო

დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბატონი მერაბ ბუჩუკური აღნიშნავს, რომ ამ გამოფენით ქართული სარესტავრაციო სკოლის მაღალ დონეზეც შეგვიძლია საუბარი.

ქარვასლის ერთი დარბაზი თანამედროვე საეკლესიო ხელოვნების ნიმუშებსა და საერთოდ ხელოვნების ამ დარგის განვითარების ახალ ეტაპს დაეთმო.

გამოფენა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და სახელმწიფოებრიობის 2000 წლის იუბილეს ეძღვნება.

# ჰოლივუდი აღლუმის გარეშე რჩება

ჰოლივუდის საშობაო აღლუმი ტრადიციაა, რომელიც გუშინ 73-ჯერ გააცოცხლეს ჰოლივუდის დიდების ბულვარზე. გააცოცხლეს, მაგრამ საკმაოდ ულიმღამოდ. თუ წინათ ამ ვარსკვლავურ მსვლელობაში ჯიმი სტიუარტი, ბობ ჰოუპი, მერი პიქფორდი და გრეგორი პეკი მონაწილეობდნენ, გუშინდელი დღის ყველაზე სასურველი გმირი ხელოვნური მასალისგან დამზადებული, უსულო პერსონაჟი - სფონჯბობ სქვეარფენთსი იყო იგივე სახელწოდების ფილმიდან, რომელიც წინა კვირის ბლოკბასტერების სიაში პირველ ადგილზე გავიდა.

თუმცა, იყვნენ სულიერი ვარსკვლავებიც, მათ შორის მეჯიკ ჯონსონი, მოკრივე ქალბატონი ლაილა ალი, და რეალიტი შოუს "საოცარი რალი 5-ის" გამარჯვებულები.

"წინათ აღლუმი ძალიან დიდი იყო. მილიონი მაყურებელი მაინც იკრიბებოდა ხოლმე, გამოდიოდნენ უდიდესი ვარსკვლავებიც. ახლა კი პასუხისმგებლობის გრძნობა აღარავის შერჩა. ეს სირცხვილია. ცნობილი ადამიანები დიდ შანსს უშვებენ ხელიდან" - აცხადებს აღლუმების ექსპერტი მარკ ლევინი.



რეალობა, მართლაც, ასეთი ულიმღამოა. წელს აღლუმის ორგანიზატორს, ჰოლივუდის სავაჭრო პალატას ისე გაუჭირდა, რომ დასახმარებლად ვარსკვლავების ცნობილ პაროდისტსა და დიდების ბულვარის ხანდაზმულ ხელმძღვანელს ჯონი გრანტს მიმართა.

თუმცა, სიტუაციის გამოსწორება ვერც ჰოლივუდის საპატიო მერმა, 81 წლის გრანტმა შეძლო - დაპატიჟებული მსახიობების უმრავლესობა დაკავებულები აღმოჩნდნენ: "მგონი, იმ მასშტაბის ვარსკვლავები დიდი ხანია, აღარ გვყავს, როგორებიც ჰოლივუდის ოქროს ხანის დროს იყვნენ. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. დღეს პატარა ბავშვები ვარსკვლავდებიან, დიდ ფულს აკეთებენ და ხან მაიამიში მიფრინავენ კერძო რეისით, ხან კიდევ სადაც მოუნდებათ, იქ თხილამურობენ", - დასძინა გრანტმა და გაიხსენა, რომ წინათ მსახიობებისთვის აღლუმში მონაწილეობა დიდი პატივი იყო: "ერთხელ არნოლდ შვარცნეგერმა მითხრა, რომ თავისი პირველი ღამე ტროტუარზე ჩამომჯდარმა გაატარა, ჰოლივუდის აღლუმს უყურებდა და თან ნატრობდა, ნეტა, ოდესმე თუ მოვხვდები აქო", - იხსენებს გრანტი.

პირველი აღლუმი ჰოლივუდში 1928 წელს ვაჭრებმა მოაწყვეს. ღონისძიებას სანტა კლაუს ლეინის აღლუმი ერქვა. საქმოსნები ვარაუდობდნენ, რომ ამ პომპეზური მსვლელობით ჰოლივუდის ბულვარზე საშობაო ბიზნესს გააჩაღებდნენ.

თავიდან ყველაფერი მარტივად იყო - ბორბლებიან მარხილში ორი ირემი იყო შებმული, ვარსკვლავი ჯანეტ ლოფი კი კოფოზე იჯდა. მას შემდეგ აღლუმი სულ იმართება. ჩავარდნა მხოლოდ 1930 წელს და მეორე მსოფლიო ომის დროს, სამი წლის განმავლობაში იყო.

პირველი კრიზისი ღონისძიებას 1978 წელს დაუდგა. მაგრამ სწორედ მაშინ გამოჩნდა გრანტი გასქელებული საფონდო ჯიბით, ზეიმს სახელიც შეუცვალა - მეტი პომპეზურობის მისანიჭებლად მას ჰოლივუდის საშობაო აღლუმი დაარქვა და მთელი ამერიკის ყურადღება ჰოლივუდისკენ მიმართა. მაგრამ საქმე კიდევ ერთხელ მაშინ გართულდა, როცა გრანტმა შოუს აღმასრულებელ პროდიუსერობას თავი დაანება. სპონსორებმაც უკან დაიხიეს და ტელევიზიებმა აღლუმის პირდაპირ ეთერში გაშვებაზე უარი თქვეს. 2002 წელს "ენ ბი სი"-მ შოუს ნაცვლად ეთერში ერთი კვირით ადრე ჩაწერილი სერიალი გაუშვა...

თუმცა, ხანდაზმულ პროდიუსერს ტრადიციის გაცოცხლების იმედი არ დაუკარგავს. ის ფიქრობს, რომ მთავარია, ვარსკვლავებმა გაიგონ - აღლუმი მათი უფასო რეკლამაა და შემდეგ ყველაფერი კარგად იქნება. მანამდე კი, სანამ ჰოლივუდელები გამოფხიზლდებოდნენ, უფასო რეკლამას უსულო პერსონაჟი სფონჯბობი გაიკეთებს. სხვათა შორის, ის ქართველ ბავშვებშიც ძალიან პოპულარულია.

# ბრიტანეთში ალბომებს ინტენსიურად ყიდულობენ

ბრიტანეთის ხმის ჩამწერ კომპანიებს ზეიმი უდგათ. 12 თვის განმავლობაში ალბომების გაყიდვის მაჩვენებლმა რეკორდულად დიდ ციფრს - 237 მილიონს მიაღწია. ასე თუ ისე, დარეგულირდა ინტერნეტით ლეგალურად ჩამოტვირთვის მომსახურებაც. 2004 წლის ივლისი-სექტემბრის პერიოდში დაახლოებით 1.75 მილიონი ჩანაწერი გაიყიდა ინტერნეტ რეჟიმში.



რაც შეეხება გასული 12 თვის ყველაზე გაყიდვად ალბომებს, ამ ნუსხას დაიდო ლიდერობს, თავისი მართლაც ჰიტი კომპაქტით - Life For Rent. შემდეგ მოდის უილ იანგის Friday's Child-ი. მესამეზეა - "ბლექ აიდ ფიზის" Elephunk-ი. მეოთხეზე კი - ქეთი მელუა თავისი, საქართველოშიც ძალიან პოპულარული ალბომით Call Off The Search-ით. საუკეთესო ხუთეულს ასრულებს მაიკლ ჯექსონი Number Ones-ით, მერეა REM-ი 1988-2003 წლებში შექმნილი ჰიტების კრებულით, ნორა ჯონსი თავისი მეორე ჩანაწერით Feels Like Home, ქინი - Hopes and Fears, "ბასთიდი" - A Present For Everyone და საუკეთესო ათეულის ბოლო ადგილზე, "რედ ჰოთ ჩილი პეპერსი" - საუკეთესო ჰიტების კრებულით.

ბრიტანელებს განსაკუთრებულად უხარიათ ის ფაქტი, რომ გაყიდვადი ალბომების ოცეულიდან 11 ალბომი ბრიტანული ლეიბლია, მათ შორის, "ბი ბი სი" საგანგებოდ გამოჰყოფს ქეთი მელუას, "სიზორს სისთერსა" და "დარქნესს".

ბოლო მონაცემებით 41 პროცენტით გაზრდილა ვიდეო ციფრული დისკების გაყიდვის მაჩვენებელიც. მათში ბესტსელერი "ოაზისის" Definitely Maybe-ის DVD გახლავთ.




შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

1 სახელი, გვარი და მამის სახელი
4 დაბადების თარიღი
7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი
2 მისამართი
5 სკოლა
8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა
3 საკონტაქტო ტელეფონის ნომრები
6 კლასი
9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 იანვრისთვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2, ვაჟა ფშაველას 45, 0177 თბილისი

ნესტან კვინიკაძის სვეტი

# სასიკვდილოდ დაჭრილი ქვეყნები



"ელამი, ნინევია, ბაბილონი - მშვენიერი და ბუნდოვანი სახელები იყვნენ. და ამ ძველ სამყაროთა ტოტალური ნგრევა ისევე ცოტას ნიშნავდა ჩვენთვის, როგორც თვით მათი არსებობის ფაქტი. მაგრამ საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი... ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს, ესენიც მარტოოდენ მშვენიერ სახელებად იქცნენ," ტრაგედიებთან გაშინაურებულებს ისლა დაგვრჩენია, ფრანგ პოეტს და მოაზროვნეს დავეთანხმოთ. 1983 წელს გამოცემული, პოლ ვალერის უნიკალური თარგმანისთვის კი, რევერანსი ბატონ ბაჩანა ბრეგვაძეს.

აზრის გაწყვეტას აბზაცით გავამართლებ და იმ მოვლენებს შევეხები, რამაც ბოლო დღეების მანძილზე ცისფერი ეკრანები ნარინჯისფრით შეცვალა.

მართმადიდებლურ ქვეყნებზე ინერციით თუ სრულიად გააზრებულად წამოსული რევოლუციების ტალღა, ამჯერად იმ ქვეყანას მოედო, კარგის მეტი რომ არაფერი გვახსოვს მისგან.

უკრაინის დედაქალაქმა, მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მოწყობილი აქციების შედეგად, საკმაოდ ალტერნატიული სახე მიიღო: აქა-იქ თოვლი, კარვები და უხვად დარიგებული სასმელი თუ თამბაქო. ოდნავ მოშორებით, სამედიცინო დახმარების პუნქტები, ნარინჯისფერი აქსესუარები და თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთივე ნაძვის ხე ქალაქის ცენტრში. ყოველდღიურად, ალბათ, ათასობით გოგო-ბიჭი პოულობს ერთმანეთს და მშვიდობიან საპროტესტო აქციებზე ახალი სასიყვარულო ისტორიები იწყება.

პოლიტიკური ანალიზი ჩემი საქმე არ არის, და ალბათ, ამიტომაც, გავა დრო, აღარც ნარინჯისფერი აღძრავს ჩემში უკრაინის შემდგარი თუ შეუმდგარი რევოლუციის ასოციაციას, მაგრამ სულ მეხსომება კადრი, რომელიც ერთ-ერთმა ტელეარხმა გადასცა: მშვიდობიანი აქციის მახლობლად, მილიციელთა რაზმი ჩამწკრივებულიყო, მათ თავზე ჩაჩქანები ეხურათ, ჩაჩქანის დამცავი, გამჭვირვალე, ნიღბიდან კი სახეები უჩანდათ. აქციის მონაწილე ახალგაზრდა გოგონა, ერთ-ერთის პირისპირ იდგა და ყმაწვილს ცხვირსახოცით სველ ნიღაბს უწმენდდა.

ეს ლირიკული ინტერმეცო, მხოლოდ ჩემი ემოციების საილუსტრაციოდ მოვიყვანე. ალბათ იმიტომ, რომ ამ უცხო ქვეყანას მაინც ემოციებით ვუკავშირდებით და სოლიდარობაც შესაბამისი მოგვეთხოვება. ასე იყო თუ ისე, "წვიმის მუსიკოსებად" წოდებული ქართველი მომღერლები სასწრაფოდ ეწვივნენ წვიმიან კიევს. ისინი მღეროდნენ იმედის მისაცემად და მხარში დგომის დასაფიქსირებლად. მღეროდნენ იმიტომ, რომ მსგავსი აქციები კარგად აქვთ დაცდილი.

უკრაინელებს ცრემლის მორევამდე ესიამოვნათ ასეთი ჟესტი "ვარდების რევოლუციაგამოვლილი" ქვეყნისაგან. ტელევიზიები 23 ნოემბრის კადრებს გადასცემდნენ და გულაჩუყებული ბებიები "ალბათ" შვილიშვილებს ასე აცნობდნენ საქართველოს: ეს ის ქვეყანაა, სადაც, "მაგალითად, დუელი, რომელმაც გაიარა ევროპა, შევიდა რუსეთში, იქ, საქართველოში ვერ დამკვიდრდა, რადგან კავკასიურ ბუნებაში ვერ ჩაჯდა ურთიერთობის ასეთი ცივილიზებული ფორმა."

უკრაინა საქართველოს ისე შესცქერის, როგორც გამოცდილ არტისტს აკვირდები ხოლმე, ბაძავ და...ნეტა, ამართლებს?! იმათი გადმოსახედიდან საქართველოს ჯოკონდას ენიგმური ღიმილი ატყვია, ძვირფასია რაღაც!

მაგრამ ჩვენ ხომ ჩვენი სასიკვდილოდ დაჭრილი ქვეყნის შესახებ უფრო მეტი ვიცით, ვიდრე ამას "უწესრიგოდ მოწესრიგებული სანახაობის" კიევში წარმოიდგენენ. ჯერჯერობით, ჩვენ გარდა არავინ იცის ის, რომ მარტო ქალაქ თესალონიკში 80 ათასი ქართველი თავისი ხელით ჭედავს საკუთარ ბედს. რომ რეალურად ჭეშმარიტი ხელოვნება, მხოლოდ ჩვენს ემიგრაციაში იქმნება და ამას, ამ ეტაპზე, ცოტა თუ ხვდება. ტელევიზიებში, პირდაპირი გაგებით, ამტყდარი ტენდენცია, - უცხოეთში მცხოვრები გაჭირვებული ქართველების შესახებ დამზადებული სიუჟეტები, ეს ხომ საზღვარგარეთ წასვლის სურვილის მოსპობის საუკეთესო საშუალებაა?! და კიდევ ვინ მოსთვლის.

ამ ეტაპზე, ალბათ, მაინც, ჯობია, რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში მყოფი მეორე ქვეყნისთვის მისაბაძი მაგალითის როლში ვიყოთ. ჩვენთან ვარდები, თქვენთან - "ნარინჯისფერი იმიჯები"; ჩვენი "წვიმის მუსიკოსები" იგივე თქვენი მუსიკოსები არიან! ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ორივეს, ერთმა ძალამ მოგვაყენა სასიკვდილო ჭრილობა.

უკრაინას უარესი დღეებიც ახსოვს. ერთ დროს მილიონობით წყდებოდნენ და მაინც გადარჩნენ. ყინვაში იყვნენ და მაინც შეინარჩუნეს კეთილგანწყობა.

ღმერთი მართლმადიდებლურ ქვეყნებს არჩევანის საშუალებას აძლევს. ნელ-ნელა უნდა დამშვიდდეს მოუწესრიგებელი ქაოსი, - ეს, როგორც წესი. თუმცა, იქამდე დიდი დროა, ჯერ ისევ ერთი მუჭა ფანატიკოსების ნამოქმედარად საღდება 11 სექტემბრის ტრაგედია. საით მივდივართ ნეტა?

ნათელმხილველები, ჯერ კიდევ წლების წინ ამბობდნენ, ამერიკას და რუსეთს ვეღარ ვხედავთო! მაგრამ, რატომღაც, არ ამბობდნენ, რას ვხედავთო.

პოლ ვალერი ჩემი საყვარელი ინტელექტუალია ევროპელებს შორის.

ფეხბურთი

# ლიდერების ტური

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-17 ტურმა ლიდერთა გამოკვეთილი უპირატესობით ჩაიარა. ოქროს მედლებისთვის მებრძოლმა სამივე მთავარმა პრეტენდენტმა, შედეგის მიხედვით მაინც, იოლი გამარჯვება მოიპოვა.

ტურში ორი ისეთი გამორჩეული თამაში იყო, როგორსაც ცენტრალურს უწოდებენ. მცხეთაში თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" ქუთაისის "ტორპედოს" უმასპინძლა. ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის უშეღავათოა. ამის დასტურია პირველ წრეში ქუთაისში გამართული მატჩიც, რომელიც იმდენად დაძაბული იყო, რომ მსაჯმა რამდენიმე წუთით შეწყვიტა კიდეც. მაშინ სტუმრებს ერთი ფეხბურთელი გაუძევეს მოედნიდან (ამ დროს ანგარიში იყო 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ). თუმცა, ვეტერინარებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და საჭირო ქულა წამოიღეს ქუთაისიდან.

გუშინწინდელი მატჩიც მძიმე ბრძოლაში წარიმართა. შეხვედრაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია სტუმართა ფორვარდის გიორგი მეგრელაძის სწრაფმა გოლმა, რომელიც მატჩის მე-2 წუთზე გავიდა. ამის შემდეგ ქუთაისელებმა კონტრშეტევებზე ააგეს თამაში. ტაქტიკამ გაამართლა: 25-ე წუთზე, ერთ-ერთი ასეთი კონტრიერიშისას, მეგრელაძემ კიდევ ერთი გოლი გაიტანა და გათამაშების ლიდერის უპირატესობა სოლიდური გახადა. თუმცა, ტაიმის მიწურულს ლაშა ნოზაძემ ერთი გოლი გაქვითა და მასპინძლები იმედმოცემულები გავიდნენ შესვენებაზე.

მატჩის მეორე ნახევარიც იგივე სცენარით წარიმართა. "ვიტ ჯორჯია" ბევრს უტევდა, ხოლო "ტორპედო", ძირითადად, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, თუმცა, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, მწვავე კონტრშეტევებით "იჩხვლიტებოდა". 85-ე წუთზე მეგრელაძემ მესამედ აიღო სტუმართა კარი. ბოლო წუთებში ნერვებმა უმტყუნა ვიტელთა ცენტრალურ მცველს, რომლის უხეშობა მსაჯს უყურადღებოდ არ დარჩენია. მასპინძლებმა ამ შეხვედრაშიც კაცნაკლულებმა დატოვეს მოედანი.




"თბილისისა" და "ლოკომოტივის" მატჩიც ანალოგიურად წარიმართა. "თბილისის" ახალ მწვრთნელს ლუის ცაკარიასს პირველად მოუხდა თავისი ყოფილი კლუბის, "ლოკომოტივის" წინააღმდეგ გუნდის გამოყვანა. პირველივე წუთებში გამოჩნდა, რომ ცაკარიასის ახალი გუნდი ძველსას ჯობდა. მე-9 წუთზე ხოჯავაფიფიას ორსვლიანი კომბინაცია გვრამაძის კარში ფიფიას გოლით დასრულდა. თუმცა, სტუმართა მიერ 36-ე წუთზე გათამაშებულმა დინამიკურმა კომბინაციამ, თანაც, ექსდინამოელთა მონაწილეობით, შედეგი გამოიღო: სიჭინავას მიერ შესრულებული გადაცემის შემდეგ ბობოხიძემ ბურთი დაუგორა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან მყოფ გოგობერიშვილს, რომლის დარტყმაც ზუსტი აღმოჩნდა - 1:1.

მატჩის მეორე ნახევარმა მასპინძელთა სრული სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით ჩაიარა. "თბილისმა" არაერთი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ გატანა მხოლოდ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების წყალობით მოახერხა. გვარამაძის კარში ორჯერ - 52-ე და 68-ე წუთებზე დაინიშნა პენალტი. ორჯერვე ოდიკაძემ ითავა დარტყმა. ორივე ზუსტი აღმოჩნდა. 3:1 - გაიმარჯვა "თბილისმა".

თბილისის "დინამომ" კი თავისი მატჩი გუშინ გამართა. 4 დღის წინ უეფას თასის გათამაშებაში საკუთარ მოედანზე ლისაბონის "სპორტინგისგან" დიდი ანგარიშით - 0:4 დამარცხებული "დინამო" გორში ადგილობრივ "დილას" დაუპირისპირდა. გეგუჩაძის გუნდმა "სპორტინგის" ჯავრიც "დილაზე" ამოიყარეს. მათ 4 გოლი გაუტანეს მასპინძლებს და საპასუხოდ მხოლოდ ერთი მიიღეს. აღსანიშნავია "დინამოს" თავდამსხმელის, ლევან მელქაძის კარგი თამაში. შეგახსენებთ, რომ მელქაძემ წინა ტურში "ლოკომოტივს" 4 გოლი გაუტანა. ის ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე იყო. მან "დილასთან" "დუბლით" გამოიჩინა თავი.

**მე-17 ტური**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია - ტორპედო | 1:3 |
| თბილისი - ლოკომოტივი | 3:1 |
| სიონი - ზესტაფონი | 2:1 |
| დინამო (ბთ) - კოლხეთი | 0:0 |
| დილა - დინამო (თბ) | 1:4 |

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო | 17 | 11 | 5 | 1 | 30-9 | 38 |
| 2. დინამო | 17 | 11 | 3 | 3 | 39-19 | 36 |
| 3. თბილისი | 17 | 10 | 3 | 4 | 36-20 | 33 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 17 | 8 | 4 | 5 | 29-22 | 28 |
| 5. ლოკომოტივი | 17 | 6 | 7 | 4 | 23-16 | 25 |
| 6. დინამო (ბთ) | 17 | 6 | 5 | 6 | 22-15 | 23 |
| 7. ზესტაფონი | 17 | 5 | 1 | 11 | 13-35 | 16 |
| 8. კოლხეთი | 17 | 4 | 4 | 9 | 14-24 | 16 |
| 9. სიონი | 17 | 4 | 2 | 11 | 15-38 | 14 |
| 10. დილა | 17 | 2 | 2 | 13 | 12-35 | 8 |

# "იუვენტუსის" ექიმს განაჩენი გამოუტანეს

ნინო ტიკარაძე

*რამდენიმე დღის წინათ ტურინის სასამართლომ წერტილი დაუსვა 1998 წლიდან "იუვენტუსის" ექიმის რიკარდო აგრიკოლას ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს და იგი დამნაშავე ცნო 1994-1998 წლებში კლუბის ფეხბურთელებისთვის აკრძალული პრეპარატების მიწოდებისთვის. იმავე დანაშაულში ბრალდებულს, კლუბის აღმასრულებელ დირექტორს ანტონიო ჯირადოს კი ბრალდება მოუხსნეს და სასამართლოდან გაათავისუფლეს.*

"იუვენტუსის" ექიმის რიკარდო აგრიკოლას საქმეზე მას შემდეგ დაიწყო გამოძიება, რაც 1998 წელს "რომას" მაშინდელმა მწვრთნელმა ზდენეკ ზემანმა ჟურნალ "L'Espresso"-სთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ იტალიური ფეხბურთი "წამლებისგან უნდა გათავისუფლდეს", თან თითი "იუვენტუსისკენ" გაიშვირა. ბუნებრივია, ასეთ მწვავე განცხადებას შესაბამისი რეაქციაც მოჰყვება. მოკლედ, სკანდალი აგორდა და ეს წარმატებული იტალიური კლუბი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ამდენი ხნის შემდეგ, 2004 წელს ტურინის სასამართლომ საბოლოო განაჩენიც გამოიტანა, კლუბის ექიმი რიკარდო აგრიკოლა დამნაშავედ ცნო და მას 22 თვით პატიმრობა მიუსაჯა, თან, 2000 ევროს გადახდაც დააკისრა. ადვოკატებმა მოსამართლის გადაწყვეტილება უსამართლოდ მიიჩნიეს. ერთ-ერთის თქმით, "არ არსებობს იმის სამხილი, რომ ექიმი ფეხბურთელებს აკრძალულ პრეპარატებს აძლევდა".

დადანაშაულების მიუხედავად, აგრიკოლას ციხეში ყოფნა მაინც არ მოუწევს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ დამნაშავე ექიმს ორ წელზე ნაკლები მისცეს. ამას გარდა, მისთვის ეს დანაშაული პირველია. მოკლედ, აგრიკოლა ციხეს გადაურჩა, მაგრამ სასჯელის ვადის გასვლამდე მას ექიმობისთვის თავის დანებება მოუწევს.

პროკურორის მოთხოვნის მიუხედავად, კლუბის აღმასრულებელი დირექტორი ანტონიო ჯირადო უდანაშაულოდ ცნეს. "ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კლუბის უდანაშაულობა აღიარეს. მართლაც, ჩვენ კანონგარეშე არაფერი ჩაგვიდენია," - განაცხადა კლუბის დირექტორმა.



*ანტონიო ჭირადო და რიკარდო აგრიკოლა (მარჯვნივ) ტურინის სასამართლოში.*

წლის საუკეთესო ფეხბურთელად სამგზის აღიარებული ზინედინ ზიდანი, "ჩელსის" ყოფილი მწვრთნელი და ამჟამად ცნობილი ტელეწამყვანი ჯანლუკა ვიალი, ევროპული ფეხბურთის წლის ყოფილი საუკეთესო ფეხბურთელი რობერტო ბაჯო "იუვენტუსის" ის ყოფილი ფეხბურთელები იყვნენ, რომლებიც მოწმედ გამოვიდნენ 2002 წლის სექტემბერში დაწყებულ ამ საკმაოდ სკანდალურ სასამართლო პროცესზე.

რაც შეეხება იტალიის ფეხბურთის ასოციაციას (FIGC), იგი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმამდე მოსამართლის ვერდიქტის საჯაროდ გამოქვეყნებას დაელოდება, რაც სავარაუდოდ, მომავალ კვირას მოხდება.

მთელი ამ ხნის განმავლობაში "იუვენტუსი" კატეგორიულად აცხადებდა, რომ მას უკანონო საქციელი არასდროს ჩაუდენია. "წარმოუდგენელი არაფერია იმაში, რომ "იუვენტუსის" ხელმძღვანელობამ არფერი იცოდა აგრიკოლას საქმიანობის შესახებ," - აღნიშნა ერთ-ერთმა იტალიელმა პოლიტიკოსმა.

მოკლედ, "იუვენტუსის" ხელმძღვანელობამ ან, მართლაც, არაფერი იცოდა ექიმს უკანანო ქმედებების შესახებ, ან, თავის გადარჩენის მიზნით, მთელი პასუხისმგებლობა მთლიანად ექიმს დააკისრა და ამით წყლიდან მშრალი ამოვიდა.

# ნუ ჩამოწერთ კრესპოს!

არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო უაღრესად ბედნიერია იმით, რომ მისმა "მილანმა" ოთხშაბათს დონეცკის "შახტარი" ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში - 4:0 დაამარცხა. მატჩის წინ იტალიის ჩემპიონს დიდი პრობლემა შეექმნა. ტრავმის გამო ვერ ითამაშეს ანდრეი შევჩენკომ, იონ დალ ტომასონმა და ფილიპო ინძაგიმ. კარლო ანჩელოტის ისღა დარჩენოდა, შეტევაში გაემწესებინა მარტოხელა ერნან კრესპო, რომელმაც მასზე დაკისრებულ მოვალეობას შესანიშნავად გაართვა თავი და დუბლი გაიფორმა.

კრესპო "მილანში" იჯარის წესით ლონდონის "ჩელსიდან" გადავიდა. თუმცა, ტრავმებმა მას ჯეროვნად თავის გამოჩენის საშუალება არ მისცეს. გასულ უქმეებზე 29 წლის არგენტინელმა "მილანის" შემადგენლობაში პირველად გამოიჩინა თავი და იტალიის თასზე "პალერმოს" კარში გოლი გაიტანა.

"მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ კრესპოზე თავის დროზე, ჯერ კიდევ "პარმაში" მუშაობის დროს გააკეთა აქცენტი. "როცა კრესპოსთან კონტრაქტს ხელს ვაწერდით, ეს არ იყო, უბრალოდ, ტრანსფერი ტრანსფერის გამო. ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით არგენტინელის შესაძლებლობები და დარწმუნებული ვიყავით, რომ ის შესანიშნავი ფორვარდია, - განაცხადა მწვრთნელმა სათასო მატჩის შემდეგ, - ზოგიერთ ფორვარდს, უბრალოდ, გოლის გატანა სჭირდება იმისთვის, რომ წარუმატებელი სერია შეწყვიტოს. იმედი მაქვს, კრესპო თავის რეპუტაციას მომდევნო მატჩებშიც დაამტკიცებს".

არგენტინელმა მწვრთნელს იმედი არ გაუცრუა. ამ სიტყვებიდან სამი დღის შემდეგ მან დონეცკის "შახტარის" კარში ორი გოლი გაიტანა. სულ ერთი წუთი იყო გასული მას შემდეგ, რაც "მილანი" უკრაინელებთან მატჩში დაწინაურდა. გოლი ბრაზილიელმა კაკამ გაიტანა. კრესპომ მიიღო რუი კოშტას გამჭოლი გადაცემა, მოატყუა "შახტარის" მეკარე იან




ლაშტუვკა და ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა. მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი არგენტინელმა ზუსტად ითამაშა დასწრებაზე. კლარენს ზეედორფის თავური უკრაინელთა მცველს მოხვდა და კრესპომ ზუსტი დარტყმით მეორედ აიღო მეტოქის კარი.

"მე ყოველთვის ვამბობდი, რომ "მილანში" ჩემი ნამდვილი კარიერა მას შემდეგ დაიწყება, რაც გულშემატკივრების თვალწინ გოლს გავიტან, - აღნიშნა კრესპომ, - მე ამ მომენტს მოუთმენლად ველოდი. ხანგრძლივი წარუმატებლობის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, "სან-სიროზე" ტიფოზების აღტაცებული შეძახილები მოვისმინე. ისინი ჩემს მიმართ მომთმენნი იყვნენ. ეს მოთმინება მათ ორი გოლით გადავუხადე".

კრესპომ თავის დროზე ითამაშა არგენტინის "რივერ პლეიტში", "ლაციოში", "ინტერში", "პარმაში", ხოლო ყველაზე რთული პერიოდი ფეხბურთელს ლონდონის "ჩელსიში" ჰქონდა. თუმცა, არგენტინელის თქმით, ახლა ყველაფერი თავის კალაპოტში დგება. "განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირველი გოლი იყო. რუი კოშტამ შესანიშნავი გადაცემა გამიკეთა, - ხარობდა კრესპო, - მაგრამ მე მეორე გოლის შემდეგაც ბედნიერი ვიყავი. ისღა დამრჩენოდა, რამდენიმე მეტრიდან კარში გამეგზავნა ბურთი. გოლის გატანის ასეთი იოლი შესაძლებლობა იმის მაუწყებელია, რომ ფორტუნა ისევ ჩემკენ შემობრუნდა".

"ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, - განაგრძობს კრესპო, - თუმცა, მაშინაც კი, როცა ყველაფერი ცუდად ამეწყო, დეპრესიაში არ ჩავვარდნილვარ. ახლაც ზუსტად ასეა. მე არ ვაპირებ, ამ ორი გოლის გამო დაფნის გვირგვინი დავიდგა. იმედი მაქვს, ეს მხოლოდ დასაწყისია".

დუბლის გარდა, "შახტართან" მატჩში კრესპომ შესანიშნავი დარტყმა განახორციელა მაკრატელათი და "მილანის" გულშემატკივრებს გაახსენა ლეგენდარული მარკო ვან ბასტენი, რომელმაც 1992 წელს ჩემპიონთა თასზე შვედეთის "გეტებორგს" "სან-სიროზე" ანალოგიური გოლი გაუტანა. თუმცა, ამჯერად შედევრი განმეორებისთვის განწირული აღმოჩნდა. ბურთს მეკარე გადაეღობა. "ეს ფანტასტიკური გოლი იქნებოდა, მაგრამ მეკარემ ყველაფერი ჩაშალა", - სევდიანად გაიხსენა კრესპომ.

ერნან კრესპოს ბევრი "ვალდანიტოსაც" ეძახის იმის გამო, რომ არგენტინელ ფეხბურთელს მადრიდის "რეალისა" და არგენტინის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს ხორხე ვალდანოს ამსგავსებენ. ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ვალდანოს ხუთი სხვადასხვა გუნდისთვის გაუტანია გოლები. ესენია: "პარმა", "ლაციო", "ინტერი", "ჩელსი" და "მილანი". თუ კრესპო ისევე გააგრძელებს თამაშს, როგორც ახლა თამაშობს, მას შანსი აქვს, სეზონის ბოლოს, პირველად თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში, მოიგოს ევროპული კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო.



რაგბი

# სამხრეთმა ევროპა მოილია

## რუმინეთი კი ერთა თასის გათამაშებაში მოგებით ჩაერთო

პაატა თოთაძე

ევროპაში მყოფმა სამხრეთულმა გუნდებმა შაბათ-კვირას ბოლო მატჩები გამართეს. ავსტრალიამ ინგლისი დაამარცხა 21:19, ირლანდიამ არგენტინას სძლია იმავე ანგარიშით, უელსმა იაპონიას გადაურბინა 98:0, ახალმა ზელანდიამ კი საფრანგეთს მოუგო 45:6.

პირველად უელსმა და იაპონიამ ითამაშეს. უელსელთა გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ასეთ ანგარიშს ნამდვილად არ ელოდნენ - იაპონიაში რაგბი არც ისე დაბალ დონეზეა.

ინგლისმა კი, შეიძლება ითქვას, ძალით წააგო ავსტრალიასთან. მასპინძლები ბურთს უფრო დიდხანს ფლობდნენ, ეს კი რაგბიში პატარა უპირატესობაა არაა. ლელოც მეტი გაიტანეს და ჯარიმაც მეტი ურტყეს, მაგრამ... ბოლო დღეებში იმდენი აქეს ინგლისელთა ახალი 10 ნომერი ჰოჯსონი, რომ ნახევარმცველმა ვერც ერთი საჯარიმო ვერ გაიტანა. მას გომერსალმაც აუბა მხარი. საერთო ჯამში ინგლისმა ამ ორის "წყალობით" 9 ქულა ვერ მიითვალა. ამის გამო ჩამორჩენამ ანგარიშში 12 ქულას მიაღწია. მართალია, მეორე ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა ანგარიშზეც აისახა, მაგრამ საჯარიმოთი წინ გასულმა ავსტრალიამ ორქულიანი უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა და ამ გუნდებს შორის გასათამაშებელი კუკის თასიც წაიღო.

ახალმა ზელანდიამ "სტად დე ფრანსზე" შავი დღე აყარა საფრანგეთის ნაკრებს. ავსტრალიის დამარცხების შემდეგ "ლურჯებ-ის" თავკაცმა საქვეყნოდ განაცხადა: საფრანგეთის ნაკრები ის აღარაა, რაც იყო. ის ახლა მსოფლიოში საუკეთესო გუნდიაო. საუკეთესოს ვინ ჩივის, საფრანგეთის ნაკრები გუშინწინ ძველ გუნდსაც არ ჰგავდა. ბერნ ლაპორტმა, წინა მატჩისგან განსხვავებით, რამდენიმე ცვლილება განახორციელა, მაგრამ ამან უარესი შედეგი გამოიღო. ზელანდიელებს შეტევაში აგრესიულობა არასოდეს აკლათ, მაგრამ შაბათს ამითაც გამოირჩნენ. დაცვაში ხომ საერთოდ "გადაუარეს" მასპინძლებს. საერთოდაც, ყველაფერში აჯობეს ფრანგებს და შედეგიც ამიტომ მიიღეს ასეთი. მიშალაკის ორ საჯარიმოს, რომელიც, სხვათა შორის, 9 ნომრით თამაშობდა, სტუმრებმა ხუთი ლელოთი უპასუხეს. დანიელ კარტერიც არაჩვეულებრივი დამრტყმელია - მხოლოდ ერთხელ გაარტყა ძელს.



საფრანგეთი - ახალი ზელანდია: ზელანდიელი ბაირონ კელერის ლელო.

დიდი ბრძოლა გაიმართა ირლანდიასა და არგენტინას შორის. მათი ბრძოლა მუდამ გამორჩეულია და გამონაკლისი არც შაბათის მატჩი იყო. ყველაფერი ირლანდიელთა ათი ნომრის, რონან ოგარას ზუსტმა დარტყმებმა გადაწყვიტა. ირლანდიელმა ხუთი საჯარიმო გაიტანა, რასაც ორი არეკნიც მიაყოლა, ანუ უკლებლივ ყველა ქულა მან მოუტანა გუნდს.

და კიდევ. შაბათს ევროპის ერთა თასის პირველი ტურის დარჩენილი შეხვედრა გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, რუმინეთის ნაკრებმა პრაღაში ჩეხეთის ნაკრებს სძლია - 38:14. სტუმრებმა ექვსი ლელო გაიტანეს, რომელთაგან ოთხი გარდასახეს. პირველი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პორტუგალია** | 1 | 1 | 0 | 0 | 36:6 | 3 |
| **რუმინეთი** | 1 | 1 | 0 | 0 | 38:14 | 3 |
| **საქართველო** | 1 | 1 | 0 | 0 | 27:15 | 3 |
| **რუსეთი** | 1 | 0 | 0 | 1 | 15:27 | 0 |
| **ჩეხეთი** | 1 | 0 | 0 | 1 | 14:38 | 0 |
| **უკრაინა** | 1 | 0 | 0 | 1 | 6:36 | 0 |

წყალბურთი

# წყალბურთელთა ქარიშხალი "ქარიშხალაში"

გიგა გურასაშვილი

საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებზე არაერთხელ დაგვიწერია, მაგრამ ყოველთვის საერთაშორისო სარბიელზე მიღწეულ წარმატებებზე - რუსეთის ჩემპიონატები იქნებოდა ეს, უკრაინისა თუ კიდევ სხვა. მათ შორის, ევროპის ჩემპიონატებზე, რომელში ასპარეზობის უფლებაც ოთხჯერ მოუპოვებიათ, მაგრამ არასდროს არაფერი გვითქვამს შიდა ჩემპიონატებზე. თუმცა, კარგა ხანია, საქართველოში ეს ცნება დავიწყებას მიეცა. ერთი სიტყვით, ჩვენში შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ჩემპიონატები არ არსებობს.

გუშინ სპორტკომპლექს "ქარიშხალას" აუზში დასრულდა საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული მწვრთნელების ვლადიმერ ბარნაბიშვილის, როსტომ ჩაჩავასა და ნოდარ გვახარიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია პირველობა 1989-1990 წლებში დაბადებულ ბავშვთათვის.

ტურნირზე ექვსი კლუბი გამოდიოდა: "დელფინი", "შევარდენი", "მართვე", "წყალთა სახეობათა სპორტული სკოლა", "სპექტრი" და "სიხარული". ტურნირი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ნაკრების ხელმძღვანელობამ რამდენიმე ყმაწვილი საქმეში ნახა და სანაკრებოდაც შეიგულა.

თბილისის ღია პირველობა მოიგო "სიხარულმა". მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს "დელფინმა" და "შევარდენმა". დანარჩენი ადგილები კი ასე განაწილდა: "მართვე", "წყალთა სახეობათა სპორტული სკოლა" და "სპექტრი".

დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ ორგანიზატორთა ოთახში შევიხედე. მათ კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი იმას, თუ რა მდგომარეობაშია დღეს საწყლოსნო სახეობათა ინფრასტრუქტურა. საუბარი, ძირითადად, წყალბურთს შეეხებოდა. საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი უდესიანმა კი, რომელსაც არჩევნებისას საკუთარი პროგრამის უმთავრეს საკითხად დაყენებული ჰქონდა საწყლოსნო სახეობათა ოთხივე წარმომადგენლის - სინქრონულად მოცურავეთათვის, წყალბურთელთათვის, მოცურავეთათვის და წყალში მხტომელებისთვის ერთიანი სანაკრებო ბაზის შექმნა, ახლაც გაიმეორა, რომ ყველაფერს ილონამგვარი ბაზის შესაქმნელად ებს. თუმცა, დასძინა, საკითხის მოსაგვარებლად სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის გარეშე არაფერი გამოვა. ამიტომ მის ყურამდეც მივიტანთ შესაბამისი ინფრასტრუქტურის აუცილებლობის საკითხსო.



ვახო ბესელიას ფოტო

შესაძლოა, "სიხარულიდან" რამდენიმემ დიდი წყალბურთი ითამაშოს.

წყალბურთის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუზის პარამეტრები: სიღრმე (არანაკლებ 1.80მ.) სიგანე (20მ.), სიგრძე (30მ.) სტანდარტებს უნდა ექვემდებარებოდეს. ამისთვის აუცილებელია ოლიმპიური აუზი (50მ.). სწორედ ასეთია საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის (ფინა) მოთხოვნაც. თუმცა, იგივე ფინა შემდეგსაც ამბობს: სასურველია, სიღრმე ორი მეტრი იყოსო. ჩვენში კი ამ პარამეტრებს მხოლოდ "ლაგუნა ვერე" და ვაკის (ზამთრის) საცურაო აუზები აკმაყოფილებენ.

უდესიანმა თქვა: ბაზის აუცილებლობა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ოთხივე სახეობის წარმომადგენლები ერთად იქნებიან და არა გაფანტულად, როგორც აქამდეო.

ერთი სიტყვით, თბილისის ღია პირველობის ორგანიზატორებს სურთ, ტურნირი ტრადიციული გახდეს და უახლოეს მომავალში საერთაშორისოს სტატუსიც მიიღოს.

ფეხბურთი

# საჩუქრები "ბაიერნისთვის"

მას შემდეგ, რაც მიუნხენის "ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგა მოიგო, სამი წელი გავიდა. წლეულს გუნდი მზად არის, სამი წლის წინანდელი წარმატება გაიმეოროს. ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მატჩში "ბაიერნმა" დაამარცხა ტელ-ავივის "მაკაბი" - 5:1, ვადამდე გაინაღდა მომდევნო ეტაპის საგზური და ჯგუფში ტურინის "იუვენტუსის" შემდეგ მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

ახლა მიუნხენელი გულშემატკივარი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი კვლავ გახდება პირველი ნომერი ევროპის კონტინენტზე. "ბოლო ორი წელი ჩვენ შესაძლებლობებზე ბევრად უფრო დაბალი დონის თამაშს ვაჩვენებდით, თუმცა, ამ პერიოდში შეიქმნა ახალი გუნდი, რომელიც ძალიან გაძლიერდა, - განაცხადა ოლივერ კანმა, - ამჟამად მზად ვართ, საერთაშორისო ასპარეზზე უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ".

მეტიც, 35 წლის ვეტერანს შეუძლია, წარმატების მიზეზებიც ახსნას. "თავიდან არცთუ ისე ადვილი იყო ახალი მწვრთნელის ფელიქს მაგათის მოთხოვნილებების აღქმა, - განმარტავს კანი, - ის ითხოვდა, უფრო სწრაფად შეგვეტია და ინიციატივა მოგვეპოვებინა. ჩვენ დრო დაგვჭირდა იმისთვის, რომ თამაშის ამგვარ მანერას მოვრგებოდით. თუმცა, ამჟამად ეს ტაქტიკა მუშაობს".

"ბაიერნი" სათავეში უდგას გერმანიის ჩემპიონატს, თუმცა, კლუბის გენერალური მენეჯერის ული ჰიონესის ამბიცია უფრო შორსმჭვრეტელურია. "ქვეყნის პირველობაზე ლიდერის პოზიციაზე დავმკვიდრდით, - ამბობს ჰიონესი, - თუმცა, მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის შემდგომ ეტაპზე გამოჩნდება, ღირსი ვართ თუ არა, კვლავ მოვირგოთ ევროპის საფეხბურთო გვირგვინი".

საკუთარ "ოლიმპიაშტადიონზე" "ბაიერნმა" გაანადგურა ამსტერდამის "აიაქსი" - 4:0, რითაც დაამტკიცა, რომ მას შეუძლია ევროპულ არენაზე დომინანტის როლი შეასრულოს. პლეი-ოფში გუნდს, ბოლოს და ბოლოს, შეუერთდება მეჰმედ შოლიც, რომელიც ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელდა.




34 წლის ნახევარმცველი "მაკაბისთან" შეხვედრაში შესანიშნავად მოქმედებდა. იმ მატჩში შოლი შეცვლაზე შევიდა. "მან მონაწილეობა მიიღო ყველა გოლში, რომელიც მინდორზე მისი გასვლის შემდეგ გავიტანეთ, - ის, უბრალოდ, არაჩვეულებრივად თამაშობდა", - აღფრთოვანებით ამბობს ფრანც ბეკენბაუერი. "ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა დონის თამაში შეუძლია მეჰმედ შოლს, - აღნიშნავს მიხაელ ბალაკი, - მთავარია, ის ჯანმრთელად იყოს".

ჰოლანდიელმა ფორვარდმა როი მაკაიმ ებრაელებთან მატჩში დუბლი გაიფორმა და უაღრესად მოხარული იყო, რომ გუნდი ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მომდევნო ეტაპზე გავიდა. "შესანიშნავია, რომ 2004 წელს აღარ მოგვიწევს იმაზე ფიქრი, თუ როგორ გავიდეთ ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე, - განაცხადა ფორვარდმა, რომელიც სამშობლოში დაბრუნდება, როდესაც მიუნხენის "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის მეექვსე ტურში ამსტერდამში ესტუმრება "აიაქსს", - კარგია სამშობლოში დაბრუნება, როცა ფსიქოლოგიურ წნეხს არ განიცდი".

და მაინც, "ბაიერნს" ნერვიულობა მოუწევს, როცა 17 დეკემბერს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის კენჭისყრა გაიმართება. მან ტურინის "იუვენტუსთან" ზედიზედ ორი მატჩი წააგო. მიუნხენელებს კარგად მოეხსენებათ, თუ რაოდენ მკაცრი შეიძლება აღმოჩნდეს ბრმა კენჭისყრა. "ჩვენ გრანდთან შესახვედრად უნდა მოვემზადოთ", - ამბობს ბალაკი, რომელმაც კარგად იცის, რომ სწორედ გრანდებთან შეხვედრებში შეექმნა ყველაზე დიდი პრობლემები მიუნხენურ კლუბს.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ თუ გუნდს სურს, უმაღლეს მწვერვალზე ავიდეს, ადრე თუ გვიან, მას სწორედ გრანდებთან მოუწევს ჭიდილი. "ბაიერნის" ბანაკში მიაჩნიათ, რომ გუნდს შეუძლია, ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეს. "ამ წლის ერთადერთ მიზნად ბუნდესლიგის სამ ტურში გამარჯვება რჩება, - განაცხადა ჰიონესმა, - თუ ამას შევძლებთ, უკეთეს საშობაო საჩუქარს ვერც ვინატრებ".

TV-სპორტი

**ორშაბათი. 29 ნოემბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**
07:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
08:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 იტალიის ჩემპიონატი. "ინტერი" - "იუვენტუსი"
14:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პალმეირასი" - "ფლამენგო"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" - "ლევანტე"
18:00 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
18:25 "FUTBOL MUNDIAL"
18:55 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" - "მეტალისტი"
20:40 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:25 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:25 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:25 პორტუგალიის ჩემპიონატი. "სეტუბალი" - "პორტუ". პირდაპირი ტრანსლაცია
01:20 უკრაინის ჩემპიონატი. "ვოლინი" - "შახტიორი"
03:00 NBA TV. "ORLANDO MAGIC" - "BOSTON CELTICS". პირდაპირი ტრანსლაცია
05:30 NBA TV - დღიური

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:00 პრესცენტრი
10:20, 21:00 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "ATLANTA FALCONS" - "NEW ORLEANS SAINTS"
13:35 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი
14:05 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. გადამწყვეტი მატჩი
16:15 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი კანადაში. ვაჟები. სუპერგიგანტი
17:15 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
17:45 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "SEATTLE SUPERSONICS" - "INDIANA PACERS". შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ერიკ მორალესი - მარკო ანტონიო ბარერა
23:10 "ჰოკეი-პლუს"
23:25 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი კანადაში. ვაჟები. სუპერგიგანტი
00:25 ახალი ამბები
00:40 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
01:10 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი

**EUROSPORT**
10:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ფინეთში
13:00 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში
15:00 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში
17:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. ფინალი
19:30 ფეხბურთი - ევროგოლები
20:30 მულტისპორტი
21:00 სუმო. ტურნირი (ბაშო) იაპონიაში
22:00 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
00:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
01:30 ფეხბურთი - ევროგოლები
02:30 ახალი ამბები
02:45 სუპერმოტო. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
03:15 ახალი ამბები

# ყოჩაღი კაჭკაჭი, პოლიგლოტი მალხაზა



ამინდმა არ გაამართლა. ძლიერ ქარს დროდადრო საიდანღაც მოჰქონდა ცივი წვიმის წვეთები. მეგობრის სახლში გამოძინებული მალხაზა ტელევიზორით ერთობა. გუშინაც კარგა დიდხანს მისჩერებოდა "რუსთავი 2"-ის, "იმედის", პირველი არხის", "მზის", "202"-ის და კიდევ ორი სამი ქართული ტელეკომპანიის პროგრამებს. ორიოდ კლიპი მართლა მოეწონა. განსაკუთრებით ის, სადაც ჩვენი სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებაა, სადაც ძლევამოსილად, ტალღისებურად, მხნედ მიდიან ჩვენი ჯარისკაცები, სრული ეკიპირებით. დანარჩენზე რა გითხრათ...

- არ დაიღალე ამდენი ტელევიზორის ყურებით? - უთხრა მალხაზას საძინებელში შემოსულმა ოლმურმა. პირსახოცით სახეს იმშრალებდა. მარჯვენა მხარზე აფხაზეთის ომისდროინდელი ღრმა ნაჭრილობევი ემჩნეოდა. მალხაზამ ჭრილობაზე მიუთითა:

- ეგ ოჩამჩირეში იყო, არა?

- არა, ეს სოხუმში რომ შევედით. ოჩამჩირის ჭრილობა მარჯვენა ფეხზე მაქვს.

- ჰმ, მაგათი დედა ვატირე! ხო, ტელევიზორის ყურება კარგი გასართობია... რას დამგვანებია ეს სატელევიზიო არხები. თინეიჯერის სულისკვეთებაა. ეს რა სიმღერებია, ტექსტი გაგაგიჟებს კაცს. რას იმანჭებიან, ვის აღარ ბაძავენ... თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასო. ეს უნიჭო კლიპომანია... და რაც მთავარია, მე ვერ ვნახე ვერც ერთ ტელეარხზე გადაცემა, პროგრამა, რომელიც ასე ესაჭიროება დღევანდელ ახალგაზრდობას. ეს გაუთავებელი უნიჭო ტელესერიალები... მე მეჩვენება, თითქოს ვიღაც სპეციალურად აშტერებს, ადებილებს მომავალ თაობას. ამ იდეოლოგიით აღზრდილები ვერ დაიბრუნებენ კოალიციური არმიის შედეგად შეკვეცილ ტერიტორიას.

მალხაზა ხმამაღლა ლაპარაკობდა, ოთახში ოლმურის დედა ქალბატონი ქსენია შემოვიდა და პირდაპირ დაიწყო.

- ნუ გახვალთ დღეს გარეთ, ხედავთ, როგორი ქარია? ძალიან ცივა. თანაც შენ, ჩემო ძვირფასო, ინდოეთში თბილ ამინდებს ხარ შეჩვეული.

- ნუ შიშობთ. ამაზე ცუდ ამინდში მიკეთებია ეროვნული საქმე... (ცოტა ტრაბახი უყვარდა მალხაზას, ადრეც, ხომ გახსოვთ...). მაიორ მორჩილაძის ბრძანებით, შუა იანვარში მთელი საქართველო-რუსეთის საზღვარი მოვიფრინე, სპეცდავალებით, რა საკვირველია.

ქსენია დეიდა პოზიციებს არ თმობდა.

- შენ თბილისის ამბავი კარგად არ იცი, შვილო... (ამ სიტყვამ ჟრუანტელი მოჰგვარა ყოჩაღ კაჭკაჭს. ეს სიტყვა მისთვის აგერ 32 წელიწადია, არავის აღარ უთქვამს...) მოწვიმს და სახლები ინგრევა, ქუჩები იხერგება. 10 სანტიმეტრზე მოთოვს და, მანქანები ვეღარ დადიან ქუჩებში... წყდება ელექტრონის, გაზის, წყლის მოწოდება, პატარა ქარია და სახლებს სახურავები ეხდება, ძირგამოთხრილი ხეები საშიშად ეცემიან.



- კაი ქსენია ამბაკოევნა, ნუ დაანგრიე ისედაც გასაცოდავებული ქვეყანა, - მერე მალხაზას მიუბრუნდა ოლმური, - ახლა ამ ძველი გაზეთებით გაერთე. მალე მზად ვიქნები და წავიდეთ.

მალხაზამაც ათამდე დასახელების გაზეთი მოიჩოჩა. ფანჯარაში ჩანდა ჩვეულებრივი თბილისური ქუჩა. ქარს ნაგვის და ქაღალდის გროვები სადღაც გადაჰქონდა.

- აბა, როგორ არის საქმე? - შეძლებისდაგვარად საზეიმოდ გამოწყობილი ოლმური ინტერესით ეკითხება ყოფილ თანამებრძოლს.

- ტრაკისკენ, - ჩუმად უთხრა სალდაფონმა ფრინველმა, ისე, რომ დედამისს ვერ გაეგონა, - ტელევიზიაზე უფრო მძიმე მდგომარეობაა. რამ ააღულათ და გააბოროტათ ეს შობელძაღლები? მერე როგორ იგრძნობა, რომელ წერილში რა რაოდენობის მაყუთია გადახდილი, რომელი გვამი რომელი გაზეთის "კრიშაა" - აი, ეს გაზეთი კი სრულიად გაუგებარი კონსტრუქციისაა, მაგრამ აშკარად უჭერს მხარს უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების ოპოზიციას - ხელში "ალია" უჭირავს კაჭკაჭს, ქართული პრესის "ფლაგმანი".

- რა იცი? წერია რამე?

- შეიძლება რაღაც წერია კიდეც... ოპოზციის სიმბოლური ფერი ყვითელი მაქვს მხედველობაში. ეს გაზეთი ხომ ყვითელია.

- დალტონიკი ყოფილხარ, მახო, - იცინის ოლმური, - იუშენკოს მომხრეთა ფერი, მგონი, უფრო ფორთოხლისაა... წამო, წავიდეთ!

გზაში გადაწყვიტეს, რომ მეგობრები დღის მეორე ნახევარში ოფისში შეხვდებოდნენ ერთმანეთს, იქ იქნებოდა უჩაც.

და მალხაზა ქარის მძლავრ ნაკადს ციმციმ აჰყვა ზეცისკენ. სულ მალე ძალზე მაღლიდან დასცქეროდა თბილისს. ჩვენი გაზეთის დაკვირვებულ მკითხველს ისიც ემახსოვრება, რომ ახტაცების ჟამს ყოველთვის სიმღერა ალმოხდება ხოლმე ჩვენი პოლიგლოტი კაჭკაჭის ყელს. ასეა ახლაც. თბილისის ზემოდან ცქერამ აღტაცება მოჰგვარა მალხაზას და ისიც მთელი ხმით გაჰკივის: "გამარჯობა ჩემო თბილის ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი, საქართველოს მიწაწყალო ალაგო, 11 წლის უნახავი მოვედი". და იეთიმის ლექსს თავის ინტერპრეტაციას უმატებს.

შენს მტერს მალე დაგანახებ
ბევრ ჩინოვნიკ ინდაურს,
მტერს განახებ უცხო ტომის,
მტერს განახებ შინაურს.
მებრძოლები მეძახოდნენ
ფრინველების ინაურს!

სამების გრანდიოზულ ტაძარში წირვის ფინალს მიუსწრო. ზემოთ სარკმელთან მიჯდა და ნეტარების ნისლით შეიბურა. ქვემოდან ამოდიოდა საკმევლის ნანატრი სურნელი და ქართული საგალობლების ხმა.

- ამ საგალობელსაც აღმოჩენია გამკრიტიკებელი, გადამრევს ეს ხალხი.

შინაგანი მონოლოგი შეწყდა. ტაძარში საზეიმო სვლით შემოდის მისი უდიდებულესობა პრეზიდენტი სააკაშვილი, მისი უვარდესობა ქალბატონი ბურჯანაძე და მისი უდინჯესობა ბატონი ჟვანია. რიტუალი გრძელდება. უცებ ბატონმა ჟვანიამ (მის თვალს რა გამოეპარება) მაღლა სარკმელთან მისკუპული კაჭკაჭი შენიშნა და ბურჯანაძეს გადუჩურჩულა: - მალხაზაც აქ ყოფილაო.

- რას მეუბნები? - გაოცებას ვერ მალავს პირველი პარლამენტარი და ზემოთ იყურება. იქვე მრავლად მყოფი ჩვენი უცნაური პრესის კიდევ უფრო უცნაური ჟურნალისტები ამ მოვლენას თავისებურად განმარტავენ - "ჟვანიამ სააკაშვილის საწინააღმდეგო უთხრა ბურჯანაძეს. ორივენი ღმერთს ეხვეწება, ამისგან დაგვიხსენიო".

მალე პრეზიდენტმა უკრაინულად მიმართა საპრეზიდენტო არჩევნებით განაწყენებულ მომიტინგეებს. სიმშვიდისკენ და კორექტულობისკენ მოუწოდა მათ. სიამაყით აღივსო ემოციური კაჭკაჭის, პოლიგლოტ მალხაზას გული და თვითონაც მოუნდა ტაძრიდან აფხაზურად მიემართა რამდენიმე ათასი აფხაზი ამომრჩევლისათვის.

- ნუ გააჭირეთ საქმე, დაანებეთ პინგ-პონგის თამაშს თავი, ნუ შეცაცქანებთ რუსებს, ხომ ხედავთ თავის თავი გაჭირვებიათ, ძმურად ვიცხოვროთ საქართველოს მიწა-წყალზე....

ნეტარებით აღვსილი მალხაზა ტაძარს ტოვებს. ერთი რამ აწუხებს - რა იქნებოდა ინდოეთის მართლამდიდებლური ეკლესიიდანაც ჩამოსულიყვნენ მამებიო.

ქარი ჩამდგარიყო.

მალხაზა სამების ტაძრიდან ძველი ქალაქის მიმართულებით ოდნავი ტრაექტორიით დაეშვა. ვახტანგ გორგასალის ძეგლთან ჩამოისვენა და ირგვლივ მიმოიხედა. მალე დაასკვნა, რომ თბილისი ზემოდან უფრო ლამაზი მოჩანს, ვიდრე ასე პირისპირო. ამ 11 წლის განმავლობაში აქ დიდი განუკითხაობა ყოფილაო.



საიდან გაჩნდა ამდენი ახალი უსახური, უგემოვნო შენობა?... ხედავ? რა დღეშია შენი ქალაქი დიდო გორგასალო, - მალხაზამ ეს სიტყვები უკვე მკვეთრად, ხმამაღლა წარმოთქვა და მეფის ბრინჯაოს ქანდაკებას ახედა. იქვე ძეგლთან, ქვემოთ, გოგო-ბიჭი მიტმასნოდა ერთმანეთს და ისეთი ლაციცით ერთობოდნენ, ტაძრის სიახლოვეს რომ ყოვლად დაუშვებელია. პირველი გულგაღეღილი გოგო მიხვდა, საიდან მოესმა ხმა.

- ნიკუშა გადავირევი, შეხედე ჩვენს ზემოთ ის კაჭკაჭი ზის, იმ დღეს ტელევიზიით, რომ გამოიყვანეს, პოლიგლოტი რომ არის, ნაბრძოლი კაჭკაჭი.

- კაჭკაჭი არა ბაბუაშენისა, - ჩვეულებრივ ტონით მიუგო კუდრაჭა გოგოს ღრმად შეყვარებულმა ნიკუშამ. ეს სატელევიზიო გადაცემა, როგორც ჩანს, არ ენახა.

მალხაზა შეაკრთო უკმეხმა ხმამ, არ მოეწონა ბიჭის უტიფარი სახე და უცებ წინ დაუჯდა გოგო-ბიჭს და ასე მიმართა:

- ჯერ ერთი, აქ მტლაშა-მტლუშის ადგილი არ არის და ისიც რომ... - უცებ გაბრაზებამ სძლია, - ბიჭო, შენ ნიკუშა ხარ თუ ვიღაცა, ჩამოგინაყავ მაგ ცხირ-პირს, შენ მე არავიში შეგეშალო, - და მოზომილად, მაგრამ მაინც მწარედ დაჰკრა ნისკარტი ბრიოლინით გადალესილ ქოჩორზე. ერთი წამის შემდეგ გორგასალის ცხენის ფეხებთან დარჩნენ გაოცებული შეყვარებულები და თავმომწონე ნიკუშას ვეება კოპიანი თავი. მალხაზა გუდიაშვილის მოედანზე, ძველი სახლის აივანზე დაფრინდა. აქ იყო ოლმურისა და ბედურხანაშვილის ოფისიც.

- ვაა, ჩვენი მახო მოვიდა, - ისევ აღტაცდნენ ბიჭები, - რა ნახე, რა მოგეწონა? - დააყარეს კითხვები მეგობრებმა. მალხაზა პასუხობს.

გუდიაშვილის მოედანზე სისხამ დილით შეკრებილი სამეზობლოს ყოველი თაობის მამრი რამდენიმე მაგიდაზე ერთმანეთს ერკინებიან დომინოს თამაშში. დგას ერთი ხორხოცი, გნიასი.

- რას ჭამს ეს ხალხი, რითი ინახავენ ოჯახს, დილიდან საღამომდე დომინოს რომ უჭახუნებენ? - დაინტერესდა მალხაზა.

- რა ქნან აბა? სამუშაო არსად არის, უმუშევრები არიან, - შეებრალა მეზობლები კეთილ უჩას.

- სამუშაო თუ არა აქვთ, თუ უმუშევრები არიან და მთელი ქალაქის ნახევარი თუ ასეა, რა ვარდების რევოლუციის ზეიმი აუტყდათ, - გაცხარდა პატრიოტი კაჭკაჭი.

- ინდოეთში ხომ ყველა მუშაობს... - ნიშნის მოგებით მიუგებს ოლმური.

- კაცო, ინდოეთი რა შუაშია, თქვენ თქვენსას მიხედეთ... ინდოეთში მცხოვრებთა უმეტესმა ნაწილმა ისიც კი არ იცის, სად არის საქართველო და საერთოდ, ვინ ხართ ქართველები.

- არ იციან და... - წარბი შეიკრა უჩამ.

- კარგი, კარგი, - აწყვეტინებს მალხაზა, - ამ დომინოს თამაშს და მთელი დღე ყვირილს არ სჯობია, ბარს მოკიდონ ხელი, ნიჩაბს და წალკოტად აქციონ ეს გაძვალტყავებული ბაღი. ქალაქისათვის და თავიანთი შვილებისათვის, რა საკვირველია. ანდა ამ ქუჩის ამხელა ნაგავს ვერ შეაგროვებენ და იქაც ყვავილებს ვერ გაახარებენ? ნამდვილად გავგიჟდები, - ამბობს მალხაზა, - ასე იდგნენ ლაგოდეხის ცენტრში, აფენში, გურჯაანში, ამას ვხედავ მთელ თბილისში. კაცო, მოუარეთ, გაალამაზეთ თქვენი ქუჩა, თქვენი რაიონი, თქვენი სოფელი. ნახევარი მსოფლიო მომივლია და მაინც რამ შემაყვარა აქაურობა და ეს ხალხი, რომ ველარ ვეშვები? აი, ხვალ-ზეგ ფოთში უნდა გავფრინდე, ვნახავ, რა ხდება დასავლეთ საქართველოში, რა ხდება ნიკო ნიკოლაძის ქალაქში...

გუდიაშვილის ქუჩის აზარტული მოთამაშეები ხმაზე სცნობენ მალხაზას და ერთხმად გაიძახიან: "გაუმარჯოს მალხაზას, ჩვენს ძმას და პირის ზიარებასო."

- წადი, თქვენი, - ნისკარტში ცივად გამოსცრის პატრიოტი კაჭკაჭი მალხაზა.

*მოამზადა ჯარჯი ჯოხაძემ*

## ფოტოგალერეა



მეტეხიდან ფიქრებამდე.

ავტორი: ლევან ხერხეულიძე

## სკანვორდი




## TV პროგრამა

29 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** პატრული **19.45** ქართ. ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი "როგორ უნდა გახდე პრინცი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "მეომარი" (18) (ჩჯან ცზი) **02.40** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ჯვარცმული კუნძული" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** კონცერტი -მ. კვალიაშვილი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **15.20** დოკ. ფილმი "ლენინის შეცდომები" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. ფილმი "დიზაინი" **16.30** ფრაგმენტები სურათისთვის **17.00** სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ" **17.25** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუშლენდის სკოლა" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "დიდი ოჯახები" (გ)

### კავკასია

**11.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.00** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **14.00** ინდ. მხ. ფილმი "დისკოს მოცეკვავე" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** პუბლ. გადაცემა "პატრიოტთა თამაშები". ზურაბ წერეთელი. **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ბინძური სიყვარული" (18) (ვალენტაინ დემი)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" **19.25** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** კონცერტი **22.45** მხ. ფილმი "ბერიკაცები" (გ)

---

**18.00** მხ. ფილმი "ლიფტი ეშაფოტზე" (გ) **19.30** დოკ. ფილმი **20.30** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "შენი ხელები ჩემს თეძოზე" (12)

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.40, 16.25, 03.05** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.55** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "შვეიცარია" 1-ლი ნაწ. **17.10, 03.35** იმედის მელოდიები **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მტვრის გემო" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" მე-8 ს. **23.15** "არჩევანი თქვენ" **00.35** სპ. პროგრამა "გოლი" **02.00** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** მუსიკა **09.20** სათავგად. ფილმი "შავი ბურთი" **10.50** ისტორ. ფილმი "ატილა" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **13.55** დოკ. ფილმი **14.45** ბოევიკი "სიკვდილზე ნადირობა" **16.15** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** დრამა "მსოფლიოს მწვერვალზე" **20.15** მუსიკა **21.00** დეტექტივი "ცუდი კომპანია" **23.00** დოკ. ფილმი **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** კომედია "ბუმერანგი"

### ОРТ

**06.00** “Доброе утро”. **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Харрисон Форд в боевике **“ИНДИАНА ДЖОНС И ПОСЛЕДНИЙ КРЕСТОВЫЙ ПОХОД”. 11.30** “Шутка за шуткой”. **12.10** Сериал **“ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ”. 13.10** Дисней-клуб: “Новые приключения Винни Пуха”. **13.40** Людмила Гурченко в фильме **“ПРОЩАЛЬНЫЕ ГАСТРОЛИ” 15.20** “Угадай мелодию” **15.50** “Последний герой”. Суперигра. **17.00** “Пять вечеров”. Понедельник. **18.20** “Пан или пропал”. Поединок с Николаем Фоменко. **19.00** Сериал **“КЛОН”. 20.00** Жди меня. **21.00, 23.30** Время. **21.30** Чулпан Хаматова в фильме **“ДЕТИ АРБАТА”. 22.40** Спецрасследование. “Лесная мафия”. **23.50** “Фабрика звезд”. **00.10** Искатели. “Китеж. След пропавшего города”. **00.40** ДеЦл в программе “Русский экстрим”. **01.10** Чак Норрис в приключенческом фильме **“ИДУЩИЙ В ОГНЕ” 02.50** Люк Перри в триллере **“НОРМАЛЬНАЯ ЖИЗНЬ” 04.30** Чего боятся люди. “Страх”. Фильм 1-й.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **11.15** Анатолий Солоницын в фильме **"ОДИН ШАНС ИЗ ТЫСЯЧИ". 13.35** Сериал **"ТАКСИСТКА". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"РОКИРОВКА". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ...". 20.50** Игорь Лифанов в сериале **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ". 1**-я с. **22.00** "Страна и мир" **22.40** Юлия Меньшова в сериале **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО...". 1**-я с. **23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15, 01.45** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 01.15** Особо опасен! **02.30** Совершенно секретно. Информация к размышлению. **03.15** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: народ великой пустыни". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 04.55** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ". 05.40** Чрезвычайное происшествие.

# "კედლის" ბავშვები ჰონორარებს ითხოვენ




25 წლის წინანდელი მოსწავლეები დაგვიანებულ ჰონორარებს ითხოვენ. ჩრდილოეთ ლონდონის ერთ-ერთი სკოლის ყოფილი მოსწავლეები, რომელთა ვოკალური შესაძლებლობებიც გამოყენებულია "პინქფლოიდის" ლეგენდარულ სიმღერაში Another Brick in The Wall, სასამართლოს დახმარებით აპირებენ მიზნის მიღწევას. როგორც ერთ-ერთი ექსპერტი, ვინმე პიტერ როანი იტყობინება, მან უკვე შეიტანა მომღერალთა გუნდის მაშინდელი ერთ-ერთი წევრის სარჩელი სასამართლოში. როგორც ირკვევა, ეს ადამიანი გუნდის სხვა წევრებსაც იგივეს ურჩევს. "მათ ეკუთვნით ფული. ამ საკითხზე თითქმის ორი წელიწადია ვმუშაობ", - ამბობს როანი.

ალბომი Wall ("კედელი"), სადაც სწორედ ეს სიმღერაა ცენტრალური კომპოზიცია, მრავალმილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. 1982 წელს გადაიღეს ანიმაციური ფილმიც, სადაც ბობ გელდოფი განასახიერებდა როკ-მუსიკოსს, რომელიც პერიოდულად რადიკალურ პოლიტიკოსად იქცევა. ბავშვების მიერ სკანდირებული სიტყვები: "არ გვჭირდება განათლება", თავის დროზე მოზარდების ერთგვარ ჰიმნად იქცა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ხოლო აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში სიმღერა ჰიტ-პარადებს ჩაუდგა სათავეში.

აქამდე ჩრდილოეთ ლონდონის სკოლის 23 მოსწავლეს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს სიმღერის ჩაწერაში, პრეტენზია არ განუცხადებია ჰონორარზე. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ჩანაწერი საიდუმლოდ გაკეთდა. 1979 წელს მუსიკის მასწავლებელმა მოსწავლეები სკოლის დირექტორთან შეუთანხმებლად მიიყვანა სტუდიაში. სიმღერის მოსმენის შემდეგ, დირექტორმა მოსწავლეებს აუკრძალა ტელეეკრანზე გამოჩენა და ვიდეოგადაღებებში მონაწილეობა. ამ სიმღერისთვის სკოლამ ათასი ფუნტი სტერლინგი მიიღო, მოგვიანებით - კომპოზიციის პლატინის ჩანაწერი. თავად ბავშვებს კი არაფერი მიუღიათ. რაც შეეხება სკოლის ყოფილ დირექტორს, ის ამჟამად მხარს უჭერს ყოფილი მოსწავლეების სარჩელს.

# გარდაიცვალა კონსერვატორი რომანისტი

84 წლის ასაკში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა მწერალი არტურ ჰეილი. ჰეილის 11 რომანის საერთო ტირაჟი თითქმის 170 მილიონ ეგზემპლარს აღწევს. მისი წიგნები მსოფლიოს 38 ქვეყანაშია გამოცემული.

არტურ ჰეილი წარმოშობით ბრიტანელი იყო; ცხოვრების გარკვეული ნაწილი კანადაში გაატარა, ბოლოს კი ბაჰამის კუნძულებზე ცხოვრობდა. ძირითადად, ჟურნალისტობდა. ალბათ ამიტომაც, მისი რომანები დიდ რეპორტაჟებსაც გავდნენ, თუმცა გაცილებით ღრმა იყო, ვიდრე მოვლენების მშრალი აღწერა. როგორც ამბობენ, თავად რომანისტი ცხოვრებაში უფრო კონსერვატორი იყო, ვიდრე ავანტიურისტი; მისი ცხოვრება ტროპიკულ კუნძულებზე, სადაც ჰეილის სიტყვებით, ყველა პირობა არსებობს შემოქმედებისთვის, მშვიდად დასრულდა, ძილში.

# პროტესტის ნიშნად



უკრაინაში საყოველთაო გაფიცვას მუსიკოსებიც შეუერთდნენ. მრავალმა ადგილობრივმა კოლექტივმა და ცალკეულმა შემსრულებელმა ამ დღეებში უარი თქვა კომერციულ კონცერტებზე. სამაგიეროდ, ისინი ჩაებნენ ხელოვნების "ნარინჯისფერ" ფესტივალში, რომელიც კიევში 26 ნოემბრიდან დაიწყო. ეს ყველაფერი კი, ჯგუფმა Океан Ельзи-მ წამოიწყო, როდესაც მისმა ლიდერმა, ვიქტორ იუშენკოს მხარდამჭერმა სვიატოსლავ ვაკარჩუკმა უარი განაცხადა მოსკოვში დაგეგმილ კონცერტებზე. ამგვარად, რუსეთის ქალაქებში ჯგუფის 10 წლის აღსანიშნავად დეკემბერ-იანვარში დაგეგმილი საკონცერტო ტურნე გადაიდება იმ დრომდე, ვიდრე უკრაინაში სამოქალაქო მღელვარება იქნება. მანამდე კი Океан Ельзи კონცერტებს მხოლოდ მიტინგზე გამართავს. თუმცა, მას შემდეგ, რაც ჯგუფის ლიდერი იუკოშენკოს თანამოკავშირეც გახდა ახალგაზრდულ პოლიტიკაში, პოპულარულ უკრაინულ კოლექტივს კომერციული მიზნების მისაღწევად არ სცალიათ. ჯგუფის ლიდერი რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთი უნივერსიტეტის რექტორს შეხვდა და დაარწმუნა, რომ სტუდენტები, რომლებიც მიტინგებში მონაწილეობდნენ, არ უნდა გაერიცხათ სასწავლებლიდან.







საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.